დამტკიცებულია

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

[●] 2017 წლის

09.08.2017

ემისიის რეგისტრაციის ნომერი

№ GE 2700603527-1-01

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო

საიდენტიფიკაციო ნომერი (ფქსსნ/ISIN)

№ GE2700603527

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ

სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 204566978)

ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი

ჯამური 34,000,000 (ოცდათოთხმეტი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულებისა და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე ობლიგაციები. ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღი – ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან 5 (ხუთი) წლის შემდეგ. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისა და განთავსებისას: 1,000 (ათასი) ლარი. ფასი გამოშვებისა და განთავსებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი).

ზოგადი ინფორმაცია ემისიის პროსპექტისა და შეთავაზების შესახებ

ობლიგაციების ემისიის წინამდებარე პროსპექტი (შემდგომში **„პროსპექტი“**) მომზადებულია სს „სილქნეტის“ (შემდგომში **„კომპანია“**, **„სილქნეტი“** ან **„ემიტენტი“**) მიერ, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2009 წლის 2 აპრილს საიდენტიფიკაციო ნომრით: 204566978, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0112, წინამძღვრიშვილის ქუჩა N95.

წინამდებარე პროსპექტი შეეხება კომპანიის 34,000 (ოცდათოთხმეტი ათასი) ცალ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე (კუპონური) ობლიგაციის (სასესხო ფასიანი ქაღალდის) ემისიას. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება არის 1,000 (ათასი) ლარი. ობლიგაციის სარგებელი ცვალებადია და მისი საპროცენტო განაკვეთი თითოეული საპროცენტო პერიოდისათვის (კვარტლისათვის) დადგინდება შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თარიღზე მოქმედი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი (რომელსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი და აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე); და (ii) 350 (სამასორმოცდაათი) საბაზისო პუნქტი (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-6 პუნქტი - *„ობლიგაციების სარგებელი“*). ობლიგაციის სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას გამოყენებული საბაზისო პუნქტი დადგინდა ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე („book-building“-ის შედეგად) და აისახა საბოლოო პროსპექტში.

თითოეულ ობლიგაციას სარგებელი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით დაერიცხება გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. ობლიგაციების სარგებლის დარიცხვა და გადახდა მოხდება კვარტალში ერთხელ *„ობლიგაციების გამოშვების პირობებში“* მითითებულ პროცენტის გადახდის თარიღებზე. ობლიგაციების განაღდება (დაფარვა), ანუ ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფარვა, მოხდება ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღზე, რომელიც მითითებულია *„შეთავაზების ძირითადი პირობებში“*. ამასთან, პროსპექტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (და არა - ნაწილობრივ) ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან მე-2, მე-3 და მე-4 წლების ბოლოს. გარდა ამისა, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (და არა - ნაწილობრივ) ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე საგადასახადო მიზეზით, მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტის მიზეზით, საკრედიტო რეიტინგის არქონის მიზეზითა და „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილების“ მიუღებლობის მიზეზით (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-7 პუნქტი - *„ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) და გამოსყიდვა“*).

ობლიგაციების საჯარო შეთავაზება და განთავსება მოხდება ემიტენტისა და სს სილქ როუდ ბანკის, შპს თიბისი კაპიტალისა და S. Pierce Advisors Limited-ის (შემდგომში **„განთავსების აგენტები“**) მიერ. პროსპექტის მოქმედების ვადა განისაზღვრება ამ ემისიით გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების განაღდებამდე (დაფარვამდე) და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებამდე.

ობლიგაცია წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

ობლიგაციების განთავსების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 2017 წლის 31 ოქტომბრისა, ემიტენტი გეგმავს, მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების თაობაზე. დაშვების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციებით ვაჭრობა ბირჟის წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე პროსპექტსა და მასში მოყვანილ ინფორმაციაში შესაძლოა შევიდეს ცვლილებები გარემოებების ცვლილებიდან გამომდინარე. საჯარო შეთავაზების პერიოდში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა და პოტენციურ ინვესტორთა ინფორმირებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტში აღწერილი ობლიგაციების გაყიდვა ან საჯარო შეთავაზება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცებამდე. ობლიგაციების შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს შეთავაზებას და არ შეიძლება იყოს გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არ მომხდარა და არ იგეგმება ობლიგაციების რეგისტრაცია ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, საქართველოს გარდა.

საქართველოს გარდა არც ერთ იურისდიქციაში არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში აღწერილი ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა მასალების) გასავრცელებლად. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის ობლიგაციების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შესათავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებულები არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტები არ აკეთებენ რაიმე განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტობრივი მყიდველების წინაშე მათ მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

წინამდებარე პროსპექტის საფუძველზე ობლიგაციების შეძენით, ინვესტორი უდასტურებს კომპანიას და განთავსების აგენტებს, რომ იგი არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მიწოდებული იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

კომპანია პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის დასადასტურებლად კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულ ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული ინფორმაცია, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე.

არც ერთი პირი არ არის უფლებამოსილი, კომპანიის ან განთავსების აგენტების სახელით გასცეს რაიმე ინფორმაცია ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტების მიერ ნებადართულად და არ შეიძლება მათზე დაყრდნობა. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების გასხვისება არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის თარიღის შემდეგ კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ მომხდარა.

ობლიგაციებში ინვესტირება მაღალი რისკის შემცველია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხის დაბრუნება და დარიცხული სარგებლის გადახდა დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკის ფაქტორების შესახებ იხილეთ *„რისკის ფაქტორები“*. არც პროსპექტი და არც კომპანიის ან/და განთავსების აგენტების მიერ ობლიგაციებთან ან მათ განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული სხვა ინფორმაცია არ ისახავს მიზნად ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები.

წინამდებარე პროსპექტში ასახული ინფორმაცია არ უნდა იქნეს განხილული როგორც იურიდიული, საინვესტიციო, კომერციული ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულმა პოტენციურმა ინვესტორმა საჭიროებისამებრ უნდა მიიღოს კონსულტაცია საკუთარი მრჩევლებისაგან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, გასხვისება ან სხვაგვარად გამოყენება იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც მასზე ვრცელდება.

ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, პოტენციური ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებლიანობასა და რისკებთან მიმართებაში (აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ *„რისკის ფაქტორები“*). ყველა პოტენციურმა ინვესტორმა თავად უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა ჰქონდეს:

i. საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლიანობისა და რისკების, ასევე - წინამდებარე პროსპექტში (და მის შესწორებაში/დამატებაში) მოყვანილი ინფორმაციის, ჯეროვანი შეფასებისთვის;

ii. შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური მდგომარეობის კონტექსტში;

iii. საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის (სავალუტო რისკის ჩათვლით) ასაღებად;

iv. „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ სრულყოფილი გაგება და უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს; და

v. შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციაზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

სარჩევი

მომავალზე ორიენტირებული განცხადებები vi

ფინანსური და სხვა ინფორმაციის წარმოდგენა vii

შეთავაზების ძირითადი პირობები 1

რისკის ფაქტორები 6

ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება 21

კაპიტალიზაცია და დავალიანება 22

შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია 23

ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 34

ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება 59

ხელმძღვანელობა და თანამშრომლები 76

გარიგებები დაკავშირებული პირების მონაწილეობით 80

ობლიგაციების გამოშვების პირობები 82

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში 100

დამატებითი ინფორმაცია 103

ინფორმაცია ემიტენტის, განთავსების აგენტების, ობლიგაციონერების წარმომადგენლის, რეგისტრატორის, ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის და ემიტენტის აუდიტორისა და იურიდიული მრჩევლის შესახებ 104

დანართი - კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა (2016 წ.) – 44 გვერდი

მომავალზე ორიენტირებული განცხადებები

წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი გარკვეული განცხადებები შეიძლება მიჩნეულ იქნეს მომავალზე ორიენტირებულად. ასეთებია, მაგალითად: კომპანიის გეგმები, მოლოდინები, პროგნოზები, ორიენტირები, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები, სამომავლო მოვლენები, სამომავლო შემოსავლები, კაპიტალური ხარჯები, დაფინანსების საჭიროებები, განზრახვები სხვა კომპანიების შეძენასთან დაკავშირებით, კონკურენტული უპირატესობა და სისუსტე, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული გეგმები ან მიზნები, სამომავლო საქმიანობა, განვითარება და ბიზნესის სტრატეგია, ქვეყნის ეკონომიკასა და ცალკეულ დარგებში, ასევე - პოლიტიკურ და საკანონმდებლო გარემოში, კომპანიის მიერ დანახული სამომავლო ტენდენციები და სხვა ინფორმაცია, გარდა ისტორიულისა. მომავალზე ორიენტირებული განცხადებები წინამდებარე პროსპექტის სხვადასხვა ნაწილშია წარმოდგენილი, მათ შორის, შემდეგ თავებში: *„რისკის ფაქტორები“*, *„ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება“*, *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“*, *„შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია“*, *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“*.

ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: „ვფიქრობთ“, „მიგვაჩნია“, „გვაქვს მოლოდინი“, „ვვარაუდობთ“, „გათვლილი გვაქვს“, „პოტენციურად“, „მოსალოდნელი“, „განზრახული“, „წინასწარ გათვლილი“, „პროგნოზირებული“, „შესაძლოა“, „უნდა“, „შეიძლება“, „ვგეგმავთ“, „ვაპირებთ“, „გვსურს“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები გათვლილია მომავალზე ორიენტირებული განცხადებების იდენტიფიკაციისათვის, თუმცა ამ სიტყვებისა და გამონათქვამების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

თავიანთი ბუნებით, მომავალზე ორიენტირებული განცხადებები შეიცავს რისკებსა და გაურკვევლობას - როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულ შემთხვევებში. არსებობს იმის რისკიც, რომ წინასწარი გათვლები, პროგნოზები და სხვა სახის მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მიღწეული/შესრულებული ვერ იქნება. ზოგიერთი ასეთი რისკი და გაურკვევლობა აღწერილია თავში *„რისკის ფაქტორები“* და პროსპექტის სხვა ნაწილებში. ინვესტორებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სხვადასხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შესაძლოა მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებში გამოთქმული გეგმების, პროგნოზების, მოლოდინების, ვარაუდების, და განზრახვებისაგან არსებითად განსხვავებული შედეგები მოიტანოს.

შესაბამისად, ინვესტორები არასათანადოდ არ უნდა დაეყრდნონ მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს და მხედველობაში უნდა მიიღონ ზემოანიშნული ფაქტორები და სხვა გაურკვევლობები და მოვლენები, განსაკუთრებით იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საკანონმდებლო გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მომავალზე ორიენტირებული განცხადებები გაკეთებულია პროსპექტის მომზადების თარიღისთვის. კომპანია არ იღებს ვალდებულებას მათ განახლებაზე ან გადასინჯვაზე (ახალი ინფორმაციის, სამომავლო მოვლენების თუ სხვა მიზეზით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შესაბამისი კანონმდებლობით არის მოთხოვნილი. კომპანია არ აცხადებს და არ იძლევა გარანტიას, რომ ამგვარი მომავალზე ორიენტირებული განცხადებებით მოსალოდნელი შედეგი მიღწეული იქნება, ეს განცხადებები ერთ-ერთია ბევრი შესაძლო სცენარიდან და არ უნდა იქნეს აღქმული როგორც მოვლენათა განვითარების ყველაზე სავარაუდო ან სტანდარტული სცენარი. ეს გაფრთხილება ეხება მომავალზე ორიენტირებულ ყველა განცხადებას, რომელიც კომპანიის ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ კეთდება, ასევე - წინამდებარე პროსპექტში მესამე მხარის მიერ გაკეთებულ ყველა პროგნოზს/გათვლას.

ფინანსური და სხვა ინფორმაციის წარმოდგენა

ფინანსური ინფორმაცია

კომპანიის 2016 წლის კონსოლიდირებული აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში **„აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება“**) შეტანილია წინამდებარე პროსპექტში. ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ (შემდგომში **„საბჭო“**) დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად (შემდგომში **„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“**), რომელიც მოიცავს „საბჭოს“, ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოსა (IFRIC) და ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ გამოშვებულ ყველა იმ საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტსა და ინტერპრეტაციას, რომელიც მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობისათვის. ფინანსური ანგარიშგება შეამოწმა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ შპს „KPMG Georgia“-მ (შემდგომში **„აუდიტორი“**) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

წინამდებარე პროსპექტში მითითებული ზოგიერთი რიცხვი დამრგვალებულია. აბონენტთა რაოდენობის შესახებ პროსპექტში მოცემული ინფორმაცია ეფუძნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში **„კომისია“**) ინფორმაციულ-ანალიტიკურ პორტალზე გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომლებიც დაანგარიშდება ყოველთვიურად.

ბაზრის, დარგის და ეკონომიკური ინფორმაცია

წინამდებარე პროსპექტში გამოყენებული ბაზრის მონაცემები კომპანიამ მოიპოვა შიდა კვლევებიდან, კომისიის ანგარიშებიდან, კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკური პორტალიდან, დარგში მდგომარეობის ამსახველი სხვა წყაროებიდან და პროსპექტის მომზადების მომენტისათვის ხელმისაწვდომი სხვა საჯარო საინფორმაციო წყაროებიდან. ბაზარზე მდგომარეობის ამსახველი და გაცვლითი კურსის შესახებ წინამდებარე პროსპექტის მონაცემების ძირითადად წყაროებს წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის საინვესტიციო ბანკი და მსოფლიო ბანკი. საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობის შესახებ კომპანიამ მონაცემები მოიპოვა, ძირითადად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან (შემდგომში **„საქსტატი“**) და საქართველოს მთავრობისაგან.

ვალუტა და გაცვლითი კურსი

წინამდებარე პროსპექტში ნებისმიერი მითითება „ლარზე“ არის მითითება საქართველოს ფულის ერთეულზე, ყველა მითითება „აშშ დოლარზე“ და „დოლარზე“ არის მითითება ამერიკის შეერთებული შტატების ფულის ერთეულზე, ხოლო ნებისმიერი მითითება „ევროზე“ არის მითითება ევროპის ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ფულის ერთეულზე.

წინამდებარე პროსპექტის ზოგიერთ ნაწილში ლარში მითითებული თანხების ეკვივალენტური ოდენობები მითითებულია აშშ დოლარში იმ გაცვლითი კურსით, რომელიც შესაბამის საანგარიშო პერიოდში იყო განსაზღვრული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. აღნიშნული კურსი შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას და წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილი სხვა ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული გაცვლითი კურსისაგან. ამ გაცვლითი კურსის გამოყენება არ მიუთითებს იმაზე, რომ ლარში გამოხატული თანხა ფაქტობრივად ამდენია აშშ დოლარში ან რომ შესაძლებელი იყო ამ თანხის კონვერტაცია აშშ დოლარში რაიმე კონკრეტული გაცვლითი კურსით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მითითებულ წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების მიხედვით ლარის მაღალი, დაბალი, საშუალო და პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით, თითოეულ შემთხვევაში ლარის შემენისათვის აშშ დოლარით.

	მაღალი	დაბალი	საშუალო	პერიოდის ბოლო
	(ლარი აშშ დოლართან მიმართებით)			
2016	2.785	2.127	2.367	2.647
2015	2.450	1.878	2.270	2.395
2014	1.953	1.724	1.766	1.864
2013	1.738	1.635	1.663	1.736

2012	1.675	1.619	1.651	1.657
2011	1.811	1.639	1.686	1.67
2010	1.888	1.693	1.783	1.773

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მითითებულ თვეებში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების მიხედვით ლარის მაღალი, დაბალი, საშუალო და პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით, თითოეულ შემთხვევაში ლარის შეძენისათვის აშშ დოლარით.

	მაღალი	დაბალი	საშუალო	პერიოდის ბოლო
	(ლარი აშშ დოლართან მიმართებით)			
2017 წლის ივნისი	2.425	2.406	2.412	2.407
2017 წლის მაისი	2.442	2.408	2.428	2.427
2017 წლის აპრილი	2.477	2.382	2.416	2.442
2017 წლის მარტი	2.549	2.429	2.469	2.445
2017 წლის თებერვალი	2.709	2.584	2.643	2.584
2017 წლის იანვარი	2.767	2.647	2.701	2.706

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შეთავაზების ძირითადი პირობები

„შეთავაზების ძირითადი პირობები“ აღწერს იმ ძირითად პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ხდება ობლიგაციების ემისია, შეთავაზება და განთავსება. ამასთან, „შეთავაზების ძირითადი პირობები“ არ ასახავს ობლიგაციების სრულ პირობებს, რომლებიც უფრო დეტალურად მოცემულია წინამდებარე პროსპექტის სხვა თავებში, მათ შორის - იხილეთ თავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

შეთავაზება	34,000,000 (ოცდათოთხმეტი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები) განაღდების (დაფარვის) თარიღით - 2022 წლის 18 აგვისტო
ემიტენტი	სს სილქნეტი (ს/ნ: 204566978)
ინსტრუმენტი	ცვლად პროცენტიანი (კუპონური) ობლიგაცია (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი)
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) ლარი
ობლიგაციების საერთო რაოდენობა	34,000 (ოცდათოთხმეტი ათასი) ცალი
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	34,000,000 (ოცდათოთხმეტი მილიონი) ლარი
განთავსების მინიმალური ოდენობა	10,000,000 (ათი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების 10,000 (ათი ათასი) ცალი ობლიგაცია
საპროცენტო განაკვეთი (სარგებელი)	თითოეულ ობლიგაციას კვარტალში ერთხელ დაერიცხება სარგებელი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც თითოეული საპროცენტო პერიოდისათვის (კვარტლისათვის) დადგინდება შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თარიღზე მოქმედი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი (რომელსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი და აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე); და (ii) 350 (სამასორმოცდაათი) საბაზისო პუნქტი, რომელიც დადგინდა ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე („book-building“-ის შედეგად). ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის საკრედიტო რეიტინგის ცვალებადობამ (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-6 პუნქტი - *„ობლიგაციების სარგებელი“*).
გამოშვების ფასი	ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი)
ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული და განთავსებული იქნება 2017 წლის 18 აგვისტოს
ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღი	ობლიგაციების განაღდება (დაფარვა), ანუ ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განაღდება

	(დაფარვა) მოხდება 2022 წლის 18 აგვისტოს
განთავსების აგენტები.....	სს სილქ როუდ ბანკი, შპს თიბისი კაპიტალი და S. Pierce Advisors Limited
ობლიგაციონერების წარმომადგენელი	შპს თიბისი კაპიტალი
ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი	სს სილქ როუდ ბანკი
რეგისტრატორი.....	სს კავკასრეესტრი
სარგებლის დარიცხვა და გადახდა.....	თითოეულ ობლიგაციას კვარტალში ერთხელ (კვარტლის ბოლოს) დაერიცხება სარგებელი გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე წინამდებარე პროსპექტით დადგენილი წესით. სარგებლის პირველი გადახდა განხორციელდება 2017 წლის 18 ნოემბერს (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-6 პუნქტი - *„ობლიგაციების სარგებელი“*).
ობლიგაციების კლასი და სტატუსი.....	ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი (*pari passu*) ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. ობლიგაციებს მუდმივად ექნებათ კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი (*pari passu*) გადახდის უფლებასთან მიმართებაში (იმ მოთხოვნების გარდა, რომლებსაც კანონმდებლობით ენიჭებათ უპირატესობა) (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-3 პუნქტი - *„სტატუსი“*).
ობლიგაციების ფორმა.....	ობლიგაციები გამოშვებული იქნება არამატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. ობლიგაციებზე საკუთრების უფლება დადასტურდება რეგისტრაციით ფასიანი ქაღალდების რეესტრში, რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს კომპანია რეგისტრატორის მეშვეობით ან/და სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომლებსაც აწარმოებს ობლიგაციების ნებისმიერი ნომინალური მფლობელი (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* 1-ლი პუნქტი - *„ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება“*). ობლიგაციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ობლიგაციებზე საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის რეესტრში.

ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა	პროსპექტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (და არა - ნაწილობრივ) ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან მე-2, მე-3 და მე-4 წლების ბოლოს. გარდა ამისა, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (და არა - ნაწილობრივ) ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე საგადასახადო მიზეზით, მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტის მიზეზით, საკრედიტო რეიტინგის არქონის მიზეზითა და „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილების“ მიუღებლობის მიზეზით (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-7 პუნქტი - *„ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) და გამოსყიდვა“*).
დათქმები.....	ემიტენტს (და ზოგიერთ შემთხვევაში - მის შვილობილ(ებ)ს) დაწესებული აქვს შეზღუდვები და დათქმები აქტივების უფლებრივად დატვირთვასთან ან სხვაგვარად განკარგვასთან დაკავშირებით, გარდა ნებადართული უზრუნველყოფებისა (როგორც ეს განსაზღვრულია *„ობლიგაციების გამოშვების პირობებში“*). ემიტენტი ასევე ექვემდებარება სხვა შეზღუდვებსა და დათქმებს, მათ შორის, საქმიანობის გაგრძელებასთან, შერწყმასთან, აფილირებულ პირთან დადებულ გარიგებებთან, აკრძალულ გადახდებთან და დავალიანებასთან დაკავშირებით (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-5 პუნქტი - *„დათქმები“*).
დეფოლტის შემთხვევა.....	თუ დადგა და გრძელდება დეფოლტის შემთხვევა, ობლიგაციონერების წარმომადგენელი საკუთარი შეხედულებისამებრ უფლებამოსილია, ხოლო სპეციალური გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში - ვალდებულია, მიაწოდოს კომპანიას წერილობითი შეტყობინება, რომ ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნები ვადამოსულია და მოთხოვოს მას ობლიგაციების (ძირითადი თანხის 100 (ასი) %-ისა და ამ დროისთვის დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა (ემიტენტი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას განახორციელოს ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) თუ გამოსყიდვა) (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-10 პუნქტი - *„დეფოლტის შემთხვევები“*).
გადახდის წყაროსთან გადასახადების დაკავება..	კომპანიის მიერ ან მისი სახელით ობლიგაციების ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ (თუ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია კომპანიის მიერ გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულება). თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი სარგებლის გადახდაზე ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო

	შეღავათი, იგი არ მოახდენს შესაბამისი გადასახადის დაკავებას და ობლიგაციონერები, რომლებიც სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული ამგვარი შეღავათით, მიიღებენ გადასახდელ თანხებს სრულად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების გარეშე (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-9 პუნქტი - *„დაბეგვრა“*).
ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება.....	ობლიგაციების გამოშვებიდან და გაყიდვიდან მიღებული სახსრებით ემიტენტი გეგმავს არსებული სესხების (იხილეთ *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“*) შესაბამისი ოდენობით დაფარვას (იხილეთ *„ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება“*)
სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვება	ობლიგაციების განთავსების შემდგომ, მაგრამ არა უგვიანეს 2017 წლის 31 ოქტომბრისა, კომპანია გეგმავს, მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების თაობაზე (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* 2(გ) ქვეპუნქტი - *„ობლიგაციების გასხვისება“*).
ობლიგაციების შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვები.....	ობლიგაციების შეთავაზება და განთავსება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
მარეგულირებელი კანონმდელობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება პროსპექტით განსაზღვრული წესით საქართველოს სასამართლოსათვის მიმართვის გზით.
რისკის ფაქტორები	ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. პოტენციური ინვესტორები ყურადღებით უნდა გაეცნონ წინამდებარე პროსპექტს (განსაკუთრებით, *„რისკის ფაქტორებს“*). მასში წარმოდგენილ ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალდაბანდების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინონ მითითებული რისკები ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.
ემიტენტის საკონტაქტო ინფორმაცია	სს სილქნეტი, ს/ნ: 204566978, მისამართი: საქართველო, თბილისი 0112, წინამძღვრიშვილის ქუჩა N95; ტელ.: (995 32) 2100100/1200; ელ-ფოსტა: bpshavlishvili@silknet.com
განთავსების აგენტების საკონტაქტო ინფორმაცია	სს სილქ როუდ ბანკი, ს/ნ: 201955027, მისამართი: საქართველო, თბილისი 0102, ზაარბრუკენის მოედანი N95; ტელ.: (995 32) 224 2242; ელ-ფოსტა: info@silkroadbank.ge; შპს თიბისი კაპიტალი, ს/ნ: 204929961, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N11, ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი 0104, მარჯანიშვილის ქუჩა N7; ტელ.: (995 32) 227 27 27; ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge; S. Pierce Advisors Limited, რეგისტრაციის ნომერი: 1737956,

	იურიდიული მისამართი: Craigmuir Chambers PO Box 71 Road Town, Tortola, BVI; ფაქტობრივი მისამართი: უკრაინა, კიევი, Pankivska Street N8; ტელ.: +38 044 300 14 25; ელ-ფოსტა: info@spadvisors.eu
ობლიგაციონერების წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია	შპს თიბისი კაპიტალი, ს/ნ: 204929961, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N11, ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი 0104, მარჯანიშვილის ქუჩა N7; ტელ.: (995 32) 227 27 27; ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge
რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაცია	სს კავსკასრეესტრი, ს/ნ: 211369115, მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული; ტელ.: (995 32) 222 0718; ელ-ფოსტა: info@kavkasreestri.ge
ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის საკონტაქტო ინფორმაცია.....	სს სილქ როუდ ბანკი, ს/ნ: 201955027, მისამართი: საქართველო, თბილისი 0102, ზაარბრუკენის მოედანი N95; ტელ.: (995 32) 224 2242; ელ-ფოსტა: info@silkroadbank.ge
ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი (ფქსსნ/ISIN).....	მიენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (საბოლოო პროსპექტის წარდგენის შემდეგ).

რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. გადაწყვეტილების მიღებამდე ობლიგაციების პოტენციური შემძენები ყურადღებით უნდა გაეცნონ წინამდებარე პროსპექტს. მასში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა შემძენებმა, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალდაბანდების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინონ მითითებული რისკები ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. ქვემოთ და პროსპექტის სხვა ნაწილებში აღწერილმა ნებისმიერმა რისკმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერირების შედეგებზე, ასევე ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რაც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისათვის. კომპანია ქვემოთ მითითებულ რისკის ფაქტორებს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებად მიიჩნევს, თუმცა შეიძლება არსებობდეს სხვა ისეთი რისკი ან არაპროგნოზირებადი გარემოება, რომელსაც კომპანია ამ ეტაპზე უმნიშვნელოდ მიიჩნევს ან რომლის არსებობის შესახებ კომპანიას არ აქვს ინფორმაცია. ნებისმიერ მსგავს რისკს ან არაპროგნოზირებად გარემოებას შესაძლოა ჰქონდეს იგივე ან უფრო მძიმე უარყოფითი შედეგი. შესაბამისად, ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მითითებული რისკების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

მაკროეკონომიკური და საქართველოსთან დაკავშირებული პოლიტიკური რისკები

რთული გლობალური ეკონომიკური პირობები უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიაზე

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში, თუმცა, კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს გლობალური მაკროეკონომიკური და საბაზრო პირობები. 2008 წელს გლობალური ეკონომიკა შევიდა ბოლო 80 წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე დაღმასვლის ფაზაში. კაპიტალზე წვდომა, საკრედიტო ბაზრები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ლიკვიდურობის სხვა ფორმები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ფინანსურმა კრიზისმა ასევე მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონია გლობალურად ბევრი ფინანსური ინსტიტუტის აქტივების ღირებულებასა და კაპიტალზე. მრავალი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა რეცესიის რეჟიმში გადავიდა და ბევრ განვითარებად ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპი.

2013 წლის მეორე ნახევრიდან გლობალური ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებისა და 2014–2015 წლებში პერსპექტივების გაუმჯობესების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორება კვლავ ნელი ტემპით მიმდინარეობს და დაღმასვლის რისკი კვლავ არსებობს. განვითარებულ ქვეყნებში ძირითადი საფრთხე ევროზონიდან მომდინარეობს, სადაც პოლიტიკურმა დაძაბულობამ, დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილებამ და მერყეევმა ეკონომიკურმა პირობებმა შესაძლოა კიდევ უფრო შეამციროს ეკონომიკური ზრდა. ამავე დროს, განვითარებად ბაზრებზე ხდება ადაპტაცია გარე დაფინანსების მოპოვების უფრო რთულ პირობებთან, რაც ასევე საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ ზრდას. რადგან ეკონომიკური ზრდის ეს რისკები კვლავ დომინირებს, გლობალურმა ეკონომიკამ, საქართველოს ეკონომიკის ჩათვლით, შესაძლოა კვლავ განიცადოს რყევები და შემასუსტებელი გარე ფაქტორების ზემოქმედება და შეიქმნას არასახარბიელო ეკონომიკური პირობები.

საქართველოს ეკონომიკაზე შესაძლოა ასევე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გაზრდილმა არასტაბილურობამ გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე და კაპიტალის ნაკლებმა შემოდინებამ განვითარებად საბაზრო ეკონომიკებში მსოფლიოს მასშტაბით, ასევე გლობალური ვაჭრობის შესუსტებამ, გაზრდილმა გეოპოლიტიკურმა რისკებმა, ფართო მოხმარების საგნებზე ფასების არასტაბილურობამ/კლებამ, რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობის გაუარესების გარე ეფექტებმა და ჩინეთის ეკონომიკის განვითარების ტემპის შენელებამ. განვითარებად ბაზრებზე ფინანსურ თუ პოლიტიკურ არასტაბილურობას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა კაპიტალის ბაზრებზე და ზოგადად ეკონომიკაზე, ვინაიდან ინვესტორები ჩვეულებრივ ამჯობინებენ საკუთარი ფულის უფრო განვითარებულ ბაზრებზე გადატანას, რადგან ამგვარი ბაზრები უფრო სტაბილურად მიიჩნევა.

აღნიშნულმა მოვლენებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ საქართველოზე და შესაბამისად კომპანიაზე, მის საქმიანობაზე და სამომავლო გეგმებზე.

რეგიონულმა დაძაბულობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიაზე

საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში არსებულმა კონფლიქტებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე. საქართველოს მიმდინარე კონფლიქტი აქვს აფხაზეთის და ცხინვალის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. აღნიშნული კონფლიქტები ხასიათდება პერიოდული ძალისმიერი დაპირისპირებითა და სამშვიდობო შეთანხმებ(ებ)ის დარღვევით. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები დაუპირისპირდნენ ადგილობრივ შეიარაღებულ დაჯგუფებებსა და რუსეთის ჯარს, რომელმაც საერთაშორისო საზღვარი გადმოკვეთა. საქართველომ და რუსეთმა, საფრანგეთის შუამავლობით, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვით, რუსეთის ჯარი 2008 წლის აგვისტოს ბოლოს უნდა გასულიყო საქართველოს ტერიტორიიდან, თუმცა, რუსეთის ჯარი კვლავ განაგრძობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას და დაძაბულობა გრძელდება. 2013 წელს რუსეთის სასაზღვრო ძალებმა მავთულხლართების ღობეები აღმართეს საქართველოსა და ცხინვალის რეგიონის სადემარკაციო ხაზის გასწვრივ და დე ფაქტო საზღვარი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოწიეს, რაც რამდენჯერმე განმეორდა. თუ მსგავსი ქმედებები მომავალშიც განმეორდა, ეს კიდევ უფრო გაამწვავებს ურთიერთობას მხარეებს შორის. ამავე დროს, რუსეთი ეწინააღმდეგება ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებას (რაც მოიცავს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს). ამასთანავე, რუსეთ–საქართველოს ურთიერთობები შესაძლოა კიდევ უფრო გაუარესდეს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის კონტექსტში, რაც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას და გულისხმობს თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს ევროპასთან. გარდა ამისა, 2017 წლის 2 თებერვალს ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა სავიზო ლიბერალიზაციას საქართველოსთვის. საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ უვიზო მიმოსვლით ევროკავშირის წევრ 22 ქვეყანაში, არაწევრ 4 ქვეყანაში და შენგენის ზონაში გაერთიანების კანდიდატ 4 ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, თუმცა, წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისათვის, ამ ნაბიჯებს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მეზობლებს - აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობები კვლავ დაძაბულია და დროდადრო ადგილი აქვს ძალისმიერ დაპირისპირებას. ამ რეგიონში კონფლიქტის გამწვავებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკაზე. ასეთივე გავლენა შესაძლოა ჰქონდეს საქართველოზე რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტს. უკრაინის კრიზისი დაიწყო 2013 წლის ბოლოს და კვლავ გრძელდება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა დააწესეს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, რამდენიმე რუსული ბანკისა და კომპანიის ჩათვლით. უკრაინის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ასევე რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტის გახანგრძლივებამ, რუსეთის ეკონომიკაზე სანქციების გავლენამ და/ან რეგიონალური, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდამ, ასევე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომმა გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს პოლიტიკურ სტაბილურობასა და მის ეკონომიკურ ზრდაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

ამასთან, დასავლეთის მთავრობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს ურთიერთობის მკვეთრ ცვლილებას, ასევე ეროვნული უსაფრთხოებისა და დასავლეთის ენერგომატარებლებით მომარაგების პროცესში საქართველოს როლის შესუსტებას, საქართველოსათვის გამოყოფილი დახმარების შემცირებას და ქართველი მეწარმეების მიერ მსოფლიო საექსპორტო ბაზრებზე შესვლის გართულებას შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საქართველოს სტაბილურობაზე და მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რამაც, თავის მხრივ, არსებითად უარყოფითად იმოქმედებს კომპანიაზე, მის საქმიანობასა და განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე.

მეზობელ ქვეყნებში შექმნილმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე

საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონის სხვა ქვეყნების, მათ შორის აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთისა და თურქეთის ეკონომიკაზე.

აზერბაიჯანი და სომხეთი საქართველოს ორი უმსხვილესი საექსპორტო ბაზარია, სადაც 2016 წელს საქართველოს მთლიანი ექსპორტის, შესაბამისად, 7.3% და 7.1% გავიდა. 2015 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი მართვად მცურავ კურსზე გადავიდა რის შედეგადაც მანათი 47.6%-ით გაუფასურდა აშშ დოლართან, ხოლო 47.9%-ით ევროსთან მიმართებით. 2014 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის თებერვლამდე სომხური დრამი დაახლოებით 16.9%-ით გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებით. დროის გარკვეულ პერიოდში, მეტ-ნაკლები სტაბილურობის შემდეგ, სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა სომხური დრამის

გასამყარებლად სავალუტო ინტერვენციების განხორციელება დაიწყო და საკუთარი ეროვნული რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი დახარჯა, რაც შემდეგ სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებით შეავსო. 2015 წლის 31 დეკემბრიდან 2016 წლის 31 მაისამდე სომხური დრამი 1.3%-ით გამყარდა დოლართან მიმართებით, რის შემდეგაც სომხური დრამი სტაბილურობას ინარჩუნებს.

რუსეთი საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია. 2013 წლის გაზაფხულზე რუსეთმა მანამდე არსებული სავაჭრო ემბარგო გააუქმა და საქართველოს მწარმოებლებისთვის რუსეთის ბაზარი კვლავ გაიხსნა, რის შედეგადაც 2013 წელს ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთის ბაზარზე გასამმაგდა. საქსტატის მონაცემების თანახმად, 2017 წლის 31 იანვრის მდგომარეობით ამ ბაზარზე საქართველოს მთლიანი ექსპორტის 18% და მთლიანი იმპორტის 8% მოდიოდა. ბოლო დროს რუსეთის ეკონომიკამ დაღმასვლა განიცადა, ნაწილობრივ, ნავთობზე მსოფლიო ფასების ვარდნის და აშშ-სა და ევროკავშირის სანქციების გამო. ეს სანქციები რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაძაბულობის შედეგია, რომელიც გამოწვეულია უკრაინასა და სირიაში კონფლიქტებით. რუსეთის ეკონომიკური განვითარების შენელებული ტემპი საზიანოდ მოქმედებს საქართველოდან ექსპორტზე.

თურქეთი საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორია. საქსტატის ინფორმაციით, 2016 წელს თურქულმა იმპორტმა საქართველოს მთლიანი იმპორტის 18.7% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს თურქეთის ეკონომიკური ზრდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2.9% იქნება, პოლიტიკური გაურკვევლობა, არასახარბიელო გეოპოლიტიკური მოვლენები, თურქული ლირის მკვეთრი გაუფასურება და მზარდი ინფლაცია თურქეთის ეკონომიკური ზრდის პოტენციურ შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს და არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ ქვეყანაში პოზიტიური ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება.

საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ზრდის შენელების და ვალუტის გაუფასურების შედეგად საქართველოდან ექსპორტი და საქართველოში ფულადი გზავნილების შემოდინება შემცირდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშის „მსოფლიოს ეკონომიკური პერსპექტივის" თანახმად, რომელიც 2016 წლის აპრილში გამოქვეყნდა, 2016 წელს რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის 1.1%-იანი უარყოფითი ზრდა იყო პროგნოზირებული. ამ გაუარესების გამომწვევი უმთავრესი ფაქტორებია რუსეთის ეკონომიკის დაღმასვლის შედეგები და ასევე, ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებზე ნავთობის ფასების შემცირების უარყოფითი ზემოქმედება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2017 წელს დსთ-ის ეკონომიკების ზრდის ტემპი 1.5% იქნება, ხოლო 2018 წლიდან 2021 წლამდე, ზრდის საშუალო ტემპი 2.1%-ს მიაღწევს. ამავე დროს, 2017 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში 4%-იან ზრდას ვარაუდობს.

მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციებისა, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გაგრძელებამ ან შემდგომმა გაუარესებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზარალოს საქართველოს ეკონომიკა, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

ვინაიდან კომპანია საქმიანობს საქართველოში, მისი წარმატება დამოკიდებულია საქართველოზე გავლენის მქონე გარკვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ფაქტორებზე, რომლებიც მის კონტროლს არ ექვემდებარება

მაკროეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსი, ასევე უმუშევრობა, ფიზიკური პირებისა და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის მომსახურების მოთხოვნადობაზე, მის მოგება/ზარალზე, საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს ეკონომიკის ძირითადი დარგებია ტურიზმი, სატრანზიტო მომსახურება, სოფლის მეურნეობა, სამთო–მომპოვებელი საქმიანობა, მეტალურგია და შხამ–ქიმიკატების წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2014 წელს 4.6%–ით გაიზარდა, 2015 წელს ზრდა გაცილებით მცირე იყო და 2.9%-ს შეადგენდა. მომხმარებელთა და ინვესტორთა რწმენა კვლავ სუსტია და სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების განხორციელება კვლავ ჩამორჩება დაგეგმილ გრაფიკს. შესაბამისად, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება.

საქართველოს ბაზარზე რყევებმა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. ამან, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მომსახურებაზე მოთხოვნისა და მომხმარებელთა მიერ ფულადი სახსრების ხარჯვის შემცირება. ნებისმიერი ასეთი მოვლენა არსებითად უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე და კომპანიის საქმიანობაზე

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, ფაქტობრივად არ არსებობს ბაზარი საქართველოს გარეთ მისი გაცვლისათვის, ხოლო საქართველოში ლარის კონვერტაციის ბაზრის მასშტაბი შეზღუდულია. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2016 წელს აშშ დოლარსა და ევროზე ლარის კონვერტაციის სავაჭრო ბრუნვამ (საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის გამოკლებით) 28.7 მილიარდი აშშ დოლარი და 10.8 მილიარდი ევრო შეადგინა. ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი სავალუტო რეზერვები 2.757 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მტკიცებით, ეს რეზერვები საკმარისი იქნება მოკლევადიან პერიოდში ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სავალუტო ბაზრის არასტაბილურობამ შეიძლება შეაფერხოს საქართველოს ეკონომიკის განვითარება, რამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორატიული კლიენტების საქმიანობაზე და, თავის მხრივ, კომპანიაზე.

მნიშვნელოვანი არასტაბილურობა შეიმჩნეოდა აშშ დოლარის და სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალუტების მიმართ ლარის გაცვლით კურსთან მიმართებით 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, ასევე 2011 და 2015 წლებში. 2017 წლის 31 იანვარს აშშ დოლარი/ლარის გაცვლითმა კურსმა 2.7061 ნიშნულს მიაღწია, მაშინ როდესაც 2015 წლის 1 იანვარს აშშ დოლარი/ლარის დოლარის გაცვლითი კურსი იყო 1.8821. 2017 წლის თებერვლის თვიდან ლარის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეჩერდა და აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი შედარებით დასტაბილურდა. 2017 წლის 31 მარტს აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი იყო 2.4452, ხოლო 30 ივნისს - 2.4072. ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობა დამოკიდებულია როგორც ქვეყნის შიდა ისე გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის შესაძლებლობაზე კონტროლს დაუქვემდებარონ ინფლაცია, ასევე უცხოური სავალუტო რეზერვების ხელმისაწვდომობაზე, უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა და სხვა მყარი ვალუტის შემოდინებაზე. აღნიშნული ფაქტორების გაკონტროლების უუნარობამ ან ლარის შემდგომმა მნიშვნელოვანმა გაუფასურებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. „საქსტატის" გათვლების თანახმად, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის სამომხმარებლო ფასების ინდექსით გაზომილი წლიური ინფლაციის მაჩვენებელი საქართველოში 1.8% იყო 2016 წელს, 4.9% – 2015 წელს, ხოლო 2.0% – 2014 წელს. საშუალო წლიური ინფლაცია მზარდი იყო 2015 წელს და შეადგინა 4.0%, თუმცა, 2016 წლის განმავლობაში 2.1%–მდე შემცირდა. მაღალმა და მდგრადმა ინფლაციამ შეიძლება ბაზარზე არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მომხმარებლის მსყიდველუნარიანობის შემცირება და მომხმარებელთა რწმენის შერყევა გამოიწვიოს. ნებისმიერმა ამგვარმა მოვლენამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომხმარებლების ბიზნესზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

ქვეყნის შიდა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და კომპანიის საქმიანობაზე

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ განიცადა არსებითი პოლიტიკური ტრანსფორმაცია საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფოდან დამოუკიდებელ სუვერენულ დემოკრატიად. 2003 წლის ნოემბრის მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 2012 წლის ოქტომბრამდე, ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალა იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა," ხოლო ქვეყნის პრეზიდენტის პოსტს 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის ნოემბრამდე მიხეილ სააკაშვილი იკავებდა. 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და საპარლამენტო უმრავლესობა (54.97%) მოიპოვა იმ დროს ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართული ოცნება", რომელსაც ხელმძღვანელობდა ბიძინა ივანიშვილი. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველმა პარტიამ აღიარა დამარცხება და შესაბამისად, საქართველოში ძალაუფლების გადაცემა მოხდა კონკურენტული და საყოველთაოდ აღიარებული არჩევნების შედეგად. საქართველოს პარლამენტმა, არჩევნების შემდეგ, პრემიერ-მინისტრად აირჩია ბიძინა ივანიშვილი. 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში პრეზიდენტად არჩეულ იქნა გიორგი მარგველაშვილი, მმართველი კოალიციის, „ქართული ოცნების" კანდიდატი. 2013 წელს ბიძინა ივანიშვილის გადადგომის შემდეგ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა ირაკლი ღარიბაშვილი, ხოლო 2015 წლის 30 დეკემბრიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრია გიორგი კვირიკაშვილი. 2016 წლის 8 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება" კვლავ მოიპოვა გამარჯვება (48.7%), ხოლო მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" (27.11%) და „პატრიოტთა ალიანსმა" (5%).

„ქართული ოცნება" მიიჩნევა ბიზნესისა და ინვესტორების მიმართ კეთილგანწყობილ პოლიტიკურ ძალად და დღემდე რჩება იმ მთავარი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის გამტარებლად, რაც ემსახურება

ქართული ეკონომიკის ლიბერალიზაციას. თუმცა, ამავდროულად, საქართველოს პარლამენტში განხილული ბევრი საკანონმდებლო ინიციატივა (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისებაზე დაწესებული მორატორიუმი) ბიზნეს საზოგადოების კრიტიკის ობიექტად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ორიენტირებულია პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკური რეფორმების დაჩქარებაზე, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მთავრობის მიმდინარე პოლიტიკური ან/და ეკონომიკური რეფორმები გაგრძელდება იგივე ტემპით ან რომ ეს მცდელობები წარმატებული იქნება. საქართველო დგას რამდენიმე გამოწვევის წინაშე, რუსეთთან კვლავ დაძაბული ურთიერთობისა და შემდგომი ეკონომიკური/პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროების ჩათვლით. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც არსებითად უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერირების შედეგებსა და განვითარების პერსპექტივაზე.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებას ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში. შესაბამისად, კომპანიის შემოსავლის და მოგების ზრდა მომავალში დამოკიდებულია საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარებაზე. კომპანიის შემოსავალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა ინფლაცია, ვალუტის გაცვლის კურსი, უმუშევრობა, საპროცენტო განაკვეთები და ა.შ.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ მთლიანად საქართველოში ან მის რომელიმე ნაწილში, რომელშიც კომპანიას ბევრი აბონენტი ჰყავს, შესაძლოა შეამციროს მოთხოვნა კომპანიის მოსახურებაზე. პროდუქტების განვითარებისა და სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრის დროს კომპანია ცდილობს შეაფასოს სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნა და კონკურენტული გარემო, თუმცა, ვითარების მკვეთრი ცვლილების შემთხვევაში, შესაძლოა ასეთი გათვლები აღარ იყოს სწორი და კომპანიამ ვერ შეძლოს დროული რეაგირება შეცვლილ გარემოებებზე, რამაც, მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის აბონენტების რაოდენობასა და შემოსავალზე.

კომპანია უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების მიწოდებას, როგორც იურიდიულ ისე ფიზიკურ პირებზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს აბონენტების უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური. ნებისმიერმა ფაქტორმა რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის მსხვილ კორპორატიულ მომხმარებლებზე ან ზოგადად მოსახლეობის შემოსავლის დონეზე შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლების უუნარობა დროულად და სრულად დაფარონ დავალიანება კომპანიის მიმართ, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის მომგებიანობასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

კომპანიას რეგულარულად უწევს მნიშვნელოვანი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების გაწევა

ელექტრონული კომუნიკაციების სფერო მუდმივად ვითარდება და მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიას რეგულარულად უწევს მნიშვნელოვანი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების გაწევა. კომპანიის შემოსავლები შესაძლოა შემცირდეს თუ ის ვერ შეძლებს შესაბამისი ხარჯების გაწევას და აბონენტებისათვის სასურველი მომსახურების შეთავაზებას.

გარდა ამისა, კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების მნიშნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული ან დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე (ძირითადად აშშ დოლარზე). ამასთანავე, კომპანია შემოსავლების ძირითად ნაწილს ლარში იღებს. ლარის გაცვლითი კურსის უარყოფითმა ცვლილებამ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამავე დროს, კომპანიის კომერციული შესაძლებლობა გაზარდოს მომსახურების ფასები შესაძლოა შეზღუდული იყოს.

კომპანიის მომსახურება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქსელის, ტექნიკური მოწყობილობის, საინფორმაციო სისტემებისა და მომწოდებლების გამართულ მუშაობაზე

კომპანიის საინფორმაციო სისტემების ან ტექნიკური ინფრასტრუქტურის, მათ შორის, მაგისტრალური კაბელების, გამანაწილებელი ქსელის ან სადგურების, მწყობრიდან გამოსვლამ (რაც შეიძლება გამოიწვიოს

ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, უამინდობამ, ელექტროენერგიის გამორთვამ, პროგრამული უზრუნველყოფის მწყობრიდან გამოსვლამ ან კომპიუტერულმა ვირუსებმა და სხვა გარემოებებმა) შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობა, შეაფერხოს აბონენტებისათვის მომსახურების მიწოდება და შესაბამისად გამოიწვიოს აბონენტების რაოდენობის შემცირება. ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს შესაბამისი კანონმდებლობით და ხელშეკრულებებით განსაზღვრული სანქციების დაკისრება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს შემოსავლის დაკარგვას, ხარჯების ზრდას და კომპანიის რეპუტაციის შელახვას. აღნიშნული რისკების დაზღვევის მიზნით, კომპანიას რეგულარულად უწევს კაპიტალური ხარჯების გაწევა, მათ შორის ქსელის გეოგრაფიული რეზერვირებისა და ტექნიკური მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით.

კომპანია ახორციელებს ტექნიკური ინფრასტრუქტურის სათანადო ექსპლუატაციას და მომსახურებას და, საჭიროების შემთხვევაში, მის განახლებას. ტექნიკური აღჭურვილობის მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებით კომპანია იღებს მომწოდებლებისაგან ტექნიკურ მხარდაჭერას. კომპანია უზრუნველყოფს შესაბამისი თანამშრომლების პერიოდულ გადამზადებას და იღებს საკონსულტაციო მომსახურებას ტექნიკური ოპერირების გაუმჯობესების მიზნით. ამ ძალისხმევის მიუხედავად, არსებობს რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს მომხმარებლებისათვის მომსახურების სათანადოდ უზრუნველყოფა.

კომპანიის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების გამართულ მუშაობაზე. ზოგიერთი საინფორმაციო სისტემა შექმნილია კომპანიის თანამშრომლების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს ამ სისტემების განვითარებას სამომავლო მოთხოვნების შესაბამისად ან ამ სისტემების ოპერირებასთან დაკავშირებით შეიქმნება პრობლემები, ამას შეიძლება მოყვეს ახალი სისტემების შეძენასთან ან დანერგვასთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯების გაწევის საჭიროება.

კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შპს ქარვას გამართულ ფუნქციონირებაზე, რომელიც კომპანიას უწევს IP ტელევიზიის პროგრამული უზრუნველყოფის ექსპლუატაციასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მომსახურებას. კომპანია ქარვას ძირითადი კლიენტია. იმ შემთხვევაში, თუ ქარვა ვერ შეძლებს მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევას ან ვერ შეძლებს კომპანიისათვის მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინეული ხარისხით მიწოდებას, ამან შესაძლოა კომპანიის აბონენტების მომსახურების შეფერხება გამოიწვიოს. გარდა ამისა, კომპანია შესაძლოა იძულებული გახდეს შეიძინოს IP ტელევიზიის ახალი პლატფორმა, რაც მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და რომლის დანერგვასაც გარკვეული დრო დასჭირდება.

კომპანია რეგულარულად აუმჯობესებს ტექნიკურ, მათ შორის საინფორმაციო სისტემების, ინფრასტრუქტურას, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ განზრახი ქმედებების გამო, ტექნიკური ინფრასტრუქტურა ან საინფორმაციო სისტემების სერვერები დაზიანდა, შესაძლოა ეს სისტემები არასაკმარისად რეზერვირებული აღმოჩნდეს, რამაც შესაძლოა ინფორმაციის დაკარგვა და კომპანიის საქმიანობის შეფერხება გამოიწვიოს.

კომპანია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შპს სერვისნეტის გამართულ ფუნქციონირებაზე, რომელიც ახორციელებს კომპანიის პასიური ინფრასტრუქტურისა და აბონენტების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების ნაწილს. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით, კომპანია სერვისნეტის ძირითადი კლიენტია. იმ შემთხვევაში, თუ სერვისნეტი ვერ შეძლებს მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევას ან ვერ შეძლებს კომპანიისათვის მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული ხარისხით მიწოდებას, კომპანია შესაძლოა იძულებული გახდეს მოძებნოს შესაბამისი მომსახურების ალტერნატიული მომწოდებელი, რამაც შეიძლება გარდამავალ პერიოდში წარმოშვას კომპანიის საქმიანობის შეფერხების რისკი. კომპანია რეგულარულად აწარმოებს სერვისნეტის მიერ გაწეული მომსახურების მონიტორინგს და შესაძლო რისკების შეფასებას.

კომპანიის გამართული მუშაობა და მისი ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტექნიკური მოწყობილობების/მომსახურების მომწოდებლების მცირე რაოდენობასთან ურთიერთობაზე. იმ შემთხვევაში, თუ გაუარესდა კომერციული პირობები ან მომწოდებლებმა ვერ მოახერხეს კომპანიისათვის სათანადო მოწყობილობების ან მომსახურების დროულად მიწოდება, კომპანიის საქმიანობა შესაძლოა შეფერხდეს. კომპანიისათვის ტექნიკური მოწყობილობის, პროგრამული უზრუნველყოფის და მომსახურების მნიშვნელოვანი მომწოდებლები არიან Huawei Technologies Co. Ltd., ZTE Corporation, Cisco Systems, Inc., Juniper Networks და Cboss Corporation, Inc. და მათი ავტორიზებული წარმომადგენლები. აღნიშნული მომწოდებლების ჩანაცვლება შესაძლოა რთული და ხანგრძლივი პროცესი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ქსელის დაგეგმარებისას და მოწყობილობის შეძენისას კომპანია ცდილობს ქმედითი ალტერნატივები იქონიოს რათა მოახდინოს კომერციული და ტექნიკური რისკების შემცირება.

ზემოთ აღწერილი ნებისმიერი რისკის მატერიალიზება არსებითად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომავალი განვითარების პერსპექტივებზე.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა საოპერაციო რისკთან

გლობალურ ინტერნეტ რესურსებთან წვდომის ხარჯები კომპანიის საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია. მომხმარებლის მიერ საშუალოდ მოხმარებული გლობალური ინტერნეტის მოცულობის ან/და რესურსის ფასის მნიშვნელოვანმა ზრდამ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. გლობალური ინტერნეტ რესურსების დანახარჯების კონტროლის მიზნით, კომპანია მუდმივ კავშირშია შესაბამის საერთაშორისო პარტნიორებთან და თვალყურს ადევნებს რეგიონალურ ტენდენციებს. მაგისტრალური ქსელის განვითარებამ და მეზობელ ქვეყნებთან ახალი სასაზღვრო შეერთებების მოწყობამ კომპანიას რეზერვირებისა და შესაძლო მომწოდებლების გამრავალფეროვნების საშუალება მისცა. 2016 წლის მესამე კვარტალში კომპანიამ შესაბამისი ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება მოახერხა. ამასთანავე, კომპანია რეგულარულად მუშაობს პოპულარული საერთაშორისო კონტენტის მომწოდებლებთან (მაგალითად, Google და Facebook), მათი ინფორმაციის ნაწილის ქეშირებაზე (Caching), რაც, შესაბამისად, მნიშვნელოვნად ამცირებს გლობალური რესურსის მოხმარებას. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, გლობალურ ინტერნეტ რესურსებთან წვდომის ხარჯების ზრდის რისკი კვლავ არსებობს.

კომპანია თავის საქმიანობაში იყენებს მესამე პირების სატელევიზიო არხების გადაცემის/გავრცელების უფლებას და სხვა ინტელექტუალურ საკუთრებას, შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე, თუმცა შესაძლოა წარმოიშვას დავა გამოყენებული უფლებების (მათ შორის საავტორო და მომიჯნავე უფლებების) ფარგლებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის რეპუტაციაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

სატელევიზიო კონტენტის, განსაკუთრებით პრემიალური კონტენტის, ღირებულების გაზრდის შემთხვევაში, კომპანიას შეიძლება დამატებითი ხარჯების გაწევა მოუწიოს ან დაკარგოს შესაბამისი უფლებები. ვიდეო კონტენტის მოხმარების ტენდენციების ცვლილებასთან ერთად, ე.წ. „ცოცხალი" (Live) კონტენტი სულ უფრო და უფრო ღირებული ხდება აბონენტების მოსაზიდად. ეს განსაკუთრებით პოპულარულ სპორტულ შეჯიბრებებს ეხება, რომელთა ალტერნატივაც არ არსებობს და რომელთა ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლებების მიღებით კომპანიამ მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა მოიპოვა. ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნევა ასეთი შეჯიბრებების ტრანსლაციის უფლებების ღირებულების ზრდა. ამგვარი უფლებების განახლების პროცესში შეიძლება უფლებების მფლობელებს მეტი მოთხოვნა გაუჩნდეთ და ამავე დროს მეტმა ადგილობრივმა და რეგიონალურმა კონკურენტმა იბრძოლოს ტრანსლაციის უფლებების მოსაპოვებლად. შესაბამისად, კომპანიამ შეიძლება ვეღარ მიიღოს სპორტული შეჯიბრებების ტრანსლაციის უფლებები ან დამატებითი ხარჯების გაწევა მოუწიოს მათ მოსაპოვებლად.

6 სატელევიზიო არხის - „რუსთავი 2", „იმედი", „მაესტრო", „კომედი", „მარაო" და „ჯი-დი-ესი" - ტრანზიტის საფასურის შესაძლო დაწესებამ (იხილეთ „ ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ" - „მაუწყებლობის ტრანზიტი IP ტექნოლოგიით") შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მომსახურების საფასურის ზრდა. მომსახურების გაზრდილი საფასურის გამო, ან იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ ვერ მიაღწია შეთანხმებას ტრანზიტის საფასურზე ამ არხების წარმომადგენელ შპს „მედია რაითს ჯორჯიასთან" და სილქნეტმა ზემოთ ჩამოთვლილი არხების ტრანზიტის უფლება ვეღარ მიიღო, კომპანიის აბონენტების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ბოლო წლებში დაპროექტებული და განვითარებული ახალი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და ხაზობრივი ნაგებობების პარალელურად, კომპანიის საკუთრებასა და მართლზომიერ მფლობელობაშია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელები და ხაზობრივი ნაგებობები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა. კომპანიის მფლობელობაში არსებულ რიგ ქონებასთან დაკავშირებით, ხშირია დაუზუსტებელი ფორმით ან არსებითი ცდომილებით რეგისტრაციის შემთხვევები. კომპანია ეტაპობრივად ახორციელებს სარეგისტრაციო მონაცემებში ხარვეზების გასწორებას, რა დროსაც, არცთუ იშვიათად, იკვეთება კომპანიის მფლობელობაში არსებული საკომუნიკაციო ქსელებისა და ხაზობრივი ნაგებობების გატარების ადგილებზე უძრავი ქონების ახალ მესაკუთრეთა ინტერესები. კანონმდებლობის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების, მარეგისტრირებელი ორგანოებისა და სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნება, ცალკეულ შემთხვევებში, იწვევს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და ხაზობრივი ნაგებობების დემონტაჟისა და გადატანის აუცილებლობას, რაზეც კომპანიას დამატებითი ხარჯების გაწევა უწევს. ასეთი ხარჯების გაწევის საჭიროებამ მომავალში შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მმართველი გუნდისა და კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნებაზე. შესაბამისად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი პოზიციის მქონე თანამშრომლის მიერ კომპანიის დატოვებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მუშაობაზე, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც. კომპანიის ძირითადი და გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლები არიან გენერალური დირექტორი და სხვადასხვა მიმართულების დირექტორები.

კომპანიაში დასაქმებულია 1500-ზე მეტი ადამიანი. 2010 წელს გაფორმდა კოლექტიური ხელშეკრულება კომპანიასა და საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს შორის, რომელშიც 2017 წლის მარტის მონაცემებით, კომპანიის 329 თანამშრომელი არის გაწევრიანებული. ხელშეკრულება განახლდა 2012 და 2016 წლებში და ძალაშია 2020 წლის ბოლომდე (შემდგომი განახლების ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის). კოლექტიური ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული კავშირის ჩართულობას კომპანიის საკადრო პოლიტიკის შემუშავებასა და კორექტირებაში. გარდა ამისა, კომპანია ვალდებულია პროფესიულ კავშირთან ორმხრივი კომისიის ფორმატში განიხილოს ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციისა თუ საკადრო რეორგანიზაციის საკითხები, რამაც შეიძლება აღნიშნული პროცესი შეაფერხოს ან გაახანგრძლივოს. თანამშრომელთა გაფიცვამ ან ლოკაუტმა შეიძლება შეაფერხოს კომპანიის საქმიანობა ან გამოიწვიოს კომპანიის ხარჯების ზრდა. შტატების ან ხელფასების ნებისმიერმა შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლების უკმაყოფილება, რასაც უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

კონკურენციამ და მომსახურებების ურთიერთჩანაცვლებამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მომსახურების ტარიფების შემცირება ან/და ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე კომპანიის წილის შემცირება

საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში რამდენიმე კომპანია საქმიანობს, მათ შორის ზოგიერთს აქვს შესაძლებლობა მომხმარებელს შესთავაზოს ფიქსირებული და მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული სპექტრი. კომპანია მუდმივ კავშირშია ბაზარზე მოქმედ სხვა მობილურ ოპერატორებთან და მათთან ერთად განიხილავს ერთობლივი პროდუქტების შექმნის შესაძლებლობას. თუმცა, ამგვარი პროდუქტების შექმნა და შეთავაზება ორი დამოუკიდებელი კომპანიის მიერ უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია და ინტეგრირებული მომსახურების მქონე კომპანიებისათვის კონკურენციის გაწევის მცდელობა შესაძლოა ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდეს. კონკურენტების მიერ ტარიფების შემცირების შემთხვევაში, კომპანია შეიძლება იძულებული გახდეს შეამციროს თავისი მომსახურების ტარიფები. რამაც თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის აბონენტთა რაოდენობისა და შემოსავლების შემცირება. ამავე დროს, კომპანია აქტიურად განიხილავს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მოქმედი ისეთი კომპანიის შეძენის შესაძლებლობას, რომელიც მას საშუალებას მისცემს თავად უზრუნველყოს ფიქსირებული და მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული სპექტრის აბონენტებისათვის შეთავაზება. ამგვარი პროექტის განსახორციელებლად კომპანიას შესაძლოა მოუწიოს დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება, მათ შორის სასესხო ინსტრუმენტების ფორმით.

კომპანიის შემოსავალი და აბონენტების რაოდენობა ნაწილობრივ დამოკიდებულია მაუწყებლობის ტრანზიტის პროდუქტზე, რომელზეც მოთხოვნა შესაძლოა შემცირდეს სატელევიზიო არხების ყურებადობის შემცირების შემთხვევაში. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მსგავსი ტენდენციები უკვე შეინიშნება, მომხმარებელთა ნაწილის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ვიდეო კონტენტის მოხმარების ჩვევები იცვლება და ისინი მეტად მოიხმარენ კონტენტს სხვადასხვა მოწყობილობაზე, სხვადასხვა დროს და ადგილას, მათ შორის, კონტენტს მოთხოვნით (On-demand Content), მოკლე ფორმატის კონტენტს და მომხმარებლის მიერ გენერირებულ კონტენტს (User-Generated Content). ამგვარი ვიდეო კონტენტის მომხმარებლისთვის მიწოდება ძირითადად სოციალური ქსელებისა და ე.წ. OTT (Over-The-Top) მომსახურების მეშვეობით ხდება (მაგალითად, YouTube, Facebook, Netflix, AmazonPrime და ა.შ.). კომპანია გამუდმებით ავითარებს თავის ტექნოლოგიურ პლატფორმებს, რათა აბონენტებს შესთავაზოს კონტენტის ნახვის საშუალება როგორც სახლის სეტ-ტოპ-ბოქსის, ისე ინტერნეტისა და მობილური აპლიკაციების მეშვეობით, თუმცა გლობალური პლატფორმებისათვის კონკურენციის გაწევა შესაძლოა რთული აღმოჩნდეს, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის აბონენტების რაოდენობასა და შემოსავლებზე.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მობილური (FMS) და ე.წ. OTT (Over-The-Top) მომსახურებებით (მაგალითად, Viber, Skype) ჩანაცვლების ტენდენცია შესაძლოა დაჩქარდეს, რის შედეგადაც კომპანიის ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტებისა და მათგან მიღებული შემოსავლის რაოდენობამ შესაძლოა დღევანდელზე უფრო სწრაფი ტემპით დაიწყოს კლება.

ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე მოქმედმა და ახალმა ოპერატორებმა შესაძლოა ისეთი ბიზნეს მოდელებით დაიწყონ ოპერირება, რომლებიც შემოსავლების გენერირებას არა მხოლოდ პირდაპირ მოხმარებლისთვის საკომუნიკაციო მომსახურების გაწევით ახდენენ, არამედ სხვა კომპანიებთან ერთად ისეთი

პროდუქტების შეთავაზებით, როგორიცაა ოპერატორის აბონენტების აუდიტორიისთვის რეკლამის ჩვენება, ფინანსური მომსახურება, აბონენტთა ქცევის მონაცემების შეგროვება და მესამე პირებზე გაყიდვა და სხვა.

კომპანიამ შესაძლოა დროულად ვერ განავითაროს მომხმარებლისთვის სასურველი პროდუქტები ან არასწორად გათვალოს მომხმარებლის მოთხოვნები და საჭიროებები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხისა და ეფექტურობის რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებს, შესაძლოა კონტროლის მექანიზმები არ აღმოჩნდეს ქმედითი ან კომპანიამ ფინანსური, ტექნოლოგიური თუ სხვა გარემოებების გამო ვერ შეძლოს მომხმარებლისთვის კონკურენტული პროდუქტების/მომსახურების შეთავაზება, რამაც, მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის აბონენტების რაოდენობასა და შემოსავალზე.

სხვადასხვა ტიპის პარტნიორული ურთიერთობების მეშვეობით კომპანია თვალყურს ადევნებს საერთაშორისო ტენდენციებს და ცდილობს განავითაროს კავშირები და ახალი მომსახურება, თუმცა კომპანიის მცდელობა შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი სხვა ოპერატორებისათვის სათანადო კონკურენციის გასაწევად, რამაც შეიძლება კომპანიის აბონენტების რაოდენობისა და შემოსავლების კლება გამოიწვიოს.

კომპანიის იმიჯის ნებისმიერი გაუარესება უარყოფითად აისახება მის ფინანსურ მდგომარეობაზე

კომპანიის ბრენდის იმიჯისა და რეპუტაციის ნებისმიერმა გაუარესებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს არსებული აბონენტების რაოდენობაზე და შეამციროს ახალი აბონენტების შემენის პერსპექტივა, რაც კომპანიის შემოსავლებზე უარყოფითად აისახება. კომპანია პერიოდულად ატარებს აბონენტთა აზრის და ბაზრის კვლევებს და ცდილობს გააუმჯობესოს საკუთარი პროდუქტები და აბონენტთა მოსახურების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ მოახერხებს მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას, კონკურენტული პროდუქტების შეთავაზებას, ახალი ტექნოლოგიების დროულად დანერგვას ან არ ექნება სწორი მარკეტინგული კომუნიკაცია, ამან კომპანიის იმიჯზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიის შემოსავალსა და სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე.

რეგულირებასთან და განვითარებად ბაზრებთან დაკავშირებული სხვა რისკები

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. შეიძლება თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებასთან

მარეგულირებელი ნორმებისა თუ პოლიტიკის ცვლილებები ხშირად არაპროგნოზირებადია. ნებისმიერი ასეთი ცვლილება არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს და შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის საქმიანობაზე. შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციის პროცესმა შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის ზრდა, შეზღუდოს სატელეკომუნიკაციო კომპანიების მიერ ბაზარზე ახალი პროდუქტების შემოტანის შესაძლებლობა, დააკისროს მათ დამატებითი საგადასახადო ტვირთი, დაუკარგოს პოტენციურ კლიენტებს ელექტრონული კომუნიკაციების სხვადასხვა მომსახურების მიღების ინტერესი და სხვა.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და შექმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა შექმნას გამოწვევებიც საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ჰარმონიზაციის პროცესი საკმაოდ რთული შეიძლება აღმოჩნდეს, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებელთა და დასაქმებულთა უფლებების დაცვის სფეროებში. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ცვლილებებს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე კომისიის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმაში კომისიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ტელეკომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის კონკრეტულ ევრო-დირექტივებთან

ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა სახელდება. კომისიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მარეგულირებელი საქმიანობა ითვალისწინებს ისეთ საკითხებსაც, როგორიც არის უნივერსალური მომსახურების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე და შესაბამის ტერმინალურ მოწყობილობებზე ეკვივალენტური წვდომის უზრუნველყოფა, ქსელების უსაფრთხოებასთან (კიბერუსაფრთხოებასთან) დაკავშირებული საკითხების დარეგულირება და ბავშვებისათვის უსაფრთხო „online" გარემოს შექმნის მიზნით ადეკვატური კონტროლის/ფილტრაციის მექანიზმების შექმნა.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეგულირებასთან დაკავშირებით 2017 წლის მარტში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს დამატებითი, მათ შორის ტექნიკური, ვალდებულებები ეკისრებათ. იქმნება ახალი სუბიექტი - სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც უფლებამოსილია ავტორიზებულ პირებს დაუდგინოს მიყურადების სისტემის ტექნიკური მოთხოვნები, ჩაატაროს ავტორიზებული პირის საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაცო ინფრასტრუქტურის შემოწმება და შესაბამისი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მიმართოს კომისიას, რომელიც დამრღვევი ავტორიზებული პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს განიხილავს.

შესაბამისად, მოსალოდნელია გარკვეული ცვლილებები ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში. ახლახანს მიღებული და მომავალში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კომპანიას შეიძლება მოუწიოს პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობაში მოსაყვანად და შესაბამისი ხარჯების გაღება. ამასთან, განახლებული პროცედურების დაცვის მონიტორინგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებით ხარჯებთან, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომგებიანობაზე.

კომისია უფლებამოსილია განახორციელოს ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებებით ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემებისათვის ჰარმონიზებული რადიოსიხშირული დიაპაზონების (ამავე გადაწყვეტილებებით დადგენილი ტექნიკური ნორმებისა და პირობების შესაბამისად) ეროვნულ დონეზე განაწილება. ამგვარ დიაპაზონებში გაცემული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიები ექვემდებარება 15 წლის ვადითა და ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპების შესაბამისად მოდიფიცირებას, ხოლო ლიცენზიის საფასური - კომისიის დადგენილებით განსაზღვრული წესით გადაანგარიშებას. 2300-2400 მჰც დიაპაზონის ევროკავშირის ფარგლებში ჰარმონიზაციის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილი იქნება გადაიანგარიშოს კომპანიის სარგებლობაში არსებული სამი (F48, F53 და F98) ლიცენზიის საფასური. თუ დაანგარიშებული საფასური მაღალი აღმოჩნდა, კომპანიას მოუწევს დამატებითი ხარჯის გაღება.

კონკურენციის რეგულირებიდან გამომდინარე კომპანიისათვის დაწესებულმა შეზღუდვებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, მის მომგებიანობასა და სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე

კონკურენციის მარეგულირებელი სპეციალური ნორმების საფუძველზე, კომისიის გადაწყვეტილებით, მომსახურების ბაზრის გარკვეულ სეგმენტებზე (მაგალითად, ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების სეგმენტი) კომპანია დადგენილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად, რის შედეგადაც, სხვა სპეციფიკურ ვალდებულებებთან ერთად, კომპანიას დადგენილი აქვს ზედა ზღვრული ტარიფი ზოგიერთ მომსახურებაზე. ზედა ზღვრული ტარიფი ზღუდავს კომპანიის შესაძლებლობას თავისუფლად დაადგინოს ტარიფი შესაბამისი მომსახურებისათვის. ტარიფებთან და სხვა სპეციფიკურ ვალდებულებებთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა რეგულირებამ მომავალში შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებსა და მომგებიანობაზე.

გარდა ამისა, 2014 წელს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად, საქართველოს ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს სხვადასხვა შეზღუდვა დაუწესდათ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მისი რეგულირებად სფეროში საქმიანობიდან გამომდინარე, კონკურენციის მარეგულირებელ სპეციალურ სექტორულ ნორმებს ექვემდებარება, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის ზოგადი გამოყენების ნორმები ვრცელდება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებზე და ზღუდავს მათ საქმიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 8 თებერვალს კომისიასა და კონკურენციის სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მარეგულირებელი ორგანოები აპირებენ ითანამშრომლონ კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, რამაც შესაძლოა აღნიშნული მარეგულირებელი ორგანოების მიერ კონკურენციის მარეგულირებელი ნორმების შესრულებაზე კონტროლის გაძლიერება გამოიწვიოს. რეგულირების სფეროში ნებისმიერი ცვლილება მნიშვნელოვან ტვირთად შეიძლება დააწვეს კომპანიას და უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, მის მომგებიანობაზე და სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე.

საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა სირთულეებმა, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეების ჩათვლით, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა ზიანი მიაყენოს კომპანიას

საბაზრო ეკონომიკის ჯეროვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ადეკვატური სასამართლო სისტემა საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვა საბაზისო კანონმდებლობა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედდა ან მნიშვნელოვნად შეიცვალა. ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა ახალია, ქვეყნის სამართლებრივი სისტემის სწრაფ განვითარებასთან ერთად, კანონმდებლობის ხარისხსა და აღსრულებადობას ეჭვქვეშ აყენებს და ქმნის გაურკვევლობას საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკაში გამოყენებისას.

ამასთან, საქართველოს სასამართლო სისტემას არ ყავს საკმარისი კადრები და მასში მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება. სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებთან, შედარებით, საქართველოს სასამართლოებს ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და სამეწარმეო სამართლის სფეროში. სასამართლო გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და მათი აღსრულება პრაქტიკაში შეიძლება გარკვეულ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა სირთულეებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკასა და კომპანიის კორპორატიული მმართველობის ბიზნესზე, რაც, თავის მხრივ, საზიანოდ იმოქმედებს კომპანიაზე, მის შემოსავლებსა და სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნდოვანებამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისათვის სანქციების დაკისრება. საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს

თუ შევადარებთ უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ახალია და აღნიშნული ასახვას ჰპოვებს ნორმების ბუნდოვანებაში, ასევე მათი გამოყენების პრაქტიკის არარსებობასა და წინააღმდეგობრივი და არათანამიმდევრული პრაქტიკის არსებობაში. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება, რამაც შესაძლოა კომპანიას და ზოგადად მის საქმიანობას უჩვეულო სირთულეები შეუქმნას.

ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღება ან არსებული გადასახადების განაკვეთების გაზრდა (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა) შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. თუმცა, საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაა და ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება საგადახადო პოლიტიკის შეცვლა გამოიწვიოს. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს გადასახადის განაკვეთის ზრდას, გადასახადების ადმინისტრირების ახალი ფორმების შემოღებას, არსებული შეღავათების გაუქმებას და სხვა. საგადასახადო კანონმდებლობაში ან სამთავრობო პოლიტიკაში ნებისმიერმა ამგვარმა ცვლილებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია სრულად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა, საგადასახადო ორგანოს შესაძლოა განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც კომპანიას შეიძლება მოუხდეს დეკლარაციების კორექტირება და/ან დაეკისროს საგადასახადო სანქციები.

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ კომპანია ანგარიშვალდებული საწარმო გახდება და მასზე დამატებითი საკანონმდებლო და ანგარიშგების მოთხოვნები გავრცელდება

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანია გახდება „ანგარიშვალდებული საწარმო" ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისათვის. აღნიშნული კანონი აწესებს სხვადასხვა თანხმობის მოპოვებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ დადებული ისეთი გარიგებებისათვის, რომელთა მიზნებისათვის ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ან ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელი აქციონერი მიიჩნევა დაინტერესებულ პირად (ასეთი შემთხვევები ჩამოთვლილია კანონში). ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დაინტერესებული პირის მონაწილეობით დადებული გარიგებები, ასევე გარიგებები, რომელთა ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან მეტს უნდა დაამტკიცოს ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭომ ან საერთო კრებამ, ხოლო თუ გარიგების ღირებულება აღემატება ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 50%-ს - საერთო კრებამ. ასევე საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს დაინტერესებული პირის მონაწილეობით დადებული ისეთი გარიგებები, რომელთა ღირებულება შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების

10%-ს ან მეტს, ამასთან, გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი ამოწმებს იდება თუ არა გარიგება არსებითად იგივე პირობებით, რომლებითაც ის დაინტერესების არმქონე პირებს შორის დაიდებოდა. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის. გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაბათილება, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს ანგარიშგების ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მესაკუთრეებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა ხდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია აღნიშნული ანგარიშები მიაწოდოს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია. ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს და საფონდო ბირჟას წარუდგინოს ანგარიში საწარმოს იმ ფასიანი ქაღალდების პროცენტული ოდენობის შესახებ, რომლის რეგისტრირებული ან/და ბენეფიციარი მესაკუთრეც თავად არის. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის (ხმების 10%-ზე მეტის ფლობა ან საწარმოს სხვაგვარად გაკონტროლების შესაძლებლობა) განხორციელების შემთხვევაში, შემძენი პირი ან პირთა ჯგუფი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს ეროვნულ ბანკს, ემიტენტსა და საფონდო ბირჟას, რომელზეც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის დამატებითი ტვირთია და შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი საქმიანობის ეფექტიანობაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის შემოსავლების შემცირება.

დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე კაპიტალდაბანდებას, როგორიცაა საქართველო

განვითარებადი ბაზრები ძალიან ცვალებადი, შეზღუდული ლიკვიდურობის ან მცირე საექსპორტო ბაზის მქონე შეიძლება იყოს. ამავე დროს, შედარებით ხშირად იცვლება მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი გარემო. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები განსაკუთრებით დაუცველია საბაზრო პირობების მკვეთრი ცვლილებისა და ეკონომიკური რეცესიის პირობებში.

ამასთან, საერთაშორისო ინვესტორთა რეაქცია განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყანასა თუ რეგიონში განვითარებული ერთი რომელიმე მოვლენისადმი ხშირად ჯაჭვური ხასიათისაა, რაც იმას გულისხმობს, რომ ხდება მთელი რეგიონის ან ინვესტიციების კლასის უარყოფა ინვესტორების მხრიდან. შესაბამისად, განვითარებადი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში მომხდარმა უარყოფითმა მოვლენებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკას.

ფინანსური და პოლიტიკური არასტაბილურობა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებითად უარყოფით გავლენას ახდენს მათ კაპიტალის ბაზრებზე და ზოგადად, ეკონომიკაზე, ვინაიდან ინვესტორები ჩვეულებრივ ამჯობინებენ საკუთარი ფულის უფრო განვითარებულ ბაზრებზე გადატანას, რადგან ამგვარი ბაზრები უფრო სტაბილურად მიიჩნევა.

აღნიშნულმა მოვლენებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ საქართველოზე და შესაბამისად კომპანიაზე, მის საქმიანობაზე და სამომავლო გეგმებზე.

ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს. ფასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საკრედიტო რეტინგის ცვლილებამ

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის ან მისი კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის - საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების მოცულობამ მნიშვნელოვანი

რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან რომ ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ობლიგაციების ლიკვიდურობასა თუ მათ ფასზე.

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან მის სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს, იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

2016 წლის 1 სექტემბერს „Fitch"-მა კომპანიას მიანიჭა გამომშვების გრძელვადიანი რეიტინგი „B+", სტაბილური პროგნოზით. კომპანიის რეიტინგის გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ფასზე.

ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია

თითოეულ ობლიგაციას კვარტალში ერთხელ დაერიცხება სარგებელი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, რომლის დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თარიღზე მოქმედი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი, რომელსაც პერიოდულად ადგენს და თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს საქართველოს ეროვნული ბანკი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნება, კომპანია ყველა შემდგომი საპროცენტო პერიოდისთვის (კვარტლისთვის) ერთჯერადად განსაზღვრავს ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს, რომლის დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება გამოქვეყნების შეწყვეტამდე დადგენილი საპროცენტო განაკვეთების საშუალო მაჩვენებელი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი აღადგენს მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნებას, ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთი კვლავ ცვალებადი გახდება და მისი განსაზღვრა თითოეული შემდგომი საპროცენტო პერიოდისთვის გაგრძელდება არსებული წესით.

ამასთანავე, ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის საკრედიტო რეიტინგის ცვალებადობამ. კერძოდ, საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შემცირდეს, თუ კომპანიისათვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი გაიზრდება „Fitch"-ის, „S&P"-ის ან „Moody's"-ის საკრედიტო შკალაზე (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების"* მე-6 პუნქტი - *„ობლიგაციების სარგებელი"*).

ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გამო, ობლიგაციონერმა შეიძლება იმაზე ნაკლები შემოსავალი/მოგება მიიღოს კომპანიის ობლიგაციების ფლობით, ვიდრე მათი შეძენის მომენტში მოელოდა.

შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა

პროსპექტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (და არა - ნაწილობრივ) ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან მე-2, მე-3 და მე-4 წლების ბოლოს. გარდა ამისა, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (და არა - ნაწილობრივ) ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე საგადასახადო მიზეზით, მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტის მიზეზით, საკრედიტო რეიტინგის არქონის მიზეზითა და „ობლიგაციონერების" „სპეციალური გადაწყვეტილების" მიუღებლობის მიზეზით (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების"* მე-7 პუნქტი - *„ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) და გამოსყიდვა"*).

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე, ობლიგაციონერისთვის ჩნდება იმაზე ნაკლები შემოსავლის/მოგების მიღების რისკი, ვიდრე მოელოდა, ამავე დროს, შეიძლება შეზღუდული იყოს გამოთავისუფლებული სახსრების სხვა მსგავსი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებში რეინვესტირების შესაძლებლობა.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს

ობლიგაციების გამოშვებით ნაკისრი ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებებს. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისადმი არსებული ნებისმიერი მოთხოვნა დაკმაყოფილდება უზრუნველყოფილი კრედიტორების შემდგომ, ხოლო კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორთა მოთხოვნებთან მიმართებაში ობლიგაციებს გააჩნიათ თანაბარი სამართლებრივი სტატუსი (*pari passu*). კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებული იქნება მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობამ და ვალუტის კურსის ცვალებადობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ობლიგაციების ღირებულებაზე, საპროცენტო სარგებლისა და ძირითადი თანხის ოდენობაზე

კომპანია ობლიგაციების ძირითად თანხასა და სარგებელს გადაიხდის ლარში. ეს გარკვეულ რისკს ქმნის ვალუტის კონვერტაციისას, თუ ინვესტორი თავისი საქმიანობისათვის ძირითადად განსხვავებულ ვალუტას იყენებს (ინვესტორის ვალუტა). ეს გულისხმობს გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების რისკს, მათ შორის, ლარის გაუფასურების ან ინვესტორის ვალუტის გადაფასების შედეგად წარმოქმილ ცვლილებებს. ინვესტორის ვალუტის გამყარება ლართან მიმართებით, შეამცირებს ობლიგაციებიდან ინვესტორის ვალუტაში მისაღები თანხების ოდენობას, მათ შორის ძირითად თანხასა და საპროცენტო სარგებელს, ასევე ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას. გარდა ამისა, კომპანიის ან ინვესტორის იურისდიქციაში გაცვლითი კურსის კონტროლის დაწესებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ინვესტორის მიერ ობლიგაციებიდან მისაღები თანხების ოდენობაზე.

ინვესტორები უნდა დაექვემდებარონ რეგისტრატორის, ნომინალური მფლობელებისა და ობლიგაციონერების წარმომადგენლის პროცედურებს

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ (მათ შორის, ობლიგაციების ძირითადი თანხისა და სარგებლის) გადახდას განახორციელებს იმ ობლიგაციონერებისა და ნომინალური მფლობელების სასარგებლოდ, რომლებიც საალრიცხვო თარიღზე რეგისტრირებულები არიან რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების რეესტრში. ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადახდის მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაექვემდებაროს რეგისტრატორის (და, შესაბამის შემთხვევებში, ნომინალური მფლობელის) მიერ დადგენილ პროცედურებს. კომპანია არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას ფასიანი ქაღალდების რეესტრის მონაცემების სიზუსტეზე ან ობლიგაციების ბენეფიციარი მესაკუთრეების მიერ თანხის მიღებაზე.

ობლიგაცი(ებ)ის შემენით თითოეული ობლიგაციონერი (და შესაბამის შემთხვევებში, ნომინალური მფლობელი) თანხმობას აცხადებს, რომ პროსპექტის პირობების კომპანიის მიმართ აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ ობლიგაციონერების წარმომადგენლის მეშვეობითა და პროსპექტით დადგენილი წესით (გარდა გამონაკლისისა, რომელიც განსაზღვრულია *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-12 პუნქტში - *„აღსრულება“*). ამასთანავე, საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, ობლიგაციონერების წარმომადგენელი ითვალისწინებს ობლიგაციონერების - როგორც კლასის - ინტერესებს და არა იმ შედეგებს, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს მის მიერ მოვალეობების შესრულებას ცალკეული ობლიგაციონერისათვის, და ობლიგაციონერების სახელით ქმედებების განხორციელებისას, მას ეძლევა ანაზღაურების გარანტია და თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან პროსპექტით დადგენილი წესით (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-13 პუნქტი - *„ობლიგაციონერების წარმომადგენლის ანაზღაურების გარანტია და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება“*).

ობლიგაციების გამოშვების ზოგიერთი პირობა შეიძლება ობლიგაციონერების თანხმობის გარეშე შეიცვალოს. ობლიგაციონერების კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ობლიგაციონერებისათვის

ობლიგაციების გამოშვების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. ნებისმიერმა საკანონმდებლო ცვლილებამ თუ სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება მომავალში გავლენა მოახდინოს ობლიგაციის გამოშვების პირობებზე.

ობლიგაციონერების წარმომადგენელი უფლებამოსილია, ობლიგაციონერების თანხმობის გარეშე შეუთანხმდეს კომპანიას ობლიგაციების გამოშვების პირობებში (ან/და კომპანიასა და ობლიგაციონერების წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებში) გარკვეული ცვლილებების შეტანაზე ან მათი ნებისმიერი დარღვევის დაშვებაზე, რომელიც ობლიგაციონერების წარმომადგენლის შეხედულებით, არსებით ზიანს არ აყენებს ობლიგაციონერების ინტერესებს. ნებისმიერი ამგვარი გადაწყვეტილება სავალდებულოა ობლიგაციონერებისათვის.

პროსპექტით განსაზღვრულია ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესები იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც გავლენას ახდენენ ობლიგაციონერების ინტერესებზე. ობლიგაციონერების კრების მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ობლიგაციონერებისათვის მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი ობლიგაციონერების იმ კრებას, რომელზეც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას ობლიგაციონერების კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ნამდვილობაზე და უფლებამოსილია დაეყრდნოს ასეთ გადაწყვეტილებას (იხილეთ *„ობლიგაციების გამოშვების პირობების"* მე-11 პუნქტი - *„ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა"*).

ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ

თუ ობლიგაციების შეთავაზების პროცესში ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე პოტენციური ინვესტორებისგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე გათვალისწინებულია წინამდებარე პროსპექტით, პოტენციური ინვესტორების განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილი არ არის, უარი განაცხადოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობაზე.

ობლიგაციებით ვაჭრობა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს

ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის ობლიგაციების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შესათავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში.

ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაცია უნდა მიიღოს საკუთარი მრჩევლებისაგან იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონიერია მათ მიერ ობლიგაციების შეძენა, გასხვისება ან სხვაგვარად გამოყენება.

ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება

ობლიგაციების გამოშვებიდან და გაყიდვიდან მიღებული სახსრებით ემიტენტი გეგმავს არსებული სესხების (იხილეთ თავი *„შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია“*) შესაბამისი ოდენობით დაფარვას.

მოსალოდნელია, რომ არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებით მოხდეს ძირითადად ამორტიზირებადი უზრუნველყოფილი სესხების დაფარვა, რომელთა ვადა 2024 წლის 17 ივლისია ხოლო დასარიცხი საპროცენტო სარგებელი განისაზღვრება შემდეგნაირად: 2017 წლის 17 ივლისიდან პირველი 24 კალენდარული თვის განმავლობაში - წლიური 12%, ხოლო საკრედიტო ხელშკრულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში - ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს დამატებული საპროცენტო კოეფიციენტი 5.5% ოდენობით, რამაც ჯამში არ უნდა შეადგინოს წლიურ 11%-ზე ნაკლები და 18%-ზე მეტი.

არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები სუბორდინირებული იქნება დარჩენილ უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის კაპიტალიზაცია 2016, 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. პოტენციურმა ინვესტორებმა აღნიშნული ცხრილი უნდა განიხილონ იმ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც მოცემულია წინამდებარე პროსპექტის შემდეგ თავებში *„შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია“* და *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“*.

ათასი ლარი	31-დეკ-16	31-დეკ-15	31-დეკ-14
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,280	5,487	638
დავალიანება			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	16,370	16,348	12,375
გრძელვადიანი სესხების არა-მიმდინარე ნაწილი	65,732	82,205	71,513
სულ დავალიანება	**82,102**	**98,553**	**83,888**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	68,172	68,172	164,172
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	28,188	4,052	(4,390)
სულ კაპიტალი	**96,360**	**72,224**	**159,782**
სულ კაპიტალიზაცია	**178,462**	**170,777**	**243,670**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ვალდებულებები, შესაბამისი ვადების მითითებით, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ათასი ლარი):

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	სესხის მოცულობა
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	5-6%	2017	1,589
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	10-11%	2021	2,534
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ლარი	12%	2021	77,979
სულ სესხები				**82,102**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია

კომპანიის ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია 2016, 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღებულია აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებიდან, რომელიც თან ერთვის წინამდებარე პროსპექტს. პოტენციური ინვესტორები უნდა გაეცნონ შერჩეულ ფინანსურ და საოპერაციო ინფორმაციას წინამდებარე პროსპექტის „რისკის ფაქტორების", „კაპიტალიზაციისა და დავალიანების" და „ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ" თავებში მითითებულ ინფორმაციასთან და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, შესაბამისი შენიშვნების ჩათვლით, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე პროსპექტში.

საბალანსო ანგარიშგება, ათასი ლარი

	31-დეკ-2016	31-დეკ-2015	31-დეკ-2014
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	187,746	179,267	182,630
არამატერიალური აქტივები	16,483	13,755	14,256
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10,827	15,278	12,190
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	804	1,473	64,890
სულ არა-მიმდინარე აქტივები	**215,860**	**209,773**	**273,966**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8,226	9,301	11,650
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	-	-	13
გადახდილი მოგების გადასახადი	-	1,837	723
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,400	18,432	18,811
ანაბარი შეზღუდული სარგებლობლობის უფლებით	2,664	-	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	1,280	5,487	638
სულ მიმდინარე აქტივები	**31,570**	**35,057**	**31,835**
სულ აქტივები	**247,430**	**244,830**	**305,801**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	68,172	68,172	164,172
გაუნაწილებელი მოგება	28,188	4,052	(4,390)
კომპანიის მესაკუთრეებისთვის განკუთვნილი კაპიტალი	**96,360**	**72,224**	**159,782**
არაკონტროლირებადი წილი	165	(58)	526
სულ კაპიტალი	**96,525**	**72,166**	**160,308**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	65,732	82,205	71,513
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28,765	20,863	4,207
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	15,698	17,205
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**94,497**	**118,766**	**92,925**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	16,370	16,348	12,375
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,914	37,550	40,193
გადასახდელი მოგების გადასახადი	1,124	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**56,408**	**53,898**	**52,568**
სულ ვალდებულებები	**150,905**	**172,664**	**145,493**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**247,430**	**244,830**	**305,801**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება, ათასი ლარი

	31-დეკ-2016	31-დეკ-2015	31-დეკ-2014
შემოსავალი	161,896	159,989	153,363
მიღებული მომსახურებები	(35,527)	(41,753)	(47,026)
პერსონალის ხარჯები	(30,798)	(37,936)	(37,753)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(36,318)	(32,702)	(26,805)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(28,929)	(24,403)	(19,439)
სხვა ხარჯები	(290)	(1,088)	(2,523)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	**30,034**	**22,107**	**19,817**
საპროცენტო შემოსავალი	340	13,163	6,820
საპროცენტო ხარჯი	(10,245)	(11,158)	(8,211)
სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/(ზარალი)	868	(5,028)	(416)
მოგება დაბეგვრამდე	**20,997**	**19,084**	**18,010**
მოგების გადასახადის შეღავათი / (ხარჯი)	14,216	(3,833)	(4,284)
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**35,213**	**15,251**	**13,726**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ათასი ლარი

	31-დეკ-16	31-დეკ-15	31-დეკ-14
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიან			
აბონენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	163,820	162,070	148,828
სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან და IRU ხელშეკრულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები	28,190	33,674	17,805
თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები	(31,537)	(35,450)	(37,416)
გადახდილი ურთიერთჩართვის საფასური	(13,651)	(18,197)	(21,301)
მარაგების შესყიდვა	(4,438)	(2,904)	(11,142)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(22,881)	(26,775)	(22,840)
გადახდილი მოგების გადასახადი	(361)	(4,188)	(6,642)
ქსელის ტექნიკური მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები	(10,393)	(4,112)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(31,949)	(34,898)	(32,241)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**76,800**	**69,220**	**35,051**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(36,075)	(26,694)	(32,560)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(9,551)	(8,813)	(7,097)
შემოსავლები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1,182	2,012	4,606
შვილობილი კომპანიების შეძენა	-	(7,791)	(3,003)
ინვესტიცია ვადიან ანაბარში	(2,606)	-	-
სესხების გაცემა	(534)	(9,060)	(418)
გაცემული სესხების დაფარვა	26	8,897	-
მიღებული პროცენტი	13	29	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(47,545)**	**(41,420)**	**(38,472)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	23,116	38,269	46,728
სესხების დაფარვა	(37,168)	(44,474)	(39,243)
გადახდილი პროცენტი	(9,696)	(10,366)	(8,005)
გადახდილი დივიდენდები	(9,766)	(6,325)	(2,837)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(33,514)**	**(22,896)**	**(3,357)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე	52	(55)	(128)
წმინდა (კლება) /მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	**(4,207)**	**4,849**	**(6,906)**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5,487	638	7,544
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**1,280**	**5,487**	**638**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2016, 2015 და 2014 წლებისათვის მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შესაბამისი წლების აუდიტორის დასკვნა მოამზადა დამოუკიდებელმა აუდიტორმა შპს „KPMG Georgia"-მ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

შემოსავლის ევოლუცია ძირითადი მომსახურების მიხედვით, ათასი ლარი

	2016	2015	2014
ინტერნეტი	79,592	76,509	65,497
ტელეფონია	33,049	37,297	43,558
ტელევიზია	27,941	27,824	18,169
ხმოვანი ურთიერთჩართვა და ინფრასტრუქტურის იჯარა	20,956	18,336	26,041
სხვა	358	23	98
სულ შემოსავალი	**161,896**	**159,989**	**153,363**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

EBITDA -ს ევოლუცია, ათასი ლარი (პროცენტული მაჩვენებლების გარდა)

	2016	2015	2014
EBITDA	69,663	57,158	49,644
წლიური ზრდა	18%	17%	
EBITDA კოეფიციენტი	44%	36%	32%

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე კომპანიის კალკულაცია

EBITDA წარმოადგენს მოგებას, საპროცენტო შემოსავლის, საპროცენტო ხარჯის, ცვეთა და ამორტიზაციისა და მოგების გადასახადის გარეშე (არ გაითვალისწინება არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი). აღინიშნება კომპანიის EBITDA-ს ზრდის ტენდენცია, 2016 წელს EBITDA გაიზარდა 13,316 ათასი ლარით და 2015 წელს - 7,514 ათასი ლარით. ზრდის გამომწვევი ძირითადი მიზეზები იყო აბონენტების რაოდენობის მატების შესაბამისად გაზრდილი შემოსავალი, საოპერაციო ხარჯების (ცვეთისა და ამორტიზაციის გარდა) შემცირება და აბონენტების აყვანისა და სახაზო-საკაბელო ქსელის გაფართოების დანახარჯების კაპიტალიზაციის სტრუქტურის ცვლილება (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ" - „მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები"*).

კომპანიის ხარჯების სტრუქტურა

მიღებული მომსახურებები, ათასი ლარი

	2016	2015	2014
ინტერნეტ ტელევიზიის არხების თვითღირებულება	8,296	9,658	8,312
ინტერნეტის არხების იჯარა	7,548	9,363	6,909
ურთიერთჩართვის ხარჯი	4,676	4,164	15,528
ინტერნეტის თვითღირებულება	3,762	4,916	4,709
პროგრამული უზრუნველყოფის და აპარატურის ტექნიკური მომსახურება	3,478	3,900	4,696
კომუნალური ხარჯები	3,245	2,972	2,783
სარეკლამო ხარჯები	2,947	3,692	2,638
პროფესიული მომსახურება	1,361	2,948	1,363
სხვა	214	140	88
სულ მიღებული მომსახურებები	**35,527**	**41,753**	**47,026**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

2016 წელს სატელევიზიო არხების ხარჯების შემცირება განპირობებულია არხების მომწოდებელ კომპანიებთან ახალი შეთანხმებებითა და განახლებული ფასებით. ამგვარი შეთანხმებების ვადიანობა განსხვავებულია მომწოდებლების მიხედვით (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“ – „შერჩეული ტექნიკური და საოპერაციო ინფორმაცია“*).

2016 წლის სექტემბერში კომპანიამ მიაღწია ინტერნეტის არხების მომწოდებელ კომპანიასთან შემცირებული ფასის შეთანხმებას, რის შედეგადაც წლიური ხარჯის შემცირების ოდენობა შეადგენს 2,640 ათას დოლარს. 2016 წელს 2015 წელთან მიმართებაში ინტერნეტის შესყიდვის ხარჯების შემცირება გამოწვეულია ხარჯების ოპტიმიზაციით.

პროფესიული მომსახურების ხარჯი ყოველწლიურად მოიცავს საგადასახადო და აუდიტის მომსახურებებს შპს „KPMG Georgia“-საგან, Sofrecom–ისაგან მიღებულ სხვადასხვა ტიპის საკონსულტაციო მომსახურებებს (მათ შორის ერთჯერადი პროექტები 2015 წელს) და რეიტინგის მინიჭებასთან დაკავშირებული მომსახურების შემენას Fitch-ისაგან 2016 წელს, ასევე სხვადასხვა იურიდიულ და საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯებს.

პერსონალის ხარჯები, ათასი ლარი

	2016	2015	2014
ხელფასები	26,477	32,545	33,679
ბონუსები	3,679	4,494	3,143
თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევა	339	535	633
სხვა	303	362	298
სულ პერსონალის ხარჯები	**30,798**	**37,936**	**37,753**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

სხვა საოპერაციო ხარჯები, ათასი ლარი

	2016	2015	2014
ქსელის მომსახურების ხარჯები	13,270	6,945	3,195
საოპერაციო იჯარის ხარჯები	3,885	3,532	3,932
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	2,078	1,896	2,057
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	1,503	1,710	1,868
საბანკო მოსაკრებლები და გადასახადები	1,319	613	668
რეგულირების საფასური	1,209	1,176	1,123
უსაფრთხოების ხარჯები	1,168	1,226	1,219
ოფისის ხარჯები	896	909	586
საქველმოქმედო ხარჯები	765	835	969
გადახდის აპარატების საკომისიო	693	706	697
სამივლინებო ხარჯები	687	903	408
მოხმარებული საწვავი და საპოხი მასალა	352	547	679
უსადენო მომსახურებების მოწყობილობების თვითღირებულება	252	1,702	682
ტრანსპორტირების ხარჯები	239	463	667
სხვა	613	1,240	689
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**28,929**	**24,403**	**19,439**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

2015 წლის აგვისტოში კომპანიამ პასიური სახაზო-საკაბელო ქსელის მომსახურებისა და აბონენტების ჩართვისა და ტექნიკური მომსახურების ე.წ. „აუთსორსინგი“მოახდინა შპს სერვისნეტზე. შესაბამისად, ქსელის მომსახურების დანახარჯების სტრუქტურამ განიცადა ცვლილებები. 2016 წელს ხელფასის ხარჯების 19%-ით შემცირება 2015 წელთან შედარებით ამავე მიზეზით არის გამოწვეული - 1,260 ტექნიკური თანამშრომელი დასაქმდა კონტრაქტორ კომპანიაში (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“ - „მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები“*).

2016 წელს ადმინისტრაციული და სადგურების იჯარის ხარჯების ზრდა განპირობებულია LTE სადგურების დამატებითი რაოდენობის ექსპლუატაციაში გაშვებით.

საბანკო ხარჯის ცვლილება 2015-დან 2016 წლამდე ძირითადად აიხსნება უცხოური ვალუტის ფორვარდული ოპერაციებიდან მიღებული მოგება/ ზარალით.

მოგების გადასახადის ხარჯი და გადავადებული მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი, ათასი ლარი

	2016	2015	2014
მიმდინარე მოგების გადასახადი	1,482	780	2,257
გადავადებული საგადასახადო (შეღავათი)/ხარჯი	(15,698)	3,053	2,027
მოგების გადასახადის (შეღავათი) / ხარჯი წლის განმავლობაში	**(14,216)**	**3,833**	**4,284**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლიდან ამოქმედდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები (ე.წ. დაბეგვრის ესტონური მოდელი). ახალი მოდელის შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება განაწილებული მოგება, რომელიც გულისხმობს აქციონერებზე/პარტნიორებზე გადახდილ დივიდენდს და სხვა ისეთ გარიგებებს, როგორიცაა, მაგალითად, დაკავშირებულ მხარეებთან არასაბაზრო პირობებით დადებული გარიგება და სხვა.

საგადასახადო ცვლილებების შესაბამისად, კომპანიამ წინა წლებში დაგროვილი გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულების ანულირება მოახდინა, 15,698 ათასი ლარის ოდენობით.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი, ათასი ლარი

2016	2015	2014
340	13,163	6,820

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

2014 წლის ბოლოსთვის კომპანიის მიერ აქციონერისათვის გაცემული სესხის ოდენობამ შეადგინა 64,890 ათასი ლარი, შესაბამისი საპროცენტო შემოსავლის ოდენობა იყო 6,820 ათასი ლარი.

საპროცენტო შემოსავლის ზრდა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით განპირობებულია დოლარის კურსის ზრდითა და სესხის წინსწრებით დაფარვით, რამაც გამოიწვია სხვაობა სესხის ამორტიზირებულ ღირებულებაში. 2016 წელს საპროცენტო შემოსავლის შემცირება გამოწვეულია 2015 წლის ბოლოს აქციონერის მიერ კომპანიისაგან მიღებული სესხის ძირითადი ნაწილის დაფარვით (ვალდებულებების ურთიერგაქვითვის გზით). 2015 წლის ბოლოსთვის გადასახდელი სესხის ბალანსი შეადგენდა 1,473 ათას ლარს, რაც გაიქვითა დივიდენდთან 2016 წელს და სრულად დაიფარა.

კაპიტალი და დივიდენდები, ათას ლარებში

ათასი ლარი	2016	2015	2014
სააქციო კაპიტალი	68,172	68,172	164,172
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	28,188	4,052	(4,390)
სულ კაპიტალი	**96,360**	**72,224**	**159,782**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

2015 წელს აქციონერების გადაწყვეტილების თანახმად კომპანიის სააქციო კაპიტალი შემცირდა 96,000 ათასი ლარით და შესაბამისად წარმოშობილი კომპანიის დავალიანება დაიფარა აქციონერისაგან მისაღებ სესხთან ურთიერთგაქვითვის გზით.

გაცემული დივიდენდები, ათას ლარებში

2016	2015	2014
10,352	7,393	2,427

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

კომპანიის წესდება ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს გასანაწილებელი დივიდენდის მოცულობასთან დაკავშირებით.

საბანკო კრედიტები/სესხები

კომპანიას 2016 წლის 31 დეკემბრისთვის ერიცხება სს საქართველოს ბანკიდან მიღებული კრედიტები 82,102 ათასი ლარის ოდენობით. 2016 წლის სექტემბრამდე, მიღებული საკრედიტო რესურსის ძირითად ვალუტას წარმოადგენდა აშშ დოლარი, შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 10.5%-ს. სავალუტო რისკების მართვისა და შემცირების მიზნით, 2016 წლის სექტემბერში მოხდა კრედიტების ძირითადი ნაწილის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში.

სესხების კლასიფიკაცია, ათასი ლარი

	2016	2015	2014
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	16,370	16,348	12,375
გრძელვადიანი სესხების არა-მიმდინარე ნაწილი	65,732	82,205	71,513
სულ სესხები	**82,102**	**98,553**	**83,888**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

სესხების სტრუქტურა (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით), ათასი ლარი

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	სესხის მოცულობა
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი #1	USD	5-6%	2017	1,589
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი #2	USD	10-11%	2021	2,534
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი #3	GEL	12%	2021	77,979
სულ სესხები				**82,102**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

ლარის საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში ათვისებული კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი განისაზღვრება შემდეგნაირად: 2016 წლის სექტემბრიდან პირველი 24 კალენდარული თვის განმავლობაში - წლიური 12%, ხოლო საკრედიტო ხელშკრულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში - ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს დამატებული საპროცენტო კოეფიციენტი 5.5% ოდენობით, რამაც ჯამში არ უნდა შეადგინოს წლიურ 11%-ზე ნაკლები.

კრედიტების ძირითადი ნაწილი მიღებულია 2013 წელს, კომპანიის მიმდინარე განვითარების დაფინანსების მიზნით, ასევე აქციონერისათვის სესხის გასაცემად.

2017 წლის 26 იანვარს, სხვა პირობების ცვლილების გარეშე, მოხდა #2 და #3 კრედიტების დაფარვის გადავადება და მათი დაფარვის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 20 იანვარს, შესაბამისად შემცირდა კრედიტების მომსახურების ყოველთვიური თანხა და განისაზღვრა #2 კრედიტისათვის - 15,880 აშშ დოლარით (გადავადებამდე შეადგენდა 22,609 აშშ დოლარს), ხოლო #3 კრედიტისათვის - 1,344,566 ლარით (გადავადებამდე შეადგენდა 1,887,405 ლარს).

2017 წლის 20 ივლისს მოხდა სს საქართველოს ბანკიდან მიღებული სესხის რეფინანსირება სს თიბისი ბანკიდან მიღებული სესხით. ახალი სესხის ოდენობა შეადგენს 77,050 ათასი ლარს, დაფარვის ვადა - 2024 წლის 17 ივლისი, ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობა - 1,360,270 ლარი. რეფინანსირებისას საქართველოს ბანკის სასარგებლოდ გადახდილ იქნა რეფინანსირებისთვის განკუთვნილი პირგასამტეხლო 1,510,071.49 ლარის ოდენობით. 20 ივლისის მდგომარეობით საქართველოს ბანკში სილქნეტს ეკისრება ვალდებულება ბანკის მიერ გაცემული გარანტია/აკრედიტივებისათვის 6,446,282 ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფილია ფულადი სახსრებით და მიმდინარეობს მათი ჩანაცვლება თიბისი ბანკის შესაბამისი ინსტრუმენტებით.

თიბისი ბანკთან გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება ითვალისწინებს სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტის დაცვის ვალდებულებას (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“ - „მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები“*).

სხვა საბანკო ვალდებულებები

ათასი ლარი	2016	2015	2014
გაცემული გარანტია/თავდებობა	35,000	20,022	-

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

2015 წლის ბოლოსთვის არსებული გარანტიები გაცემული იყო ემიტენტთან დაკავშირებულ სამი კომპანიის სასარგებლოდ. 2016 წელს აღნიშნული გარანტიები სრულად გაუქმდა.

2017 წლის 19 ივლისს გაფორმდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება სს თიბისი ბანკთან (რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე სს საქართველოს ბანკთან დადებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება), რომლის თანახმადაც კომპანია თიბისი ბანკის სასარგებლოდ დაუდგა თავდებად 100%-იან აქციონერს (Rhinestream Holdings Limited-ს), თავდებობის ზღვრული ოდენობა 35,000 ათასი ლარია, ხოლო ვადა 2024 წლის 17 ივლისი. აქციონერის ვალდებულებები, რომელთა შესრულებასაც უზრუნველყოფს კომპანიის მიერ გაცემული თავდებობა, წარმოშობილია აქციონერსა და თიბისი ბანკს შორის 2017 წლის 20 ივლისს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან (29,880 ათას ლარზე). კრედიტის ვადა 84 თვეა, ხოლო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგნაირად - 2019 წლის 17 ივლისამდე - წლიური 11,7%, ხოლო საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში - ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს დამატებული საპროცენტო კოეფიციენტი 5.5%, რამაც ჯამში არ უნდა შეადგინოს წლიურ 11%-ზე ნაკლები და 18%-ზე მეტი. კრედიტის დაფარვის ძირითადი წყაროა სილქნეტიდან მიღებული დივიდენდი, თუმცა შესაძლოა კრედიტის მომსახურება გაგრძელდეს Rhinestream Holdings Limited-ის აქციონერთა კონტროლის ქვეშ არსებული სხვა კომპანიებიდან მიღებული ფულადი სახსრებით.

კაპიტალური დანახარჯები

კომპანია ყოველწლიურად ეწევა ქსელის მოვლისა და მისი ტექნიკური პარამეტრების შენარჩუნებისათვის კაპიტალურ დანახარჯებს, რათა უზრუნველყოს აბონენტების ხარისხიანი მომსახურება. კაპიტალური დანახარჯები ასევე მოიცავს განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ასეთი ხარჯები ორ ნაწილად იყოფა: განმეორებადი და არაგანმეორებადი კაპიტალური ხარჯები. განმეორებადი კაპიტალური ხარჯები მოიცავს არსებულ და ახალ ქსელებში ახალი აბონენტების აყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სააბონენტო ქსელისა და მოწყობილობების გაფართოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებსაც კომპანია არსებითად ყოველ წელს ეწევა, თუმცა სხვადასხვა ინტენსივობით. არაგანმეორებადი ხარჯები მოიცავს ერთჯერად პროექტებს, მაგალითად, საკუთარი მიზნებისათვის ან IRU ხელშეკრულებების ფარგლებში მაგისტრალების მშენებლობას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია აღარ გააგრძელებს საკუთარი ქსელის განვითარებას და ახალი აბონენტების აყვანას, განვითარებასთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯებიც მნიშვნელოვანწილად შემცირდება.

კაპიტალური დანახარჯების ევოლუცია კატეგორიების მიხედვით, ათასი ლარი

	2016	2015	2014
არსებულ ქსელსა და აპარატურასთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები (maintenance capex)	3,584	2,601	1,897
განვითარებასთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები	35,825	22,543	29,124

(Development capex), *მათ შორის:*			
განმეორებადი, *მათ შორის:*	**31,729**	**18,024**	**18,336**
ოპტიკური ქსელის განვითარება	*7,614*	*3,594*	*5,095*
აბონენტთა აყვანის ხარჯები	*19,185*	*10,685*	*8,389*
LTE	*4,913*	*3,584*	*4,583*
IP ტელევიზია	*15*	*159*	*111*
სხვა	*3*	*1*	*158*
არაგანმეორებადი, *მათ შორის:*	**4,096**	**4,519**	**10,788**
მაგისტრალური ქსელი	*4,096*	*4,519*	*10,788*
სულ კაპიტალური დანახარჯები	**39,409**	**25,144**	**31,021**
კაპიტალური დანახარჯი / შემოსავლები	*24%*	*16%*	*20%*

წყარო: აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაუძნებული კომპანიის ინფორმაცია

არამატერიალური აქტივების შეძენა

არამატერიალური აქტივების შეძენის ევოლუცია ძირითადი სახეობების მიხედვით, ათასი ლარი

ათას ლარებში	**2016**	**2015**	**2014**
გრძელვადიანი სატელევიზიო უფლებები	5,797	3,492	427
ლიცენზიები	3,177	848	1,804
პროგრამული უზრუნველყოფა	1,664	2,006	375
სულ	**10,638**	**6,346**	**2,606**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, კომპანიის ინფორმაცია

გრძელვადიანი სატელევიზიო უფლებები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივი. 2016 წელს არამატერიალური აქტივების ზრდა ძირითადად განპირობებულია სპორტული შეჯიბრებების ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლებების შეძენითა და არსებული უფლებების ვადის გაგრძელებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი

	2016		**2015**		**2014**	
	გრძელვადიანი	**მიმდინარე**	**გრძელვადიანი**	**მიმდინარე**	**გრძელვადიანი**	**მიმდინარე**
დავალიანება მომწოდებლების მიმართ	-	14,406	-	13,403	-	11,570
დავალიანება გრძელვადიანი აქტივებისთვის	-	7,774	-	9,367	-	4,905
დავალიანება ლიცენზიებისთვის	1,557	5,524	1,479	2,427	1,745	3,419
დავალიანება სხვა ოპერატორების მიმართ	-	1,617	-	1,528	-	3,751
გადასახდელი გადასახადები,გარდა მოგების გადასახადისა	-	1,219	-	906	-	3,549
IRU ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული საავანსო თანხები	25,525	3,457	17,401	2,102	-	5,285
აბონენტებისგან მიღებული საავანსო თანხები	-	1,672	-	1,345	-	1,270
გადავადებული შემოსავალი	1,683	2,395	1,983	2,788	2,462	2,995
გადასახდელი დივიდენდები	-	123	-	1,068	-	-
დავალიანება თანამშრომლების	-	265	-	1,776	-	819

მიმართ						
სხვა დავალიანებები	-	462	-	840	-	2,630
სულ სავაჭრო და სხვა დავალიანებები	**28,765**	**38,914**	**20,863**	**37,550**	**4,207**	**40,193**

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

სავაჭრო და სხვა დავალიანებების ზრდა ძირითადად განპირობებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვების ხელშეუვალი სარგებლობის უფლების (IRU) ხელშეკრულებების ფარგლებში ავანსის სახით მიღებული ფულადი სახსრებით (დეტალები იხილეთ *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“ - „მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები“*), ასევე გრძელვადიანი აქტივების შეძენით წარმოშობილი დავალიანების ზრდით 2015 წელს წინა წელთან შედარებით, რისი გამომწვევი მიზეზიც LTE მოწყობილობის შეძენა იყო.

2016 წელს გაზრდილია ასევე დავალიანება ლიცენზიებისათვის, რისი მთავარი მდგენელიც არის სპორტული შეჯიბრებების ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლებების ხელშეკრულების განახლება 3 წლის ვადით.

ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ

კომპანიის საერთო ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ქვემოთ მოცემული განხილვა და ანალიზი ძირითადად 2014-2016 წლებს მოიცავს. თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული, წინამდებარე თავში წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროებია: კომპანიის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, კომპანიის სხვა მონაცემები და კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკური პორტალი. პოტენციური ინვესტორები უნდა გაეცნონ ამ თავში მოცემულ ინფორმაციას წინამდებარე პროსპექტის სხვა თავებში, მათ შორის - „რისკის ფაქტორების", „კაპიტალიზაციისა და დავალიანების" და „შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაციის" თავებში, მითითებულ ინფორმაციასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, შესაბამისი შენიშვნების ჩათვლით, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე პროსპექტში.

ქვემოთ წარმოდგენილ განხილვასა და ანალიზში, ასევე - ამ პროსპექტის სხვა თავებში, მოცემული გარკვეული ინფორმაცია მოიცავს მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს. ეს განცხადებები ექვემდებარება რისკებს, გაურკვევლობასა და სხვა ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა მოსალოდნელისგან განსხვავებული შედეგები გამოიწვიოს (იხილეთ პროსპექტის თავები „რისკის ფაქტორები" და „მომავალზე ორიენტირებული განცხადებები").

1. ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორები საქართველოში: ბაზრის მიმოხილვა

ელექტრონული კომუნიკაციების სექტორი საქართველოში ოთხ ძირითად სეგმენტს მოიცავს: მობილური მომსახურება (ხმოვანი, ინტერნეტი და სხვა), ფიქსირებული სადენიანი და უსადენო ინტერნეტის მომსახურება, ფიქსირებული სადენიანი და უსადენო ტელეფონია და მაუწყებლობის ტრანზიტი. კომისიის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოს რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ სატელეკომუნიკაციო მომსახურებაში ქართული რეზიდენტი კომპანიებისთვის გადახდილმა ჯამურმა თანხამ - სექტორის საცალო შემოსავალმა - 730 მილიონი ლარი შეადგინა.

ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სეგმენტების საცალო შემოსავლის ევოლუცია, მილიონი ლარი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მობილური	533	441	460	455	455	407	418
ფიქსირებული ტელეფონია	121	110	96	80	70	57	50
ფიქსირებული ინტერნეტი	75	99	115	134	160	185	195
მაუწყებლობის ტრანზიტი	7	19	30	46	49	57	66
ჯამში	**736**	**669**	**701**	**715**	**735**	**707**	**730**

წყარო: კომისია

ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სეგმენტების საცალო შემოსავლის წილების ევოლუცია



წყარო: კომისია

2010 წლის შემდგომ ბაზრის სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა:

- ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურების წილი მთლიანი საცალო შემოსავლის 10%-დან 27%-მდე გაიზარდა;
- ფიქსირებული ტელეფონიის მომსახურების წილი მთლიანი საცალო შემოსავლის 16%-დან 7%-მდე შემცირდა;
- მობილური მომსახურების წილი მთლიანი საცალო შემოსავლის 72%-დან 57%-მდე შემცირდა;
- მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების წილი მთლიანი საცალო შემოსავლის 1%-დან 9%-მდე გაიზარდა.

1.1. ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურების სეგმენტი

ფიქსირებული ინტერნეტის პენეტრაციამ საქართველოში შინამეურნეობების დაახლოებით 59%-ს მიაღწია. 2010 წლიდან ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობა 283 ათასიდან 649 ათასამდე გაიზარდა, საიდანაც 619 ათასი ფიზიკური პირია. აბონენტთა ზრდის ტემპი ბოლო წლებში შენელდა, რისი მთავარი მიზეზიც დიდ ქალაქებში ინტერნეტის პენეტრაციის მაღალი მაჩვენებელია.

ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების ევოლუცია კომპანიების მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

2016 წლის ბოლოსთვის სილქნეტს 266 ათასი აბონენტი ჰყავდა, რაც მთლიანი სეგმენტის 41%-ს შეადგენს.

2016 წელს შპს მაგთიკომმა შპს კავკასუს ონლაინის საცალო აქტივები და შპს დელტა კომმი შეიძინა, რითაც ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო წილი მოიპოვა. აქ და შემდგომში მაგთიკომის აბონენტთა ისტორიული რაოდენობა და სხვა მონაცემები მოიცავს მაგთიკომის, კავკასუს ონლაინისა და დელტა კომმის ჯგუფის მონაცემებს (კომისიის მონაცემებში ცალ-ცალკეა ასახული დელტა კომმი და მისი ჯგუფის კომპანიები დელტა-ნეტი და ა-ნეტი).

სეგმენტის შემოსავლის ზრდა არსებითად აბონენტების ზრდას მიჰყვება, რაც ინტერნეტის ARPU-ს (Average Revenue Per User, საშუალო შემოსავალი ერთ მომხმარებელზე თვეში, დღგ-ის გარეშე) არსებითი მდგრადობის შედეგია.

ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურების შემოსავლების ევოლუცია კომპანიების მიხედვით, მილიონი ლარი



წყარო: კომისია

საქართველოში ფიქსირებული ინტერნეტი მომხმარებელს რამდენიმე საშუალებით მიეწოდება:

- ოპტიკური, რაც მოიცავს Fiber-to-the-Home (FTTH) და Fiber-to-the-Building (FTTB) ტექნოლოგიას;
- DSL, სპილენძის სატელეფონო ქსელის გამოყენებით;
- უსადენო, მათ შორის - LTE, WiFi, WiMax და სხვა ტექნოლოგიები.

ოპტიკური ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობა საქართველოში 60%-ს შეადგენს. ოპტიკური ქსელების განვითარება მნიშვნელოვანწილად სპილენძის ქსელების განვითარების პარალელურად ხდებოდა, რის გამოც DSL ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა თანმიმდევრულად იკლებს. სოფლად და სხვა დაბალი სიმჭიდროვის დასახლებებში, ისტორიულად სადენიანი ქსელების განუვითარებლობის გამო, ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად განვითარდა უსადენო ტექნოლოგიებით ინტერნეტის მიწოდებაც. 2016 წელს უსადენო აბონენტების წილი 17%-ს შეადგენდა და მათი უმრავლესობა მომსახურებას მცირე ზომის ოპერატორებისგან WiFi ტექნოლოგიით იღებდა. განსხვავებით LTE-სგან, WiFi ტექნოლოგია არ მოიაზრება ფართოზოლოვან ინტერნეტის მომსახურებად.

ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების ევოლუცია ტექნოლოგიების მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

1.2. მაუწყებლობის ტრანზიტის სეგმენტი

მაუწყებლობის ტრანზიტის, ანუ Pay TV-ს, პენეტრაციამ საქართველოში შინამეურნეობების დაახლოებით 41%-ს მიაღწია. 2010 წლიდან ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობა 81 ათასიდან 458 ათასამდე გაიზარდა.

მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების ევოლუცია კომპანიების მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

მაუწყებლობის ტრანზიტი ძირითადად შემდეგი საშუალებებით ხორციელდება:

- IP ტელევიზიის მომსახურების მიწოდება ინტერნეტის მომსახურების მეშვეობით;
- Direct-to-Home (DTH) / თანამგზავრული ტელევიზია;
- რადიოსიხშირული;
- საკაბელო და სხვა.

სილქნეტს 2016 წლის ბოლოს 133 ათასი აბონენტი ჰყავდა, რაც მთლიანი ბაზრის 29%-ს შეადგენს. კომპანია მომსახურებას მხოლოდ IP ტექნოლოგიით ეწევა. შემოსავლების მხრივ, 2016 წელს სილქნეტს სეგმენტის შემოსავლების 39%-იანი წილი ეკავა, რაც განპირობებული იყო ბაზართან შედარებით მაღალშემოსავლიანი IP ტელევიზიის აბონენტების რაოდენობით.

მაუწყებლობის ტრანზიტის შემოსავლები კომპანიების მიხედვით, მილიონი ლარი



წყარო: კომისია

ოპტიკური ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, იზრდება IP ტელევიზიის მომხმარებელთა რიცხვი, რომელმაც საერთო აბონენტების 41%-ს მიაღწია. IP ტელევიზიის ქვესეგმენტში სილქნეტის აბონენტების წილი 71%-ს შეადგენს. IP ტელევიზიის მომსახურების მიწოდება შესაძლებელია როგორც ოპტიკური ინტერნეტის, ისე შესაბამისი პარამეტრების სპილენძის DSL ხაზის მქონე აბონენტებისთვის.

მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების ევოლუცია ტექნოლოგიების მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

1.3. ფიქსირებული ტელეფონიის სეგმენტი

ფიქსირებული ტელეფონია საქართველოში ისტორიულად სპილენძის ქსელზე მომუშავე კომუტირებადი საერთო სარგებლობის სატელეფონო მომსახურების (Public Switch Telephone Network, PSTN) ტექნოლოგიის მეშვეობით ხდებოდა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ამგვარი ტელეფონიის პენეტრაცია მაღალი არ იყო, განსაკუთრებით - დაბალი სიმჭიდროვის დასახლებულ პუნქტებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სპილენძის ქსელის არსებით გაფართოებას ადგილი არ ჰქონია, რის შედეგადაც PSTN ტექნოლოგიით მოსარგებლე აბონენტების რაოდენობა შინამეურნეობების დაახლოებით ნახევარზე მეტს არ აღემატებოდა.

ფიქსირებულ ტელეფონიაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იმ ადგილებში, სადაც სადენიანი ქსელები არ იყო, 2007 წლიდან დაინერგა უსადენო ფიქსირებული მომსახურება CDMA ტექნოლოგიის მეშვეობით. 2011 წელს CDMA აბონენტების რაოდენობა PSTN აბონენტების რაოდენობას აღემატებოდა. თუმცა, შემდეგ აღინიშნება კლების ტენდენცია, რაც გამოწვეულია მობილური მომსახურების ტარიფების ვარდნითა და, შესაბამისად, ფიქსირებულის მობილურით ჩანაცვლებით (Fixed-mobile Substitution, FMS). ამგვარი ჩანაცვლება კავშირგაბმულობის სფეროში საერთაშორისო ტენდენციას წარმოადგენს.

ოპტიკური ინტერნეტ ქსელების გაფართოებამ გამოიწვია VOIP (Voice-over-Internet-Protocol) მომსახურების ზრდა, რამაც მცირედად PSTN ჩაანაცვლა. ჯამურად, PSTN და VOIP აბონენტების რაოდენობა ეტაპობრივად მცირდება FMS ტენდენციის შესაბამისად. თუმცა, აღნიშნული შემცირება თვისობრივად განსხვავდება CDMA ტექნოლოგიით მოსარგებლე აბონენტების რაოდენობის ვარდნისგან.

PSTN მომსახურების ძირითადი მიმწოდებლები სილქნეტი და ახალი ქსელების ჯგუფია. CDMA ტექნოლოგიას მომხმარებელს აწვდიან მაგთიკომი და სილქნეტი. ჯამში, სილქნეტს აბონენტების მიხედვით 46%-იანი წილის აქვს, ხოლო შემოსავლების მიხედვით - დაახლოებით 61%.

ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტების ევოლუცია კომპანიების მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტების ევოლუცია ტექნოლოგიის მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

ფიქსირებული ტელეფონიის საცალო შემოსავლების ევოლუცია კომპანიების მიხედვით, მილიონი ლარი



წყარო: კომისია

1.4. მობილური მომსახურების სეგმენტი

მობილური მომსახურება ძირითადად ხმოვან და ინტერნეტ მომსახურებებს მოიცავს. 2016 წელს მობილური მომსახურებით მოსარგებლე აბონენტების რაოდენობამ დაახლოებით 4.9 მილიონს მიაღწია, რაც მოსახლეობის დაახლოებით 133%-იან პენეტრაციას უდრის. 2014 წლის შემდეგ აბონენტების რაოდენობის ზრდა ფაქტობრივად შეწყდა, რაც უკავშირდება როგორც უკვე არსებულ მაღალ პენეტრაციას, ისე - საცალო ტარიფების ეფექტურ შემცირებასა და ზარის დასრულების ტარიფების დაწევას, რაც ერთი აბონენტის მიერ სხვადასხვა მიზნით სხვადასხვა სიმ-ბარათის გამოყენების მოტივაციას ამცირებს.

სეგმენტზე მოქმედი სამი ძირითადი ოპერატორი - მაგთიკომი, ჯეოსელი და მობიტელი (რომელიც ბილაინის ბრენდით ოპერირებს) - GSM/UMTS სტანდარტებით აწვდის აბონენტებს ხმოვან, ინტერნეტ და სხვა მომსახურებებს, ხოლო სილქნეტი CDMA ტექნოლოგიას იყენებს.

მობილური აბონენტების ევოლუცია კომპანიების მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

მობილური სეგმენტის საცალო შემოსავლები 2010 წლის შემდეგ შემცირდა, რაც დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან:

- კონკურენციის გამძაფრება მობიტელის სრულფასოვან ოპერატორად ჩამოყალიბებასთან ერთად;
- ზარის დასრულების რეგულირებული ტარიფების შემცირება;
- ნომრის პორტაბელურობის შემოღება.

მომსახურების ტარიფების ეფექტური ვარდნის დაკომპენსირება ვერც სატელეფონო მომსახურებისა და ვერც მობილური ინტერნეტის მომსახურების ზრდის მეშვეობით ვერ მოხერხდა. მობილური მომსახურების საშუალო თვიური ARPU, რომელიც მოიცავს როგორც ხმოვან, ისე - ინტერნეტ, მომსახურებას 2010 წელს 13.7 ლარს შეადგენდა, ხოლო 2016 წელს ეს მაჩვენებელი 6.9 ლარამდე დაეცა.

მობილური მომსახურების საცალო შემოსავლების ევოლუცია კომპანიების მიხედვით, მილიონი ლარი



წყარო: კომისია

მომსახურების ჭრილში, მობილურმა სეგმენტმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მობილური ინტერნეტით მოსარგებლე აბონენტთა რიცხვი 2010 წლიდან 2016 წლამდე 787 ათასიდან 2,481 ათასამდე გაიზარდა, ხოლო მოხმარებული ინტერნეტის მოცულობა - 173 ტერაბაიტიდან 32,266 ტერაბაიტამდე.

1.5. სატელევიზიო მაუწყებლობის სექტორი საქართველოში

სატელევიზიო მაუწყებლობის სექტორი შემოსავალს ძირითადად სარეკლამო ბაზრიდან იღებს, სატელევიზიო რეკლამასა და სპონსორობაზე გაწეული ხარჯების მოცულობა კი ძირითადად მაკროეკონომიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

სატელევიზიო მაუწყებლების (საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა) შემოსავლების ევოლუცია, მილიონი ლარი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ჯამური შემოსავლები, *აქედან:*	71	80	83	75	95	85	102
რეკლამა და სპონსორობა	59	65	63	66	84	73	81

წყარო: კომისია

2016 წელს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-სა და ტელეიმედის სარეკლამო და სპონსორობის შემოსავალმა დაახლოებით 63 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბაზრის დაახლოებით 78%-ს შეადგენს. ამავე წელს სილქნეტის მიერ საკუთარ არხებზე რეკლამის განთავსებისა და სპონსორობიდან მიღებულმა შემოსავალმა დაახლოებით 1 მილიონი ლარი შეადგინა.

საქართველოში, ისევე როგორც - გლობალურად, ბოლო წლებში რეკლამის ციფრული არხების (ინტერნეტ გვერდები, სოციალური ქსელები, აპლიკაციები და ა.შ.) მნიშვნელობისა და შემოსავლების ზრდა აღინიშნება. საერთაშორისო ტენდენციების მიხედვით, ციფრული არხების შემოსავლების ზრდა ძირითადად თვით სარეკლამო ბაზრის ზრდისა და არასატელევიზიო სარეკლამო არხების წილის შემცირების ხარჯზე ხდება, მაგალითად: ბეჭდვითი მედია, გარე რეკლამა და სხვა.

2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

2.1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის აქციონერები

ემიტენტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება (2010 წელს კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა). კომპანიის კაპიტალი შეადგენს

68,171,901 ლარს და დაყოფილია 68,171,901 ჩვეულებრივ აქციად. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს ერთ ლარს.

სილქნეტი შეიქმნა მისი თავდაპირველი დამფუძნებლების, სს გაერთიანებული ტელეკომის, შპს აჭარის ელექტროკავშირის და შპს ვანექსის მიერ მათი ქონების ნაწილის სილქნეტის კაპიტალში შეტანის გზით. 2010 წლის დეკემბრიდან სილქნეტის აქციათა 100% მესაკუთრეს წარმოადგენს მალტაში რეგისტრირებული კომპანია Rhinestream Holdings Limited. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან: გიორგი რამიშვილი - 61.9%, ალექსი თოფურია - 28.58% და დავიდ ბორგერი - 9.52%.

2011 წელს სილქნეტმა შეიძინა შპს ნოვუსი, რომელიც სატელევიზიო არხების ტრანსლაციის უფლებებს ფლობდა. 2011 წელს სილქნეტმა დააფუძნა ააიპ ენჯი საქართველო, რომლის მიზანია ჟურნალ National Geographic-ის ქართულ ენაზე გამოცემა და საერთაშორისო National Geographic-ის აქტივებობების მხარდაჭერა.

2014 წელს კომპანიამ შეიძნა შპს ვაიმაქს ჯორჯია, რომელიც უსადენო ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებას WiMax ტექნოლოგიით ახორციელებდა. ამავე წელს კომპანიამ შეიძინა 85%-იანი წილი შპს საქართველოს მედია ქსელში, რომელიც სატელევიზიო მაუწყებლობას ახორციელებდა. 2014 წლიდან კომპანია ფლობს 51%-იან წილს შპს ქარვაში.

2015 წლის დეკემბერში განხორციელდა შპს ვიტელ ჯორჯიას შერწყმა სილქნეტთან. ვიტელ ჯორჯია ახორციელებდა უსადენო ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებას WiMax ტექნოლოგიით. შერწყმის შედეგად სილქნეტის მფლობელობაში აღმოჩნდა F48 და F53 ლიცენზიები.

2016 წელს კომპანიამ შეიძინა შპს საქართველოს მედია ქსელის დანარჩენი 15% და ამავე წლის დეკემბერში განხორციელდა მისი შერწყმა სილქნეტთან, რომელიც მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებულ პირი გახდა.

2.2. კომპანიის სტრუქტურა

დღევანდელი მდგომარეობით სილქნეტი შემდეგ იურიდიულ პირებში ფლობს წილს:

კომპანია	**საქმიანობა**	**სილქნეტის წილი**
შპს ნოვუსი	საქმიანობას არ აწარმოებს	100%
შპშ ვაიმაქსჯორჯია	საქმიანობას არ აწარმოებს	100%
შპს ქარვა	IP ტელევიზიის პლატფორმის განვითარება და ოპერირება	51%
ააიპ ენჯი საქართველო	ჟურნალ National Geographic-ის გამოცემა საქართველოში	ერთადერთი დამფუძნებელი

2.3. საკრედიტო რეიტინგი

2016 წლის 1 სექტემბერს „Fitch"-მა კომპანიას მიანიჭა გამომშვების გრძელვადიანი რეიტინგი „B+", სტაბილური პროგნოზით. კომპანიის სასესხო ვალდებულებების დოლარიდან ლარში გადატანის შემდეგ, 2016 წლის 11 ოქტომბერს, Fitch-მა დაადასტურა კომპანიის რეიტინგი.

2.4. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

სიქლნეტის ძირითადი საქმიანობაა:

- საცალო ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურება;
- სატელევიზიო მაუწყებლობა და მაუწყებლობის ტრანზიტი;
- საცალო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება;
- საბითუმო მომსახურება სხვა სატელეკომუნიკაციო კომპანიებისთვის.

2.5. კომპანიის ძირითადი მომსახურების აღწერა

ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურება

სილქნეტი ინტერნეტ მოსახურებას ეწევა სამი ძირითადი ტექნოლოგიის მეშვეობით:

- ოპტიკური ინტერნეტი FTTH ტექნოლოგიის გამოყენებით;
- DSL ინტერნეტი;
- LTE/4G ინტერნეტი.

კომპანია ოპტიკური ქსელების განვითარებას ნაწილობრივ სპილენძის ქსელის პარალელურად, არსებული საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის გამოყენებით ახორციელებდა. ოპტიკური ქსელის ძირითადი ფოკუსი მსხვილი ქალაქები იყო, მათ შორის ის უბნები, სადაც არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ოპტიკური ქსელის ეფექტური მშენებლობის საშუალებას იძლეოდა. 2016 წლის ბოლოს მდგომარეობით საცალო ოპტიკური მომსახურება ხორციელდებოდა შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ქობულეთი, რუსთავი, ფოთი, ზუგდიდი, ზესტაფონი, გორი, ხაშური, თელავი, ველისციხე, კაბალი. ამ ჩამონათვალში არ შედის ერთეული წერტილი-წერტილი (Point-to-Point) ტიპის შეერთებები.

DSL ინტერნეტის აბონენტების რაოდენობამ 2014 წლიდან კლება დაიწყო და დაახლოებით 160 ათასიდან 2016 წლის ბოლოსთვის 120 ათასამდე ჩამოვიდა. ოპტიკური ინტერნეტის აბონენტების ზრდას განაპირობებს როგორც სპილენძის აბონენტების ჩანაცვლება, ისე ისეთი აბონენტების ჩართვა, რომელთაც აქამდე ინტერნეტის მომსახურება ან საერთოდ არ ჰქონდათ ან სხვა ოპერატორის მეშვეობით იღებდნენ. 2016 წლის ბოლოსთვის ოპტიკური ინტერნეტის აბონენტების რაოდენობამ 124 ათასს მიაღწია და პირველად გადააჭარბა DSL ინტერნეტის აბონენტების რაოდენობას.

2015 წლიდან სილქნეტმა დაიწყო LTE ტექნოლოგიით მომსახურების გაწევა. LTE ტექნოლოგია მეოთხე თაობის უსადენო ტექნოლოგიაა, რომელიც, მობილურ მომსახურებასთან ერთად, მაღალი ხარისხის ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურების გაწევის საშუალებასაც იძლევა იმ ადგილებში, სადაც სადენიანი ქსელი არ არის ან ასეთის მოწყობა რთულია ან არ არის მიზანშეწონილი, განსაკუთრებით სოფლად. 2016 წლის ბოლოსთვის სილქნეტს 22 ათასი LTE ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტი ჰყავდა. 2016 წლის განმავლობაში სილქნეტმა სრულად შეწყვიტა WiMax ტექნოლოგიის გამოყენება, რომლითაც შპს ვიტელ ჯორჯიას აბონენტები სარგებლობდნენ (როგორც ზემოთ არის აღწერილი, 2015 წლის დეკემბერში განხორციელდა ვიტელ ჯორჯიას შერწყმა სილქნეტთან).

სილქნეტის ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების ევოლუცია, ათასებში



წყარო: კომისია

2016 წლის განმავლობაში ფიზიკური პირების საშუალო ARPU-მ შეადგინა 23.2 ლარი ოპტიკური ინტერნეტის აბონენტებისთვის, 19.4 ლარი DSL ინტერნეტის აბონენტებისთვის და 19.1 ლარი LTE აბონენტებისთვის. 2015 წელთან შედარებით ოპტიკური და DSL ინტერნეტის აბონენტების ARPU-ს ზრდა ძირითადად აბონენტების მიერ საშუალოდ უფრო მაღალი ფასის პაკეტების შეძენით იყო გაპირობებული, ხოლო 2015 წელს ზრდის მთავარი მიზეზი ამ წლის მარტში ფასების მატება იყო.

სილქნეტის ფიზიკური პირების საშუალო ARPU-ს ევოლუცია ტექნოლოგიის მიხედვით, ლარი



წყარო: კომისია

სილქნეტის ინტერნეტ მომსახურების შემოსავლის დაახლოებით 25% იურიდიული პირებისაგან მიღებულ შემოსავალზე მოდის, მაშინ როდესაც რაოდენობის მხრივ იურიდიული პირები აბონენტთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 5%-ს შეადგენს. მსხვილი იურიდიული პირების ნაწილს ინტერნეტის მომსახურება სპეციალურად მათთვის მოწყობილი წერტილი-წერტილი (Point-to-Point) ოპტიკური ქსელის საშუალებით მიეწოდება. მომხმარებელთა კონცენტრაციის მხრივ, ყველაზე მსხვილი საცალო აბონენტიდან მიღებული ჯამური საბონენტო შემოსავალი კომპანიის ყველა სახის მომსახურებიდან არ აღემატება კომპანიის ჯამური შემოსავლის 1%-ს, ხოლო საბონენტო შემოსავალი 10 ყველაზე მსხვილი საცალო აბონენტიდან - 3%-ს.

სილქნეტის ფიქსირებული ინტერნეტის მოსახურების შემოსავალი, აბონენტის ევოლუცია ტიპის მიხედვით, მილიონი ლარი



წყარო: კომისია

სილქნეტის ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების ევოლუცია აბონენტის ტიპის მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

მაუწყებლობის ტრანზიტი IP ტექნოლოგიით

მაუწყებლობის ტრანზიტს კომპანია IP ტექნოლოგიით ახორციელებს. მომსახურების მახასიათებლებია:

- გადახვევა (Time shifting, cath-up-TV). გადახვევის ხანგრძლივობა არხების მიხედვით განსხვავდება და დამოკიდებულია როგორც გადახვევის უფლებებზე, რომელიც სილქნეტს არხის მომწოდებლისაგან აქვს მიღებული, ისე მოხმარებლის მოთხოვნაზე. საეთერო მაუწყებლობის ქართული არხებისა და სილქნეტის საკუთარი არხების გადახვევის დრო ჩვეულებრივ 10 დღეა. სხვა არხებზე გადახვევის დრო ძირითადად 1-5 დღეა, შესაბამისი უფლებებისა და არხების ყურებადობის მიხედვით;
- ვიდეო მოთხოვნით (Video-on-Demand). ამ მომსახურების ფარგლებში კომპანია მომხმარებლებს უსასყიდლოდ სთავაზობს საგანმანათლებლო პროექტს „საშინაო სკოლა";
- არხების ელექტრონული პროგრამა;
- არხების რიგითობის ინდივიდუალური დალაგება;
- სხვა დამატებითი ღირებულებების მოსახურებები (Value Added Services, VAS).

მომსახურება ხორციელდება ტექნიკური პლატფორმის მეშვეობით, რომელსაც ავითარებს და ოპერირებას უწევს შპს ქარვა. მომსახურების მისაწოდებლად აბონენტებს სარგებლობაში გადაეცემათ სეტ-ტოპ-ბოქსი, რომელშიც ჩაწერილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

IP ტელევიზიის მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც იპტიკური, ისე DSL ინტერნეტის აბონენტებისთვის:

- ოპტიკურ ინტერნეტის აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ მომსახურება რამდენიმე სატელევიზიო მიმღებზე მიიღონ და მაღალი გარჩევადობის არხებს უყურონ;
- DSL ინტერნეტის აბონენტების მომსახურებისთვის აუცილებელია, რომ სპილენძის ხაზი გარკვეულ ტექნიკურ პარამეტრებს აკმაყოფილებდეს. DSL ინტერნეტის აბონენტებს მხოლოდ ერთი სეტ-ტოპ-ბოქსის მიერთების საშუალება აქვთ და მათ არ მიეწოდებათ მაღალი გარჩევადობის არხები.

2016 წლის განმავლობაში IP ტელევიზიის მომსახურების საშუალო ARPU-მ შეადგინა 19.2 ლარი. 2015 წელთან შედარებით ARPU-ს შემცირება ძირითადად აბონენტების უფრო დაბალი ფასის პაკეტებზე გადასვლით იყო გაპირობებული, ხოლო 2015 წელს ზრდის მიზეზი ამ წლის მარტში ფასების მატება იყო.

2016 წელს კომპანიის მაუწყებლობის ტრანზიტის შემოსავალმა დაახლოებით 25.5 მილიონი ლარი შეადგინა.

სილქნეტის IP ტელევიზიის საშუალო ARPU-ს ევოლუცია, ლარი

2014	2015	2016
17.1	20.5	19.2

წყარო: კომისია

სილქნეტის IP ტელევიზიის მომსახურებით მიღებული შემოსავლის ევოლუცია, მილიონი ლარი

2014	2015	2016
17.0	24.5	25.5

წყარო: კომისია

სილქნეტის მომხმარებლებისათვის, ისევე, როგორც სხვა პირებისთვის, ხელმისაწვდომია სატელევიზიო არხების ყურებისთვის განკუთვნილი ვებ გვერდი და მობილური აპლიკაციები. ამ საშუალებებით წამყვანი ქართული საეთერო მაუწყებლობის არხების ყურება, გადახვევის რეჟიმის ჩათვლით, უფასოა, ხოლო სილქნეტის ფასიანი მაუწყებლობის არხების ყურება საბონენტო საფასურის გადახდას საჭიროებს.

2017 წლის მაისში კომპანიას მიმართა შპს „მედია რაითს ჯორჯიამ", რომელმაც 6 ქართული სატელევიზიო არხის - „რუსთავი 2", „იმედი", „მაესტრო", „კომედი", „მარაო" და „ჯი-დი-ეს" - ტრანზიტის საფასურის გადახდა მოითხოვა, ერთ საბონენტო მოწყობილობაზე თვეში 4 ლარის ოდენობით (დ.ღ.გ.-ს გარეშე). კომპანიის ინფორმაციით, მსგავსი მიმართვა საქართველოში მოქმედმა მაუწყებლობის ტრანზიტის ყველა ოპერატორმა

მიიღო. „მაუწყებლობის შესახებ კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად, სილქნეტმა დაიწყო მოლაპარაკება შპს „მედია რაიტს ჯორჯიასთან“.

სატელევიზიო მაუწყებლობა

კომპანია ამზადებს და მომხმარებელს აწვდის შემდეგ სატელევიზიო არხებს:

არხის დასახელება	**კატეგორია**	**სტატუსი**
Silk Sport HD1	სპორტი	ფასიანი
Silk Sport HD2	სპორტი	ფასიანი
Silksport HD2	სპორტი	ფასიანი
Silk უნივერსალი	სპორტი, შემეცნებითი	საეთერო (უფასო)
Silk კინო ჰოლივუდი	კინო	ფასიანი
Silk კინო კოლექცია	კინო	ფასიანი
Silk ქიდსი	საბავშვო	ფასიანი
Silk დოკუმენტური	შემეცნებითი	ფასიანი

ფასიანი არხები ხელმისაწვდომია:

- სილქნეტის მომხმარებლებისათვის, პაკეტების მიხედვით;
- 2017 წლიდან ზოგიერთი სხვა მაუწყებლობის ტრანზიტის ოპერატორის აბონენტისთვის, რისთვისაც სილქნეტი შესაბამის ანაზღაურებას იღებს.

საეთერო მაუწყებლობის არხი Silk უნივერსალი უფასოდაა ხელმისაწვდომი ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის აბონენტთათვის და, მოთხოვნის საფუძველზე, მაუწყებლობის ტრანზიტის ნებისმიერი ოპერატორისთვის.

2016 წელს კომპანიის არხებზე განთავსებული რეკლამიდან მიღებულმა შემოსავალმა დაახლოებით 1 მილიონი ლარი შეადგინა.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

კომპანია ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას აბონენტებს სამი ძირითადი ტექნოლოგიის მეშვეობით უწევს:

- PSTN, სპილენძის ქსელის მეშვეობით;
- VOIP, ოპტიკური და LTE ქსელების მეშვეობით;
- CDMA (უსადენო).

PSTN აბონენტების რაოდენობის შემცირების მთავარი მიზეზებია ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მობილური მომსახურებით ჩანაცვლების (FMS) ტენდენცია და სპილენძის ქსელების გადაფარვა ოპტიკური ქსელებით, რაც VOIP მომსახურების ზრდას იწვევს.

სილქნეტის ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტების ევოლუცია ტექნოლოგიების მიხედვით, ათასებში



წყარო: კომისია

ფიზიკური პირებისთვის ხელმისაწვდომი სატარიფო გეგმების უმრავლესობა მოიცავს:

- სააბონენტო გადასახადს, რომელიც საშუალებას აძლევს აბონენტს ისარგებლოს კომპანიის შიდა ქსელში ულიმიტო ან ლიმიტირებული რაოდენობის ზარებით და, მაღალ სატარიფო გეგმებში, ქსელის გარეთ განხორციელებული ზარების გარკვეულ ოდენობას;
- ცვლად გადასახადს ქსელის გარეთ განხორციელებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ზარებზე;
- გადასახადს დამატებით მომსახურებაზე, მაგალითად, ნომრის ამოცნობა და სხვა.

აბონენტთა რაოდენობის შედარებითი მდგრადობის შედეგად შემოსავლებში სააბონენტო გადასახადის ნაწილიც ინარჩუნებს მდგრადობას. შესაბამისად, ფიქსირებული ტელეფონიის შემოსავლების შემცირების ძირითადი მიზეზი ქსელის გარეთ განხორციელებული ზარების კლებაა, რაც FMS ტენდენციით აიხსნება.

ფიქსირებული ტელეფონიის შემოსავლების ევოლუცია აბონენტის ტიპის მიხედვით, მილიონი ლარი



წყარო: კომისია

<u>უსადენო ფიქსირებული სატელეფონო და მობილური მომსახურება CDMA ტექნოლოგიის მეშვეობით</u>

2016 წლის ბოლოს სილქნეტი ემსახურებოდა 30.5 ათას ფიქსირებულ და 21.2 ათას მობილურ აბონენტს. ბაზარზე მობილური მომსახურების ტარიფების ვარდნამ სილქნეტის CDMA ტექნოლოგიით უსადენო მომსახურების მთავარი მიმზიდველობის (ანუ სატარიფო გეგმების მნიშვნელოვან ნაწილში ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადში შემავალი სილქნეტის სადენიან და უსადენო ქსელში ულიმიტო საუბარი) ეტაპობრივად შემცირება გამოიწვია, რასაც თავის მხრივ აბონენტების რაოდენობის შემცირება მოჰყვა.

სილქნეტის CDMA ტექნოლოგიის აბონენტების ევოლუცია, ათასებში



წყარო: კომისია

2016 წელს კომპანიის საცალო შემოსავალმა ამ მომსახურებიდან დაახლოებით 4 მილიონი ლარი შეადგინა.

საბითუმო მომსახურება

სილქნეტის საბითუმო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2016 წელს შეადგინა 18.4 მლნ ლარი, რაც 2015 წელთან შედარებით 0.2 მლნ ლარით მეტია. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს კომპანიის საბითუმო მომსახურების კატეგორიებს:

საბითუმო მომსახურება	**განმარტება**
ადგილობრივი ურთიერთჩართვა	ადგილობრივი ოპერატორების მიერ სილქნეტის ქსელში დასრულებული ზარების საფასური
საერთაშორისო ურთიერთჩართვა	საერთაშორისო ოპერატორების მიერ სილქნეტის ქსელში დასრულებული ზარების საფასური
ტრანზიტი	სილქნეტის ქსელის მეშვეობით ზარის განხორციელება, როდესაც არც ზარის წამომწყები და არც ზარის მიმღები აბონენტი სილქნეტის არ არის
ინტერნეტის გაყიდვა	ინტერნეტ მომსახურების გაყიდვა კავშირგაბმულობის ადგილობრივ და უცხოურ ოპერატორებზე
ინფრასტრუქტურის იჯარა	კავშირგაბმულობის სხვა ოპერატორების მიერ სილქნეტის ინფრასტრუქტურის გამოყენების საფასური
ფულის შეგროვების (მომსახურების საფასურის ამოღების) საკომისიო	კავშირგაბმულობის სხვა ოპერატორების სანაცვლოდ სილქნეტის აბონენტებისგან მომსახურების საფასურის ამოღების საკომისიო

სილქნეტის საბითუმო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ევოლუცია, ათასი ლარი

საბითუმო მომსახურება	**2014**	**2015**	**2016**
ადგილობრივი ურთიერთჩართვა	4,507	3,599	3,302
საერთაშორისო ურთიერთჩართვა	2,000	4,379	4,980
ტრანზიტი	9,180	346	1,589
ინტერნეტის გაყიდვა	6,710	5,132	2,175
ინფრასტრუქტურის იჯარა	5,482	4,479	6,085
ფულის შეგროვების (მომსახურების საფასურის ამოღების) საკომისიო	369	256	202
ჯამში	**28,248**	**18,191**	**18,333**

წყარო: აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაფუძნებული კომპანიის ინფორმაცია

ინფრასტრუქტურის იჯარიდან შემოსავლების ზრდა განპირობებულია ე.წ. IRU კონტრაქტების შესაბამისად გაწეული ტექნიკური მომსახურეზიდან მიღებული შემოსავლებით (დეტალები იხილეთ *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“ - „მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები“*).

2014 წელს კომპანია ეწეოდა საერთაშორის ზარების ტრანზიტულ მომსახურებას. ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობის გამო 2015 წლიდან კომპანიამ მნიშვნელოვნა შეამცირა ტრანზიტული ზარების მომსახურება.

სილქნეტის ხმოვანი ურთიერთჩართვის ხარჯების ევოლუცია, ათასი ლარი

	2014	2015	2016
ურთიერთჩართვის ხარჯი, *მათ შორის:*	15,528	4,164	4,676
აბონენტების წამოწყებული ზარები	6,846	3,862	3,262
ტრანზიტული ზარები	8,682	302	1,414

წყარო: აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაფუძნებული კომპანიის ინფორმაცია

2.6. შერჩეული ტექნიკური და საოპერაციო ინფორმაცია

სილქნეტის ქსელის ძირითადი პარამეტრები

სილქნეტის მაგისტრალური ოპტიკური ქსელი მოიცავს:

- 2,261 კმ საქალაქთაშორისო მაგისტრალებს;
- 392 კმ სადგურთაშორისო საქალაქო მაგისტრალებს.

კომპანიას მინიმუმ ერთი სასაზღვრო შეერთება აქვს საქართველოს ყველა მეზობელ ქვეყანასთან: 2 შეერთება თურქეთთან, 2 შეერთება სომხეთთან, 2 შეერთება აზერბაიჯანთან და 1 შეერთება რუსეთთან.

საერთაშორისო შეერთებების საშუალებით ხორციელდება ინტერნეტ მომსახურებისთვის საჭირო საერთაშორისო IP რესურსების შემოტანა კომპანიის ქსელში. საერთაშორისო რესურსებთან წვდომა ძირითადად ფრანკფურტის გლობალური მნიშვნელობის კვანძთან აწყობილი ვირტუალური ქსელის (Clear channel) მეშვეობით ხორციელდება. დამატებით, კომპანიას მოწყობილი აქვს პირდაპირი ვირტუალური ქსელი სოფიის საერთაშორისო კვანძთან. ვირტუალური ქსელით შეერთება თურქეთის გავლით ხდება, ხოლო IP რესურსების შესყიდვასა და წამყვან ოპერატორებთან ურთიერთჩართვას (Peering) კომპანია უშუალოდ ფრანკფურტსა და სოფიაში ახდენს. ორი შეერთების საშუალებით, კომპანია გლობალურ რესურსებთან წვდომის რეზერვირებას ახდენს, რაც ქსელის საერთო მდგრადობას ზრდის. ინტერნეტის რუსულ რესურსებთან წვდომა ძირითადად ლარსის შეერთების საშუალებით ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში, ლარსის შეერთების მეშვეობით გლობალურ რესურსების დამატებითი რეზერვირებაც შესაძლებელია. გარდა ამისა, კომპანიას საშუალება აქვს, ინტერნეტის რეზერვირება აზერბაიჯანიდანაც მოახდინოს.

ძირითადი მაგისტრალური საქალაქთაშორისო ქსელის ილუსტრაცია



წყარო: კომპანიის ინფორმაცია

აბონენტების შემაერთებელი ოპტიკური კაბელების ჯამური სიგრძე (გამანაწილებელი კაბელები სადგურებიდან აბონენტებამდე) 3,889 კმ-ს შეადგენს. ოპტიკური ქსელი 400 ათასზე მეტ შინამეურნეობას ფარავს (ე.წ. Homes passed).

ქალაქები და რაიონული ცენტრები ერთმანეთთან ძირითადად ოპტიკური კაბელების საშუალებით არიან დაკავშირებული. გამონაკლის შემთხვევებში, მცირე ზომის დასახლებულ პუნქტებთან დაკავშირება რადიოსარელეო ტექნოლოგიით ხორციელდება. ასეთი ტექნოლოგიის გამოყენება, ძირითადად, LTE სადგურების შემთხვევაში ხდება იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც სილქნეტს ოპტიკური მაგისტრალი არ აქვს.

კომპანიის LTE ქსელი მოიცავს 135 საბაზო სადგურს. ქსელი მუშაობს 2.3 გჰც დიაპაზონში (3GPP Band 40). კომპანიის მიერ LTE მომსახურებისთვის გამოყენებული ლიცენზიები (F48, F53 და F98) ერთობლივად 50 მჰც დიაპაზონს მოიცავს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

უსადენო ფიქსირებული ტელეფონიისა და მობილური მომსახურების მიწოდება CDMA ტექნოლოგიის საშუალებით ხორციელდება, რისთვისაც კომპანია იყენებს 130 საბაზო სადგურს საქართველოს მასშტაბით. მომსახურების მიწოდება ხორციელდება 2x3.69 მჰც სიხშირის მეშვეობით 850 მჰც-ის დიაპაზონში.

<u>*კომპანიის გაყიდვების ორგანიზაცია*</u>

კომპანია გაყიდვებს შემდეგი არხების საშუალებით ახორციელებს:

- ქოლ ცენტრი 032-2100100 - აბონენტების მიერ ინიცირებული ზარები;
- აქტიური ქოლ ცენტრი - კომპანიის მიერ ინიცირებული ზარები;
- გაყიდვის მენეჯერები და აგენტები;
- საქართველოს მასშტაბით განლაგებული 42 სერვის ცენტრი;
- ვებ გვერდი mysilknet.com, რომლის მეშვეობითაც აბონენტებს შეუძლიათ მართონ მომსახურების პაკეტები.

<u>*აბონენტთა მომსახურების ორგანიზება*</u>

აბონენტთა მომსახურება ხორციელდება შემდეგი არხების საშუალებით:

- ქოლ ცენტრი 032-2100100, რომელიც ახდენს აბონენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და ტექნიკურ მხარდაჭერას ან/და მის კოორდინაციას. 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ქოლ ცენტრში

დასაქმებული იყო 225 თანამშრომელი, ტექნიკური მხარდაჭერის თანამშრომლების ჩათვლით. 2016 წლის განმავლობაში სილქნეტის ქოლ ცენტრმა თვეში საშუალოდ 209 ათასი ზარი მიიღო;

- საქართველოს მასშტაბით განლაგებული 42 სერვის ცენტრი;
- კორპორატიული მომსახურების მენეჯერები;
- ვებ გვერდი mysilknet.com, რომლის მეშვეობითაც აბონენტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მათი პაკეტებისა და მომსახურების დარიცხული საფასურის შესახებ.

სილქნეტის აბონენტები მომსახურების საფასურს იხდიან საბანკო არხებით და სწრაფი გადახდის აპარატებით. მომსახურების საფასურის მიღება ნაღდი ანგარიშსწორებით არ ხორციელდება.

სატელევიზიო არხების ტრანსლაციის და საავტორო/მომიჯნავე უფლებები

შემენილი სატელევიზიო არხების ტრანზიტულ მაუწყებლობას კომპანია ახორციელებს შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე. ამ ხელშეკრულებების ვადიანობა განსხვავდება და სხვადასხვაა ფასის გამოთვლის პირობებიც, რომლებიც შემდეგ ძირითად კატეგორიებად შეიძლება დაიყოს:

- უფასო;
- ფიქსირებული ფასი;
- ფასი ერთ აბონენტზე (აბონენტის ტიპის მიხედვით);
- ფასი ერთ სეტ-ტოპ-ბოქსზე (აბონენტის ტიპის მიხედვით);
- ფასი ერთ აბონენტზე ან სეტ-ტოპ-ბოქსზე მინიმუმის გარანტიით.

სააბონენტო ბაზის ზრდასთან ერთად, პერიოდულად, კომპანია მაუწყებლობის ტრანზიტთან დაკავშირებული ხელშეკრულებების განახლებას ახორციელებს, რასაც შესაძლოა მოყვეს ფასის კორექტირება და უფლებების დაზუსტება.

საკუთარი სატელევიზიო არხებისთვის კომპანია უშუალოდ ყიდულობს კინო, შემეცნებითი, გასართობი და სპორტული შეჯიბრებების და თანმხლები გადაცემების ტრანსლაციის უფლებებს.

ძირითადი სპორტული შეჯიბრებების ტრანსლაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები

შეჯიბრება	**სახეობა**	**უფლება**
English Premier League	ფეხბურთი	ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე
La Liga	ფეხბურთი	ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე
Bundesliga	ფეხბურთი	ექსკლუზიური უფლება ქართულ ენაზე
NBA	კალათბურთი	ექსკლუზიური უფლება ქართულ ენაზე
Champions League	ფეხბურთი	ექსკლუზიური უფლება ფასიან არხებზე
Europa League	ფეხბურთი	ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე
Youth Champions League	ფეხბურთი	ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე
Euroleague	კალათბურთი	ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე
ATP	ჩოგბურთი, კაცები	ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე
Roland Garros	ჩოგბურთი	ექსკლუზიური უფლება ღია საეთერო არხებზე
ჩინეთის სუპერ ლიგა	ფეხბურთი	ექსკლუზიური უფლება ქართულ ენაზე
ძიუდოს სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრება	ძიუდო	ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა საქართველოში ჩატარებული ტურნირებისა

სატელეფონო ზარების მოცულობა და ზარის დასრულების ტარიფები

სილქნეტის ზარების ცალკეული კატეგორიების წუთების რაოდენობა, მილიონი წუთი

ზარის კატეგორია	**2015**	**2016**

ადგილობრივი შემომავალი	155.3	151.9
საერთაშორისო შემომავალი ადგ.	31.9	27.9
საერთაშორისო შემომავალი საერთ.	-	0.3
ადგილობრივი გამავალი, ფიქსირებული	80.4	64.1
ადგილობრივი გამავალი, მობილური	42.8	39.6
საერთაშორისო გამავალი	6.2	4.7

წყარო: კომპანიის მონაცემები

ადგილობრივი ზარის დასრულების ტარიფები მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებისთვის დარეგულირებულია კომისიის მიერ. დღევანდელი მდგომარეობით ზარის დასრულების რეგულაცია ეფუძნება ხარჯზე ორიენტირებულობის პრინციპს. ფიქსირებული ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კომპანია ვალდებულია სატელეფონო ზარების წამოწყებისა და დასრულების მომსახურება გასწიოს კომისიის მიერ დადგენილი ზედა ზღვრული ტარიფის ფარგლებში, რომელიც შეადგენს წუთზე 0.02 ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

უსადენო მომსახურების სეგმენტებზე სილქნეტი არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს და მას თავად შეუძლია ზარის დასრულების ტარიფების დადგენა. CDMA მომსახურებაზე კომპანიის მიერ განსაზღვრული ტარიფებია - 4 თეთრი ფიქსირებულ მომსახურებაზე და 13.8 თეთრი - მობილურ მომსახურებაზე.

კომისიის დავალებით, საკონსულტაციო კომპანია EY-მ მოამზადა ზარის წამოწყების, დასრულებისა და სხვა მომსახურებების ფასის გაანგარიშება LRIC მეთოდით (Long-term Incremental Cost), რომელიც თეორიული ეფექტური ოპერატორის ხარჯებზეა დაფუძნებული. ამ გაანგარიშების შედეგად მიღებული ზარის დასრულების ტარიფები საგრძნობლად დაბალია დღეს არსებულზე. ამ მეთოდოლოგიის შემოღებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც შესაძლოა 2017 წლის განმავლობაში განხორციელდეს.

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებისთვის ზარის დასრულების არსებული და სამომავლოდ სავარაუდო ტარიფების შედარება (თეთრი/წუთი, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)

	ფიქსირებული	**მობილური**
დღევანდელი ტარიფი	2.00	3.50
LRIC მეთოდით დათვლილი ტარიფი	0.33	0.885

წყარო: კომისია

საერთაშორისო ზარის დასრულების შესახებ 2017 წლის 1 მარტამდე არსებული დროებითი რეგულაციის მიხედვით, სააბონენტო ქსელის მფლობელ ოპერატორს შეეძლო თავად განესაზღვრა საკუთარ ქსელში ზარის დასრულების ტარიფი გარკვეული პირობების დაცვით. მაგალითად, ოპერატორს უნდა დაედგინა საფეხურებრივი ტარიფი, რომელიც წუთების მოცულობაზე იქნებოდა დამოკიდებული, ამავე დროს, დიდი ოპერატორებისათვის ზარის დასრულების ტარიფი არ უნდა ყოფილიყო ქსელის მფლობელი დიდი ოპერატორის მიერ მეორე საფეხურზე დაწესებულ ტარიფზე ნაკლები.

2017 წლის 1 მარტიდან გაუქმდა აღნიშნული დროებითი რეგულაცია, რამაც საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების ტარიფთან დაკავშირებით ერთგვარი გაურკვევლობა შექმნა. ოპერატორების უმრავლესობის პოზიციაა, რომ დროებითი რეგულაციის გაუქმებით მომსახურების ეს სახე დერეგულირებულია და ოპერატორი თავისუფალია ტარიფის დადგენაში. ამავე დროს, კომისია მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ოპერატორის მიერ შემოტანილი საერთაშორისო ზარი უნდა დასრულდეს ადგილობრივი ზარის დასრულების ტარიფით, რომელსაც უნდა დაემატოს საერთაშორისო ზარის დასრულების საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული აქციზიც - 8 თეთრი წუთზე ფიქსირებულ ქსელში და 15 თეთრი წუთზე მობილურ ქსელში. ოპერატორებისა და კომისიის პოზიციებს შორის სხვაობის გამო, სასამართლოს მოუწევს მსჯელობა საერთაშორისო ზარების დასრულების ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებით (კომპანიას უკვე შეტანილი აქვს სარჩელი კომისიის შესაბამისი აქტების ბათილობის მოთხოვნით).

2017 წლის 16 მაისს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება N345/22 საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის თაობაზე, რომლის შესაბამისადაც კომისიამ კვლავ დაადგინა რეგულაცია საერთაშორისო ზარების ტერმინაციაზე, კერძოდ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე

ავტორიზებულ პირებს, მათ შორის სილქნეტს, დაუდგინდა ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელში ზარის დასრულების ტარიფი: 0.12 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთი (გადასახადების ჩათვლით). კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში რიგი სატელეკომუნიკაციო ოპერატორების (შპს „მაიფონი", შპს „სითი ტელეკომი", შპს „ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს") მიერ და მოთხოვნილ იქნა კომისიასთან დავის საბოლოო დასრულებამდე აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება ტარიფის ნაწილში, რაც დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

საგადასახადო საკითხები

შემოსავლების სამსახურმა შეამოწმა კომპანიის საქმიანობა 2009-იდან 2013 წლის აპრილის ჩათვლით პერიოდში. შემოწმების შედეგად კომპანიას დაერიცხა ჯარიმა 176,461 ლარის ოდენობით, ამავე დროს კომპანიის მიერ გადასახდელი გადასახადების ოდენობა შემცირდა 51,719 ლარით. სისტემური და მნიშვნელოვანი ოპერაციების დაბეგვრასთან დაკავშირებით კომპანია საგადასახადო ორგანოებისაგან იღებს წინასწარ გადაწყვეტილებებს, კანონმდებლობის ბუნდოვანი დებულებების განსხვავებული ინტერპრეტაციით გამოწვეული რისკის შესამცირებლად. გარდა ამისა, მიმდინარე საგადასახადო რისკების იდენტიფიკაციის და მინიმიზაციის მიზნით ხორციელდება ყოველწლიური საგადასახადო ოპერაციების შესწავლა/მონიტორინგი. კომპანია რეგულარულად იღებს კონსულტაციას წამყვანი საკონსულტაციო ფირმებისაგან.

ააიპ ენჯი საქართველოს მხარდაჭერა

2011 წელს სილქნეტმა დააფუძნა ააიპ ენჯი საქართველო, რომლის მიზანია ჟურნალ National Geographic-ის ქართულ ენაზე გამოცემა და საერთაშორისო National Geographic-ის აქტივებობების მხარდაჭერა. ააიპ ენჯის შემოსავლები ჟურნალის გაყიდვიდან და რეკლამის განთავსებიდან ვერ ფარავს მის საოპერაციო ხარჯებს და ამგვარ დანაკლისს ავსებს სილქნეტი. 2016 წელს სილქნეტმა ააიპ ენჯი საქართველო 689 ათასი ლარით დააფინანსა.

2.7. კომპანიის ავტორიზაცია, ლიცენზიები/ნებართვები და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება

კომპანიას გავლილი აქვს ავტორიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფასა და მომსახურების მიწოდებაზე, ხოლო მაუწყებლობის სფეროში - კერძო სპეციალიზებულ მაუწყებლობაზე.

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება

ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ბაზრის მონაწილეების რეგულირება, ზოგადი (სიმეტრიული) ნორმების პარალელურად, კონკურენციის ხელშემწყობი (ე.წ. ასიმეტრიული) წინასწარი რეგულირების სისტემით ხორციელდება, რაც გულისხმობს სპეციფიკური ვალდებულებების დაწესების გზით იმ პირების საქმიანობის რეგულირებას, რომელთაც ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება გააჩნიათ. კომისია უფლებამოსილია აღნიშნულ პირ(ებ)ს გადაწყვეტილებით დააკისროს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკური ვალდებულება:

- ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
- დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
- დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება (კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად);
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
- სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

კომისიის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების საფუძველზე, სილქნეტი ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად ბაზრის შემდეგ სეგმენტებზე:

- ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტი;
- ფიქსირებული ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზარი;
- ფიქსირებულ მისამართზე ინტერნეტით მომსახურების საცალო ბაზარი;
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზარი;
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზარი;

- მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზარი;
- მაგისტრალური საკომუნიკაციო (გატარების) ციფრული სისტემის სახაზო საშუალებებთან და მათ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზარი.

ბაზრის იმ სეგმენტებზე და იმ გეოგრაფიულ ზონებში, სადაც კომპანია ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად, მას დაკისრებული აქვს კანონით განსაზღვრული ხუთი სპეციფიკური ვალდებულებიდან რამდენიმე ან ყველა ვალდებულება და განსაზღვრული აქვს მათი შესრულების კონკრეტული პირობები.

სატარიფო რეგულირების ფარგლებში, ზემოთ ჩამოთვლილი ბაზრის საბითუმო სეგმენტებიდან უმრავლესობაზე, სილქნეტს დაკისრებული აქვს დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფით მომსახურების გაწევის ვალდებულება. ამასთან, კომისიამ კომპანიას შესაბამისი მომსახურების გაწევაზე დაუდგინა ზედა ზღვრული ტარიფები, კერძოდ:

- ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კომპანიას მომსახურებაზე (მგბტ/წმ) განესაზღვრა ზედა ზღვრული ტარიფი 32 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე);
- ფიქსირებული ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კომპანია ვალდებულია სატელეფონო ზარების წამოწყებისა და დასრულების მომსახურება გასწიოს კომისიის მიერ დადგენილი ზედა ზღვრული ტარიფის ფარგლებში, რომელიც შეადგენს წუთზე 0.02 ლარს (დღგ-ს ჩათვლით);
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების ბაზარზე, კომპანიას განსაზღვრული აქვს სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი თვეში 2.20 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე);
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე, სხვა სპეციფიკურ ვალდებულებებთან ერთად, კომპანიას საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელის გატარების მომსახურებაზე (100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე) დაუდგინდა ზედა ზღვრული ტარიფი თვეში 370 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე) და განესაზღვრა 100 მმ-იან არხში სხვადასხვა დიამეტრის კაბელის გატარების საფასურის გაანგარიშების ფორმულა (რომელიც კომპანიას გასაჩივრებული აქვს).

ნებართვები და ლიცენზიები

სილქნეტი თავის საქმიანობაში იყენებს კომისიის მიერ გაცემული ნებართვებსა და ლიცენზიებს, კერძოდ სატელეფონო ნუმერაციის რესურსებითა და რადიოსიხშირული სპექტრით (მათ შორის რადიო სარელეო) სარგებლობის ნებართვებს და ლიცენზიებს. კომპანია იყენებს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის რამდენიმე ძირითად ლიცენზიას, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია აღწერილი:

ლიცენზია	სიხშირე	ვადა	შენიშვნები
F11	827.997- 831.645 მჰც და 872.955-876.645 მჰც	23.07.2023	ლიცენზია გადაპირებულია სს გაერთიანებული ტელეკომისგან 23.07.2019 წლამდე
F48	2299-2350 მჰც	05.05.2026	გეოგრაფიული არეალი: თბილისი
F53	2300-2350 მჰც	18.01.2027	გეოგრაფიული არეალი: საქართველოს ტერიტორია (ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხონის რაიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა)
F98	2300-2350 მჰც	11.08.2026	გეოგრაფიული არეალი: ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის მუნიციპალიტეტები

წყარო: კომპანიის ინფორმაცია, კომისია

2.8. მნიშვნელოვანი სასამართლო დავები

ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი წინამდებარე პროსპექტის გამოშვების მომენტისათვის ემიტენტის მონაწილეობით მიმდინარე მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს წარმოება სარჩელზე, რომლის საფუძველზეც ემიტენტი ითხოვს F11 ლიცენზიის საფასურის დადგენის შესახებ კომისიის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის (კომისიის 2013 წლის 22 ივლისის N460/6 გადაწყვეტილება) ნაწილის ბათილად ცნობას. ბათილად ცნობის საფუძველია აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილი წესისა და ვადების დარღვევა, რამაც გავლენა მოახდინა ლიცენზიის საფასურის გადაანგარიშების წესზე და შესაბამისად ლიცენზიის საფასურზე, რითაც სილქნეტს ზიანი მიადგა. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიის სასარჩელო მოთხოვნა, თუმცა კომისიას აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

კომისიის კიდევ ერთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც კომპანიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გაასაჩივრა, არის კომისიის 2015 წლის 16 ივნისის N351/19 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე, სხვა სპეციფიკურ ვალდებულებებთან ერთად, სილქნეტს საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელის გატარების მომსახურებაზე (100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე) დაუდგინდა ზედა ზღვრული ტარიფის (თვეში 370 ლარის ოდენობით გადასახადების გარეშე) გაანგარიშების ფორმულა. სასამართლომ, 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და კომისიას დაავალა საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლოს გადაწყვეტილება კომისიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში კომპანიას ასევე გასაჩივრებული აქვს კომისიის 2017 წლის 28 თებერვლის N08/634-17, 2017 წლის 2 მარტის N08/678-17 და 2017 წლის 10 მარტის N08/748-17 წერილები. აღნიშნული წერილებით კომისიამ უარი განაცხადა სილქნეტის მიერ საკუთარ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) გამოქვეყნებაზე (რისი საჭიროებაც კომპანიისათვის დაკისრებული გამჭვირვალობის სპეციფიკური ვალდებულებიდან გამომდინარეობს) და დაუდგინა დამატებითი რეგულაციები საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებაზე ტარიფების დადგენასთან დაკავშირებით. სილქნეტის აზრით, კომისიის მიერ დადგენილი რეგულაციები ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ზიანს აყენებს კომპანიის ინტერესებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ასევე მიმდინარეობს წარმოება კომპანიის სარჩელზე კომისიის 2017 წლის 20 აპრილის N272/18 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით კომისიამ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით გამოიყენა გაფრთხილება კომპანიის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონისა და კომისიის რიგი გადაწყვეტილებების, კომისიის შეფასებით, დარღვევის გამო. ამავე გადაწყვეტილებით კომისიამ სილქნეტს დაავალა ინფორმაციის გამჭვირვალობის სპეციფიკური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მოწვევის ოფერტის სპეციფიკურ ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა და კომისიაში გამოსაქვეყნებლად წარდგენა. სილქნეტის აზრით, კომისიის ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ამავე დროს ზიანს აყენებს კომპანიის ინტერესებს. კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე შეჩერებულ იქნა აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედება დავის საბოლოო დასრულებამდე.

2.9. მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები

ქვემოთ აღწერილია კომპანიის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, თუმცა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

<u>საკრედიტო ხელშეკრულება სს თიბისი ბანკთან</u>

2017 წლის 19 ივლისს სილქნეტსა და სს თიბისი ბანკს შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში კომპანია სარგებლობს კრედიტებით და სხვა საკრედიტო ინსტრუმენტებით, როგორიცაა ოვერდრაფტი, გარანტია, აკრედიტივი. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება უზრუნველყოფილია კომპანიის მთლიანი უძრავ-მოძრავი და სამომავლო ქონებით.

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კომპანიის მიერ სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტის დაცვის ვალდებულება, მათ შორის:

- საკრედიტო რესურსით მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს 1.1-ის ტოლი ან მეტი;
- Net Debt/EBITDA (წმინდა ვალდებულება/მოგება მოგების გადასახადის, ცვეთის და პროცენტის გადახდამდე) ნებისმიერ ეტაპზე უნდა იყოს 3.5-ს ტოლი ან ნაკლები;
- ICR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 3.0-ზე ნაკლები (ICR გამოითვლება შემდეგი ფორმულით (EBITDA-Maintenance Cap.ex/interest expense). დაანგარიშება მოხდება კვარტალში ერთხელ, დათვლის მომენტისათვის არსებული ბოლო 12 თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

გარდა ფინანსური კოეფიციენტებისა, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება კომპანიის საქმიანობაზე სხვადასხვა ტიპის შეზღუდვას აწესებს, მაგალითად, კომპანიას ეკრძალება დივიდენდების გაცემა, გარკვეულ ოდენობაზე მეტი სესხის გაცემა, ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მომსახურების ხელშეკრულება შპს სერვისნეტთან

2015 წლის აგვისტომდე სილქნეტი საკუთარი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით ახორციელებდა სახაზო-საკაბელო ქსელის მომსახურებას, ახალი აბონენტების აყვანასთან დაკავშირებული ქსელის განვითარებას და საბონენტო მოწყობილობების მონტაჟს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების ფუნქციებში ძირითადად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შედიოდა. აღნიშნული მიმართულების მართვა კომპანიის სხვა საქმიანობის მართვისაგან თვისობრივად განსხვავებულ საოპერაციო პროცესებთან იყო დაკავშირებული.

ამ კუთხით საოპერაციო მოქნილობის ზრდისა და ხარჯების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, გადაწყდა ზემოხსენებული მომსახურების ე.წ. „აუთსორსინგი". 2013 წლიდან მიმდინარეობდა მოლაპარაკება სხვადასხვა კომპანიასთან. 2015 წელს აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შპს სერვისნეტის სასარგებლოდ, რომელთანაც სილქნეტი თანამშრომლობდა 2013 წლიდან მაგისტრალური ქსელის გაფართოების რამდენიმე პროექტზე.

2015 წლის აგვისტოში სილქნეტსა და შპს სერვისნეტს შორის გაფორმდა არაექსკლუზიური ხელშეკრულება საკაბელო და საბონენტო ქსელის მომსახურებისა და საბონენტო მოწყობილობების მონტაჟის შესახებ. სილქნეტში შეწყვიტა ფუნქციონირება ზემოხსნებულმა სტრუქტურულმა ერთეულმა და კომპანიაში ამ მიმართულებით მომუშავე თანამშრომელთა უდიდესი ნაწილი დასაქმდა კონტრაქტორ კომპანიაში.

კომპანიასა და შპს სერვისნეტს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეიცვალა შესაბამის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ასახვის სტრუქტურა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია შესაბამისი ხარჯების კატეგორიზაცია ე.წ. „აუთსორსინგის" ხელშეკრულების დადებამდე და შემდგომ პერიოდებში (ათასი ლარი):

ხარჯის კატეგორია	სექ. 2015	ივნ. 2015
საოპერაციო ხარჯები	-	1,055
ცვეთა და ამორტიზაცია	-	112
ქსელის ტექ. მომსახურების ხარჯები (სერვისნეტის მომსახურება)	959	-
ჯამში მოგება-ზარალის უწყისში ასახული ხარჯები	959	1,177
კაპიტალური ხარჯები	563	260
სულ ხარჯები	1,522	1,437

წყარო: კომპანიის მონაცემები

სხვაობა ყოველთვიური ხარჯების ჯამურ ოდენობას შორის გამოწვეულია ახალი აბონენტების სხვადასხვა რაოდენობის აყვანით. ე.წ. „აუთსორსინგის" შედეგად კაპიტალიზაციის წლიური მაჩვენებლის მატება შეადგენს დაახლოებით 3,000 ათას ლარს.

მომსახურების ხელშეკრულება შპს ქარვასთან

შპს ქარვა კომპანიას IP ტელევიზიის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მომსახურებას უწევს, ასევე ახორციელებს სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება კომპიუტერული პროგრამების განვითარებას და მოიცავს კომპანიის მიერ ინიცირებულ ფუნქციონალურ და თვისობრივ განახლებებს/დამატებებს. შპს ქარვას მიერ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი ნებისმიერი ახალი პროდუქტი სილქნეტს საკუთრებაში ან უვადოდ სარგებლობაში გადაეცემა.

შპს ქარვა სილქნეტს მომსახურებას ექსკლუზიურად უწევს საქართველოს ტერიტორიაზე. სილქნეტთან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ის არ არის უფლებამოსილი ანალოგიური ან მსგავსი მომსახურება (კონსულტაციის ჩათვლით) გაუწიოს მესამე პირებს საქართველოს ტერიტორიაზე, სილქნეტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

შპს ქარვას მომსახურების ღირებულება ცვლადია და დამოკიდებულია IP ტელევიზიის მომხმარებელთა რაოდენობაზე. 2016 წელს სილქნეტის მიერ ქარვასთვის გადახდილმა მომსახურების საფასურმა 4,095 ათასი ლარი შეადგინა.

სილქნეტი ფლობს შპს ქარვას წილის 51%-ს, დანარჩენი 49% კი ქარვას მენეჯმენტს ეკუთვნის.

IRU ხელშეკრულებები

სილქნეტს სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან გაფორმებული აქვს გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვების ხელშეუვალი სარგებლობის უფლების (ე.წ. Indefeasible Rights of Use - IRU) 20 წლის ვადით მესამე პირებზე გადაცემის შესახებ რამდენიმე ხელშეკრულება. ხელშეკრულებები ითვალისწინებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვებით სარგებლობის უფლებას და ამ ძარღვების ტექნიკურ მომსახურებას.

კომპანიის პრაქტიკის თანახმად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვებით სარგებლობის მთლიანი პერიოდის უფლების საფასურის გადახდა ხორციელდება წინასწარ, ავანსის სახით და კომპანიის შემოსავლებში საფასურის აღიარება ხდება პერიოდის განმავლობაში წრფივი დარიცხვის მეთოდით. ტექნიკური მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს ყოველთვიურად, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

IRU ხელშეკრულებები ითვალისწინებს მომსახურების ხარისხის კონტროლთან დაკავშირებულ დებულებებს და შესაბამის ჯარიმებს.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია IRU ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიის მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვებით სარგებლობის უფლების მიღებული საფასური (ათას ლარში):

2014	2015	2016
667	13,259	10,324

წყარო: კომპანიის მონაცემები

ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან

2013 წლის 26 დეკემბერს სილქნეტს როგორც მიმწოდებელს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში „**სამინისტრო**") როგორც შემსყიდველს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N13/155-ს. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სილქნეტის ხაზობრივ ნაგებობებში განთავსებულ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებში წვერებისა და შესაბამისი საკომუნიკაციო აპარატურის სამინისტროსათვის საკუთრებაში გადაცემა და აპარატურის მონტაჟი. გარდა ამისა, ხელშეკრულება ითვალისწინებს გადაცემული წვერების მომსახურებას 21 წლის განმავლობაში.

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 6,720,877.42 ლარს (დღგ-ს ჩათვლით), ჯამური ღირებულებიდან 6,480,877 ლარი შემსყიდველმა სილქნეტს ავანსის სახით გადაუხადა. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად კომპანიამ შემსყიდველს წარუდგინა სს საქართველოს ბანკის მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია ავანსად ჩარიცხულ მთლიან თანხაზე (რომელიც დღემდე ძალაშია).

სილქნეტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადასცა სამინისტროს საკომუნიკაციო აპარატურა და განახორციელა მისი მონტაჟი (რაზეც მხარეთა შორის გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი). საბანკო გარანტიის ოდენობა შემცირდა საკომუნიკაციო აპარატურის ღირებულების თანხით (1,410,200 ლარით).

2015 წლის მარტში, ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი ვადის გასვლამდე, სილქნეტმა მიმართა სამინისტროს და შესთავაზა ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. მიუხედავად კომპანიის მხრიდან რამდენიმე შეთავაზებისა, შემსყიდველის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა დღემდე არ განხორციელებულა, თუმცა, ამავე დროს, სამინისტროს არ გამოუთქვამს პრეტენზია სილქნეტის მხრიდან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.

ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება

1) ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელ ძირითად სამართლებრივ აქტს წარმოადგენს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონი (შემდგომში **„კომუნიკაციების კანონი"**), რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის 2 ივნისს. კომუნიკაციების კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციებს, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის წესს, ავტორიზებული პირების ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი პირების საქმიანობის მარეგულირებელი სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტებია „მაუწყებლობის შესახებ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების" შესახებ საქართველოს კანონები და სხვა. ამასთან, კომუნიკაციების კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი (მაგალითად, რადიოსიხშირული სპექტრით და ნუმერაციის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის/ნებართვის მოპოვება, რეგულირების საფასურის განსაზღვრა და გაანგარიშება, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვა, და სხვა) უფრო დეტალურად რეგულირდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში **„კომისია"**) მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის: „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესები", კომისიის დადგენილება „რეგულირების საფასურის გადახდისა და განსაზღვრის წესის შესახებ", „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულება", „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი", „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები", „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა", „საბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულება", „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანაზღაურების წესები" და ა.შ.

მარეგულირებელი ორგანო

კომისია არის ეროვნული მარეგულირებელი ორგანო როგორც ელექტრონული კომუნიკაციების, ასევე მაუწყებლობის სფეროში. კომისია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით შექმნილი მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება და არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კომისიის შემოსავლის ძირითადი წყარო ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურია. კომისია თავისი საქმიანობის ანგარიშს და ფინანსური აუდიტის შედეგებს ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და მთავრობას.

კომისიის დაკომპლექტებაში ჩართულია როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლება. კომისია ხუთი წევრისგან შედგება, რომლებსაც ირჩევს საქართველოს პარლამენტი 6 წლის ვადით საქართველოს პრეზიდენტის მიერ (საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით) წარდგენილი კანდიდატებიდან. კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს 3 წლის ვადით.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისიის ძირითადი მიზნები და ფუნქციებია:

- რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური და ეფექტიანი განაწილება;
- ამოწურვადი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა/გაუქმება;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია;
- თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის კვლევა და ანალიზი;
- ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების განსაზღვრა და მათთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

- კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებული პირებს, ასევე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა;
- სატელეკომუნიკაციო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვის კონტროლი.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელების მიზნით, კომისია გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში უფლებამოსილია შესაბამის პირებს დააკისროს პასუხისმგებლობა და სანქციები.

ავტორიზაცია და რეგულირების საფასური

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობა ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე. ავტორიზაცია გულისხმობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის რეგისტრაციას. ავტორიზაციას ექვემდებარება ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირი შეიძლება იყოს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი.

ავტორიზაციის მსურველმა პირმა უნდა მიმართოს კომისიას სპეციალური დეკლარაციით, რომლის ფორმას ადგენს კომისია. განმცხადებელმა დეკლარაციაში, სხვა ინფორმაციასთან და მონაცემებთან ერთად, უნდა მიუთითოს საქმიანობის ან/და მომსახურების ის სახეები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს ავტორიზაციის საფუძველზე. ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ავტორიზაციის მსურველი პირის დეკლარაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომისია ახორციელებს მსურველი პირის რეგისტრაციას ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში. მხოლოდ უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ აქვს პირს საქმიანობის დაწყების უფლება. ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს აწარმოებს კომისია და ნებისმიერ პირს აქვს რეესტრის მონაცემების გაცნობის უფლება.

ავტორიზაციის მინიჭება ხორციელდება განუსაზღვრელი ვადით და მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ავტორიზებული პირის განცხადების საფუძველზე ან მისი გარდაცვალების/ლიკვიდაციის შემთხვევაში. კომისია უფლებამოსილია, ავტორიზებული პირის მოთხოვნის საფუძველზე ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საკუთარი ინიციატივით (მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ავტორიზებული პირი არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მის მიმართ სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა), შეაჩეროს ავტორიზაცია გარკვეული ვადით.

საქმიანობის მოდიფიცირების შემთხვევაში, ავტორიზებული პირი ვალდებულია საქმიანობის მოდიფიცირებამდე 7 სამუშაო დღით ადრე აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს კომისიას, რომელიც ცვლილებებს ასახავს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.

პირები, რომლებსაც მოპოვებული აქვთ ავტორიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, ვალდებული არიან გადაიხადონ რეგულირების საფასური. რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესი განსაზღვრულია „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილებით. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში რეგულირების საფასურის ოდენობაა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.75% და გადაიხდება ყოველთვიურად. ამასთან, ავტორიზებულმა პირმა რეგულირების საფასურის გადახდასთან ერთად კომისიას სპეციალური დეკლარაციის ფორმით უნდა წარუდგინოს ინფორმაცია რეგულირების საფასურის გაანგარიშების თაობაზე.

ავტორიზებულ პირთა ძირითადი ვალდებულებები

ავტორიზებულ პირს, კანონით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებთან ერთად, ეკისრება შემდეგი ძირითადი ვალდებულებები:

- უზრუნველყოს სხვა მსურველი ოპერატორებისათვის (ან ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელის მფლობელი პირებისათვის) ურთიერთჩართვის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება;
- მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება;
- უზრუნველყოს გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ყველა ბოლო მომხმარებლისათვის, კანონით დადგენილი პირობების დაცვით;

- შეინარჩუნოს ქსელის ინტეგრაცია და დაცულობა, არ დაუშვას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით არასანქცირებული სარგებლობა;
- უზრუნველყოს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობისას ელექტრომაგნიტური თავსებადობა და ხელშეშლებისა და მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;
- უზრუნველყოს მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით სარგებლობისას მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვა;
- უზრუნველყოს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობა (ტრანსლირება) კომისიის მიერ დამტკიცებული სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების შესაბამისად;
- გადაიხადოს რეგულირების საფასური და ამოწურვადი რესურსებით სარგებლობის საფასური და სალიცენზიო/სანებართვო მოსაკრებელი;
- უზრუნველყოს საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შექმნა, მათ შორის, იქონიოს კომუნიკაციის რეალურ დროში მიწოდების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობა, და სხვა.

ურთიერთჩართვა და დაშვება

კომუნიკაციების კანონის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ის ოპერატორები, რომლებიც სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებენ ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, ვალდებული არიან, სხვა მსურველ ოპერატორებს მიაწოდონ (პირდაპირი ან არაპირდაპირი) ურთიერთჩართვა.

ურთიერთჩართვა გულისხმობს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ფიზიკურ და ლოგიკურ კავშირს, რისი საშუალებითაც ერთი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა დაუკავშირდეს სხვა ოპერატორის მომხმარებელს ან/და ისარგებლოს სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომსახურებით და რომელიც ხორციელდება ოპერატორების მიერ საკუთარი ქსელების შესაბამის ელემენტებთან ურთიერთდაშვებით.

ურთიერთჩართვასთან დაკავშირებით კომუნიკაციების კანონი ადგენს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

- ურთიერთჩართვა უნდა განხორციელდეს შეუზღუდავი, სავალდებულო და არადისკრიმინაციული წესით;
- დაუშვებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის შეწყვეტა;
- ურთიერთჩართული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეაჩეროს მოქმედი ურთიერთჩართვა მხოლოდ კომისიის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით.

მხარეებს შორის ურთიერთჩართვასთან დაკავშირებულ დავებს კომისია იხილავს 1 თვის ვადაში. ამასთან, თუკი ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული დავის განხილვისას მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, კომისია უფლებამოსილია თვითონ დაადგინოს ურთიერთჩართვის პირობები.

კომუნიკაციების კანონით განსაზღვრული დაშვების ზოგადი ვალდებულებიდან გამომდინარე, ნებისმიერ ავტორიზებულ პირს უფლება აქვს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს მოსთხოვოს მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების უზრუნველყოფა.

დაშვება გულისხმობს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის (ავტორიზებული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას) მიერ განსაზღვრული პირობებით (მათ შორის, ტარიფებით) საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტებით, ტექნიკური საშუალებებით, მათი თავისუფალი ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით (ან მათი გამოყენებით) განხორციელებული (ან განხორციელებადი) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას, რაც მოიცავს:

- ქსელის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელემენტებითა და ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებით უზრუნველყოფას, მათ შორის, საკანალიზაციო არხებითა და ჭებით, სააბონენტო წყვილებით, ანძებითა და ბოძებით სარგებლობის უზრუნველყოფას;
- თანალოკაციის ფართობით სარგებლობის უზრუნველყოფას;

- ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ქსელის შესაბამისი ელემენტებით, მათი თავისუფალი საოპერაციო ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით (მათ შორის, როუმინგის მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებით) სარგებლობის უზრუნველყოფას;
- აბონენტის ინდივიდუალური დაშვების სისტემისა და პროგრამების ელექტრონული სარჩევის (მეგზურის) რესურსებით სარგებლობის უზრუნველყოფას;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვისა და მომხმარებელთა საინფორმაციო ბაზების, სააბონენტო ნომრების პორტაბელურობასთან დაკავშირებული რესურსებით სარგებლობის უზრუნველყოფას;
- ვირტუალური ქსელების მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის სხვა შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით ან საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას.

ოპერატორებს შორის დაშვებასთან და ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებებით, სადაც უნდა განისაზღვროს დაშვების ტექნიკური, ეკონომიკური და სხვა პირობები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე კონკურენტული გარემოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კომისია, უფლებამოსილია განსაზღვროს წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული შესაბამისი საბითუმო ბაზრები (მაგალითად, ურთიერთჩართვის ბაზარი) და კვლევისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს დააკისროს დაშვებასა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის განუსაზღვროს ზედა ზღვრული ტარიფები (დამატებით იხილეთ *„კონკურენციის წინასწარი რეგულირება და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის სპეფიციკური ვალდებულებები“*).

ამოწურვადი რესურსებით სარგებლობა

ნუმერაციის რესურსი და რადიოსიხშირული სპექტრი ამოწურვად რესურებს მიეკუთვნება. ამოწურვადი რესურსის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა კომისიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს. შესაბამისად, ამოწურვადი რესურსებით სარგებლობა კომისიის მიერ გაცემული ნებართვის და ლიცენზიის საფუძველზე ხორციელდება. ამასთან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კომისია უფლებამოსილია შესაბამის პირს მიანიჭოს რადიოსიხშირე და ნუმერაციის რესურსი.

<u>ნუმერაციის რესურსი</u>

ნუმერაციის ეროვნული სისტემა დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ, კომისიასთან შეთანხმებით. კომისია გასცემს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვას.

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების“ თანახმად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა გაიცემა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული საქმიანობის განსახორციელებლად, უვადოდ, ყოველწლიური განახლებით. ამასთან, კომისია უფლებამოსილია ნებართვის გარეშე, გადაწყვეტილებით, კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებით დამტკიცებულ „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშწორების წესებით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით მიანიჭოს ნუმერაციის რესურსი ამავე წესებით განსაზღვრულ პირებს.

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვის გაცემის საფუძველია თავისუფალი რესურსის არსებობა და ნებართვის მაძიებლის განცხადება ნებართვის მიღების თაობაზე. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვის მისაღებად, ნებართვის მაძიებელი იხდის „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სანებართვო მოსაკრებელს და „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად განსაზღვრულ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურს.

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვის განახლება ხორციელდება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვის გაცემიდან/განახლებიდან 1 წლის ამოწურვამდე, რისთვისაც ნებართვის მფლობელმა უნდა გადაიხადოს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური. საფასურის გადაუხდელობის და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილ ვადაში კომისიისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა გაუქმებულად ითვლება. გარდა ამისა, კომისია უფლებამოსილია ნებართვის მფლობელი პირის მიერ სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში,

კანონით დადგენილი პირობების არსებობისას, გაუუქმოს პირს ნებართვა. ნებართვის გაუქმება შესაძლებელია ასევე ნებართვის მფლობელი პირის მოთხოვნის საფუძველზე.

<u>რადიოსიხშირული სპექტრი</u>

რადიოსიხშირულ სპექტრს ანაწილებს და სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას გასცემს კომისია. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კომისია ასევე უფლებამოსილია ავტორიზებულ პირს ლიცენზიის გარეშე მიანიჭოს რადიოსიხშირული სპექტრი.

კომისია ადგენს რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლამენტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ, კომისიასთან შეთანხმებით, სახელმწიფოს საჯარო ფუნქციების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული რადიოსიხშირეების გათვალისწინებით. კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად, რადიოსიხშირული სპექტრი დაყოფილია სიხშირულ დიაპაზონებად და შესაბამის სიხშირულ დიაპაზონზე განსაზღვრულია როგორც ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტით განსაზღვრული განაწილებები, ასევე მათი ეროვნულ დონეზე გამოყენება (როგორც დღევანდელი მდგომარეობით, ასევე პერსპექტიული გამოყენების კუთხით).

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით (გარდა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისა, რომელიც მოიპოვება კონკურსის წესით) კომუნიკაციების კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონებისა და კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" შესაბამისად. გამონაკლის შემთხვევებში, კომუნიკაციების კანონით გათვალისწინებული კონკრეტული ტიპის საქმიანობისათვის რადიოსიხშირეების გამოყენება ხორციელდება ნებართვის ან სიხშირეების მინიჭების საფუძველზე, აუქციონის გარეშე. მაგალითად, კომისია უფლებამოსილია ავტორიზებულ პირს, რომელსაც ავტორიზებული საქმიანობის განხორციელების მიზნით დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით ესაჭიროება რადიოსარელეო ქსელი ან რადიოსარელეო ხაზის მონაკვეთ(ებ)ი, აუქციონის გამართვის გარეშე, 10 წლის ვადით მიანიჭოს რადიოსიხშირული რესურსი.

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში, პირის განცხადებისა და აუქციონში მისი გამარჯვების საფუძველზე. გადაწყვეტილება აუქციონის გამართვის შესახებ მიიღება შემდეგ ორ შემთხვევაში: 1) არსებობს „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით" გათვალისწინებული თავისუფალი რადიოსიხშირული სპექტრი და პირის მოთხოვნა აუქციონის გამართვის შესახებ; ან 2) კომისიას წარედგინა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის განაცხადი მის სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ.

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მაძიებელი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და აუქციონის გამართვის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის მაქსიმალური ოდენობის შეთავაზება.

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით (ხოლო ელექტრონული საკომუნიკაციო მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონებში - 15 წლის ვადით როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი), თუმცა ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე მიმართოს კომისიას განცხადებით ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა ხორციელდება კომუნიკაციების კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელს, კომისიის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის მოქმედების ვადა უგრძელდება 10 წლის ვადით, რისთვისაც ლიცენზიანტი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და კომუნიკაციების კანონით დადგენილი წესით გამოანგარიშებულ საფასურს.

ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი მოდიფიცირება, რისთვისაც მან უნდა მიმართოს კომისიას დასაბუთებული მოთხოვნით. ლიცენზიის მოდიფიცირება ან/და ლიცენზიით გაცემული რადიოსიხშირული დიაპაზონის შეცვლა შესაძლებელია ასევე განხორციელდეს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ცვლილების შედეგად ან კომისიის ინიციატივით,

კომუნიკაციების კანონით დადგენილ შემთხვევებში. კერძოდ, კომისია უფლებამოსილია განახორციელოს ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებებით ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემებისათვის ჰარმონიზებული რადიოსიხშირული დიაპაზონების (ამავე გადაწყვეტილებებით დადგენილი ტექნიკური ნორმებისა და პირობების შესაბამისად) ეროვნულ დონეზე განაწილება. ამგვარ დიაპაზონებში რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა 15 წლის ვადით, ხოლო უკვე გაცემული ლიცენზიები ექვემდებარება 15 წლის ვადით, ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად მოდიფიცირებას, ხოლო ლიცენზიის საფასური - კომისიის დადგენილებით განსაზღვრული წესით გადაანგარიშებას.

კომუნიკაციების კანონის თანახმად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მიღების შემდეგ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში დაიწყოს პრაქტიკული საქმიანობა. ამასთან, დაუშვებელია ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსით სარგებლობისა და ამ რესურსის გამოყენებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების შეწყვეტა ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით ან 6 თვით ერთი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, კომუნიკაციების კანონი ლიცენზიის მფლობელებს უდგენს სხვა ვალდებულებებსაც, რომელთა შეუსრულებლობამ შესაძლოა სალიცენზიო პირობის დარღვევა, ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმება ან კომისიის მიერ ლიცენზიის გაუქმება გამოიწვიოს. ლიცენზიის გაუქმება შესაძლებელია ასევე განხორციელდეს კომისიის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე.

<u>რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების (ლიცენზიის) სხვა პირისათვის გადაცემა</u>

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების სხვა პირისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: 1) აუქციონის გარეშე ლიცენზიის პირდაპირი გადაპირების წესით, ანუ პირდაპირი გადაპირების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ლიცენზიის მფლობელის მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირისათვის დათმობით; და 2) აუქციონის შედეგად, რომელიც კომისიამ ჩაატარა ლიცენზიის მფლობელი პირის მოთხოვნის საფუძველზე (რომელსაც ლიცენზია აუქციონის საფუძველზე ჰქონდა მოპოვებული).

პირდაპირი გადაპირების შემთხვევაში, მხარეებმა ერთობლივი განცხადებით უნდა მიმართონ კომისიას, რის საფუძველზეც, კომისია იწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ლიცენზიის გადაპირებასთან დაკავშირებით. ამ გზით გადაპირებული ლიცენზიის ახალ მფლობელს ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის დაწყება შეუძლია მხოლოდ კომისიის მიერ ლიცენზიის გადაპირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და კანონით განსაზღვრული წესით ავტორიზაციის გავლის შემდეგ.

კომისიის გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს შეიძლება შეეზღუდოს ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა, კომუნიკაციების კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა, როდესაც კომისია ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე დადგენს, რომ პირდაპირი გადაპირების წესით ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემის შემდეგ პირი დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად გახდება რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთის (რადიოსიხშირული დიაპაზონის) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობის კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტის მფლობელი. ამგვარ მაქსიმალურ ოდენობას კომისია განსაზღვრავს გადაპირებასთან დაკავშირებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე.

<u>ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა და სარგებლობის უფლების სხვა პირისთვის გადაცემა</u>

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა თავისუფალი რადიოსიხშირული რესურსის არსებობისას, კომისიის ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე გამართულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შედეგად.

კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩატარების შესახებ, თუ არსებობს:

1. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით“ გათვალისწინებული თავისუფალი რადიოსიხშირული რესურსი;

2. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის განაცხადი, მის სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ.

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით: 1) უკონკურსოდ, პირდაპირი გადაპირების წესით, ანუ პირდაპირი გადაპირების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ლიცენზიის მფლობელის მიერ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირისათვის დათმობით; და 2) კონკურსის შედეგად, რომელიც კომისიამ ჩაატარა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების სხვა ავტორიზებული პირისათვის მთლიანად გადაცემის მიზნით კონკურსის გამართვის შესახებ ლიცენზიის მფლობელი პირის მოთხოვნის საფუძველზე (რომელსაც ლიცენზია კონკურსის საფუძველზე ჰქონდა მოპოვებული).

პირი, რომელიც პირდაპირი გადაპირების წესით იღებს ლიცენზიას, უფლებამოსილია დაიწყოს ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა მხოლოდ კომისიის მიერ ლიცენზიის გადაპირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და კანონით განსაზღვრული წესით ავტორიზაციის გავლის შემდეგ.

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია არ შეიძლება გადაეცეს ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს ან სხვა საჯარო მოხელეს, პოლიტიკურ პარტიას, იურიდიულ პირს, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს სახელმწიფო ან რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი ორგანო/პირი.

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს კომისია ანიჭებს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების ტერმინალური მოწყობილობების საიდენტიფიკაციო კოდს ლიცენზიის მოქმედების ვადით. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში დაიწყოს პრაქტიკული საქმიანობა. ამასთან, კომუნიკაციების კანონის თანახმად, პრაქტიკული საქმიანობის დაწყების მიზნით, ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს ქსელის შესაბამისი ელემენტების მონტაჟი, მართვა და ექსპლუატაცია ლიცენზიით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში, სატელევიზიო სიგნალის გავრცელება და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტებთან, მათ რესურსებთან და სიმძლავრეებთან მსურველი ტელემაუწყებლების დაშვება. გარდა ამისა, ლიცენზიის მფლობელს კომუნიკაციების კანონი აკისრებს მის ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან საეთერო მაუწყებლობაზე ავტორიზებული მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებით და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით დაშვებისა და მათთვის ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების მიწოდების ვალდებულებას.

მაუწყებლობის ტრანზიტი

კომუნიკაციების კანონი მაუწყებლობის ტრანზიტს განმარტავს, როგორც ავტორიზებად საქმიანობას, რომელიც მოიცავს პირის მიერ მაუწყებლისაგან კანონიერ საფუძველზე მიღებული ტელე- ან რადიოარხის უცვლელი სახით (ტელე- ან რადიოპროგრამებში სარედაქციო ცვლილებების შეტანის გარეშე) გადაცემასა და ბოლო მომხმარებლისათვის მიწოდებას, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების გამოყენებით. უცვლელი სახით გადაცემაში იგულისხმება ის შემთხვევაც, როდესაც სამაუწყებლო ბადეში ცვლილების მიუხედავად, კომისია მიიჩნევს, რომ არსებითად ხორციელდება მაუწყებლის ტელე- ან რადიოარხის ტრანზიტი.

მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ისეთ სავალდებულო პირობებს, როგორიცაა, მაგალითად, მომხმარებლისათვის მისაწოდებელი მომსახურების პაკეტი (არხების ჩამონათვალი), მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისა და აღნიშნული ხარისხობრივი მაჩვენებლების დაუცველობის შემთხვევაში გათვალისწინებულ საკომპენსაციო მექანიზმები, და სხვა.

მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს, ავტორიზებული პირისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზოგად ვალდებულებებთან ერთად, ეკისრება მაუწყებლობის ტრანზიტთან დაკავშირებული სპეციალური ვალდებულებები. კერძოდ, 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების მიმართ განისაზღვრა

სავალდებულო ტრანზიტის ვალდებულება (ე.წ. „Must Carry"). „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირები ვალდებული არიან მათ მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებულ ყველა პაკეტში უსასყიდლოდ განათავსონ სატელევიზიო არხები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ (მათი მოთხოვნის შემთხვევაში). თანამგზავრული მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირებს სავალდებულო ტრანზიტის ვალდებულება წარმოეშვებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელი ასევე ავტორიზებულია თანამგზავრულ მაუწყებლობაზე და ღია თანამგზავრულ მაუწყებლობას ახორციელებს. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთვალდებულებები განისაზღვრება მხარეთა შორის დადებული სავალდებულო ტრანზიტის ხელშეკრულებით.

არასავალდებულო ტრანზიტის შემთხვევაში, თუ შესაბამისი მაუწყებელი მისი სიგნალის ტრანზიტისათვის მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისაგან ანაზღაურების გადახდას ითხოვს, ფორმდება ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულება. მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად წარმართონ მოლაპარაკებები ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულების დასადებად, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

ამასთან, მაუწყებლობის ტრანზიტის განხორციელებელმა ავტორიზებული პირმა სამაუწყებლო არხების რეტრანსლირების განახორციელებისას უნდა დაიცვას შესაბამისი მაუწყებლების საავტორო და მომიჯნავე უფლებები.

კონკურენციის რეგულირება

თავისუფალი კონკურენციის რეგულირების ზოგადი პრინციპები „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით არის დადგენილი. მასში განსაზღვრულია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდველ ქმედებები, შესაბამისი დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები და კონკურენციის დაცვის ორგანოს - საქართველოს კონკურენციის სააგენტოს (შემდგომში **„კონკურენციის სააგენტო"**) კომპეტენციის ფარგლები. კონკურენციის სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების კონტროლს.

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი გამოყენების ნორმები ვრცელდება ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებზე და ზღუდავს მათ საქმიანობას, თუმცა აღნიშნული სფეროები *ეკონომიკის რეგულირებად სფეროებს* მიეკუთვნება და დამატებით სპეციფიკურ სექტორულ რეგულირებასაც ექვემდებარება. კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს, კომპეტენცია შეზღუდულია ეკონომიკის რეგულირებად სფეროებთან, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებთან, მიმართებით. კონკურენციის სააგენტოს არ გააჩნია უფლებამოსილება დააჯარიმოს ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტები, მიიღოს გადაწყვეტილება კონცენტრაციის შესახებ ან განიხილოს საჩივრები კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტებზე. ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებში კონკურენციის მარეგულირებელი ნორმების აღსრულებას კომისია ახორციელებს, ხოლო კონკურენციის სააგენტოს როლი მხოლოდ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უწყებასთან თანამშრომლობით შემოიფარგლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 8 თებერვალს, კომისიასა და კონკურენციის სააგენტოს შორის ითანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მარეგულირებელი ორგანოები აპირებენ ითანამშრომლონ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტურად წარმართვისა და კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების მიზნით.

კომისია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის წინასწარ რეგულირებას ორი ძირითადი მიმართულებით ახორციელებს: შესაბამის ბაზარზე კონკურენციის წინასწარი რეგულირება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ის დადგენის გზით და ავტორიზებულ პირთან შერწყმისა და ავტორიზებული პირის წილის/აქციების ან საოპერაციო აქტივების შეძენის კონტროლი.

<u>კონკურენციის წინასწარი რეგულირება და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის სპეციფიკური ვალდებულებები</u>

კომუნიკაციების კანონის თანახმად, კომისია ახორციელებს კონკურენციის წინასწარ რეგულირებას, რაც გულისხმობს კომისიის მიერ მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის (ან ერთობლივად ორი ან მეტი ავტორიზებული პირის) დადგენას და მისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებას.

ავტორიზებული პირის მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებად მიიჩნევა ისეთი მდგომარეობა, როდესაც კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ავტორიზებულ პირს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ ჰყავს კონკურენტები, დაცულია მნიშვნელოვანი კონკურენციისაგან ან მისი

კონკურენტული პოზიცია მას საშუალებას აძლევს ცალმხრივად არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზრის ამ სეგმენტზე და შეზღუდოს კონკურენცია. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ორი ან მეტი ავტორიზებული პირის ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება დგინდება იმ შემთხვევაში, როცა კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე ჩამოყალიბებული კონიუნქტურა და კონკურენციის მახასიათებლები, მათი შეთანხმებულად მოქმედებისა და ბაზარზე არაკონკურენტული უპირატესობის ერთობლივად მოპოვების შესაძლებლობას იძლევა, მაშინაც კი, თუ მათ შორის არ არსებობს სტრუქტურული ან სხვა სახის, მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დადგენის მიზნით, კომისია განსაზღვრავს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებს, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებისა და გეოგრაფიული საზღვრების განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიხედვით, და ატარებს შესაბამისი მომსახურების ბაზრის კვლევასა და ანალიზს.

გადაწყვეტილებას მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის დაწყების თაობაზე კომისია იღებს საკუთარი ინიციატივით ან ავტორიზებული პირის ან სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, თუ კომისია ეთანხმება კვლევისა და ანალიზის ჩატარების საჭიროების შესახებ შესაბამისი პირის/ორგანოს დასაბუთებას.

იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად კომისია დაადგენს, რომ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ერთ ავტორიზებულ პირს (ან რამდენიმე ავტორიზებულ პირს ერთობლივად) აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, კომისია უფლებამოსილია აღნიშნულ პირ(ებ)ს გადაწყვეტილებით დააკისროს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკური ვალდებულება:

- ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
- დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
- დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება (კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად);
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
- სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შინაარსი, ფარგლები და მათი შესრულების პირობები კომუნიკაციების კანონის შესაბამისი დებულებებით განისაზღვრება. ამასთან, კომისია უფლებამოსილია დააკონკრეტოს კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები და მათი შესრულების პირობები, აგრეთვე მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებები და დამატებები შეიტანოს სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში.

ავტორიზებულ პირთან შერწყმის, ავტორიზებული პირის წილის, აქციების ან/და საოპერაციო აქტივის შეძენის კონტროლი

კომისიისათვის წინასწარ სავალდებულო შეტყობინებას ექვემდებარება:

- ავტორიზებული პირის საოპერაციო აქტივების შეძენა;
- ავტორიზებულ პირთან შერწყმა; და
- ავტორიზებული პირის წილის ან აქციების შეძენა, თუ მათი შეძენის შედეგად შემძენი პირის ან/და ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირთა მფლობელობაში ჯამში აღმოჩნდება ავტორიზებული პირის წილის ან აქციების 5% ან მეტი.

შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში ან რომლის წილის, აქციების ან საოპერაციო ატივის შეძენაც ხორციელდება.

შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში კომისია გასცემს თანხმობას შერწყმაზე/შეძენაზე ან ატარებს დამატებით გამოკვლევას ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის დადგენის მიზნით. დამატებითი გამოკვლევის ჩატარების საჭიროების შემთხვევევაში, კომისია იწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით მოითხოვოს შერწყმის ან შეძენის პირობების კორექტირება, ან საერთოდ აკრძალოს შერწყმა ან ავტორიზებული პირის წილის, აქციების ან საოპერაციო

აქტივის შეძენა, თუკი მიიჩნევს, რომ შერწყმა ან შეძენა გამოიწვევს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის მნიშვნელოვნად დარღვევას.

შერწყმასა თუ შეძენაზე თანხმობის გაცემის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებულ პირს ან საოპერაციო აქტივის შემძენ ავტორიზებულ პირს, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის შენარჩუნების მიზნით, მოსთხოვოს მის საქმიანობაში კონკრეტული ქმედებების განხორციელება. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ კომისიის თანხმობით განხორციელებული შერწყმის ან შეძენის შედეგად ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვნად დაარღვევს კონკურენციას, კომისია უფლებამოსილია ასეთ ავტორიზებულ პირს მოსთხოვოს მისი ფუნქციონალური განცალკევება ანუ ფუნქციონალურად გამოყოფილი ერთეულების ცალკე იურიდიულ პირად/პირებად გამოყოფა.

მომხმარებელთა უფლებები

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ზედამხედველობს კომისია. კომისიაში შექმნილია მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას მომხმარებელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება წარმოადგენს. გარდა ამისა, კომუნიკაციების კანონი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებს მომხმარებლების საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების ეფექტიანი შიდა მექანიზმის შექმნას ავალდებულებს.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესები და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტები დეტალურად არის განსაზღვრული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (შემდგომში **„მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი“**).

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა ძირითად უფლებებს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების სახეობის თავისუფლად არჩევისა და გაწეული/არჩეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ტარიფების, მომსახურების მიწოდებისა და ანგარიშსწორების პირობების, საანგარიშო პერიოდის დეტალური ბილინგის შესახებ ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი დამატებით განსაზღვრავს ინფორმაციის ჩამონათვალს, რომლის მიღებაც მომხმარებელს შეუფერხებლად, ყოველგვარი საფასურის გარეშე უნდა შეეძლოს.

კომუნიკაციების კანონი გარკვეულ მოთხოვნებს ადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დასადებ ხელშეკრულებასთან მიმართებით. კერძოდ, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების თაობაზე აბონენტთან გაფორმებული ხელშეკრულება უნდა იყოს წერილობითი (კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევის გარდა) და შეიცავდეს კანონით დადგენილ სავალდებულო მონაცემებსა და პირობებს, მათ შორის მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობებს, დეტალურ ინფორმაციას მომსახურების ტარიფების, აგრეთვე მათი ცვლილების შემთხვევაში განახლებული ინფორმაციის მიღების ფორმის შესახებ, მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრის წარდგენისა და დავის გადაწყვეტის პროცედურის აღწერას, და სხვა.

კომუნიკაციების კანონი გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ მომხმარებლის უფლება და შესაძლებლობა ერთსა და იმავე სააბონენტო გეოგრაფიულ ზონაში ერთი ავტორიზებული პირის მეორეთი შეცვლისას შეინარჩუნოს სააბონენტო ნომერი. ასეთივე უფლებებით სარგებლობენ მობილური სატელეფონო მომსახურების მომხმარებლებიც.

<u>პერსონალური მონაცემების/ინფორმაციის საიდუმლოების დაცვა</u>

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით არის მომხმარებლის პერსონალური მონაცემების/ინფორმაციის დაცვა.

კომუნიკაციების კანონის მიხედვით, ინფორმაცია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მომხმარებლის შესახებ, აგრეთვე აღნიშნული ქსელების მეშვეობით მომხმარებლის მიერ გადაცემული ინფორმაცია საიდუმლოა და მისი დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი მომსახურების მიმწოდებელს ავალდებულებს მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციის დაცვას და უკრძალავს ამგვარი ინფორმაციის გაცემას პირის თანხმობის გარეშე (კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევების გარდა). *პერსონალურ ინფორმაციად* მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია მომხმარებლის ვინაობის, ტექნიკური საშუალების განთავსების მისამართის, ტელეფონის ნომრის, მიღებული მომსახურებისა და გადახდის შესახებ, ასევე მომხმარებლის სხვა მონაცემი, რომელიც ახდენს მის იდენტიფიცირებას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი დეტალურად არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლებსა და პრინციპებს. კანონი *პერსონალურ მონაცემს* განმარტავს როგორც ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

სატელეფონო საუბრების მოსმენა, მათ შესახებ ცნობების, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით მომხმარებლის მიერ გადაცემული სხვა ინფორმაციის გაცემა, დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მსგავსი ტიპის მოქმედებებს, ასევე, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეგულირებასთან დაკავშირებით 2017 წლის მარტში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს დამატებითი, მათ შორის ტექნიკური, ვალდებულებები ეკისრებათ. იქმნება ახალი სუბიექტი - სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც უფლებამოსილია ავტორიზებულ პირებს დაუდგინოს მიყურადების სისტემის ტექნიკური მოთხოვნები, ჩაატაროს ავტორიზებული პირის საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შემოწმება და შესაბამისი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მიმართოს კომისიას, რომელიც დამრღვევი ავტორიზებული პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს განიხილავს.

სანქციები და პასუხისმგებლობა

ავტორიზებული პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაცვის, აგრეთვე ამოწურვადი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელის მიერ სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს კომისია.

ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად. ხოლო ლიცენზიის მფლობელთა მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმებას კომისია ახორციელებს სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგებით.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია შესაბამის პირს დააკისროს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა ან ულიცენზიოდ, ნებართვის ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობისა ან ულიცენზიოდ, ნებართვის ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა იწვევს დაჯარიმებას 5,000 ლარის ოდენობით. დარღვევის განმეორების შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა ორმაგდება, ხოლო დარღვევის ყოველი შემდგომი შემთხვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 50,000 ლარის ოდენობით. თუკი ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა ან ულიცენზიოდ, ნებართვის ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ჯარიმის ოდენობა იზრდება 500,000 ლარამდე და მისი განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

კანონმდებლობის დარღვევა და სალიცენზიო/სანებართვო პირობების შეუსრულებლობა:

- ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0.5%, მაგრამ არანაკლებ 3,000 და არა უმეტეს 30,000 ლარისა.
- ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმების შემდეგ, მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 9,000 და არა უმეტეს 90,000 ლარისა ან გაუუქმოს ლიცენზია.
- ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის მეორედ დაჯარიმების შემდეგ, მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და მეორედ დაჯარიმების შემდეგ, მაგრამ პირველი დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში, ყოველი ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 3%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 27,000 და არა უმეტეს 270,000 ლარისა ან გაუუქმოს ლიცენზია.
- ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს მის დაჯარიმებას 1,000 ლარის ოდენობით, ხოლო დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის ან დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია ნებართვის მფლობელს დააკისროს ჯარიმა 3,000 ლარის ოდენობით ან გაუუქმოს ნებართვა.

კომისია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეუჩეროს პირს ავტორიზაცია, თუ ავტორიზებული პირი:

- ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას; არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებას (ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას); და არ იხდის რეგულირების საფასურს; ან/და
- არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც მის მიმართ სანქციის სახით უკვე გამოყენებულ იქნა წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.

ავტორიზაციის შეჩერების შემთხვევაში, პირს ეკრძალება ავტორიზებული საქმიანობის განხორციელება ავტორიზაციის განახლებამდე.

კომისია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შესაბამის პირს გაუუქმოს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

- ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსით სარგებლობისა და ამ რესურსის გამოყენებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების შეწყვეტა ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით ან 6 თვით ერთი წლის განმავლობაში;
- ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში პრაქტიკული საქმიანობის დაუწყებლობა;
- სალიცენზიო პირობების დარღვევა ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენა.

კომისია უფლებამოსილია შესაბამის პირს გაუუქმოს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა სანებართვო პირობების დარღვევის გამო ნებართვის მფლობელის დაჯარიმების შემდეგ, მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში.

2) <u>მაუწყებლობის რეგულირება</u>

მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელ ძირითად სამართლებრივ აქტს წარმოადგენს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში „**მაუწყებლობის კანონი**“), რომელიც მიღებულ იქნა 2004 წლის 23

დეკემბერს. მაუწყებლობის განხორციელების წესი, მაუწყებლობის სფეროში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნის წესი და ფუნქციები, ამ სფეროში საქმიანობის რეგულირების პირობები, მაუწყებლობის უფლების მოპოვების წესი და პროცედურები, სამაუწყებლო რეკლამასთან, ტელეშოპინგთან და სპონსორობასთან დაკავშირებული საკითხები, მაუწყებლების მიმართ მოთხოვნები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები რეგულირდება მაუწყებლობის კანონით. გარდა აღნიშნული კანონისა მაუწყებლობის სფეროსთან დაკავშირებული ცალკეული სამართლებრივი ასპექტები რეგულირდება, ასევე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", „რეკლამის შესახებ", „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებით, „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" და კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით, როგორიცაა, მაგალითად „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი", „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციები" და ა.შ.

მარეგულირებელი ორგანო

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია და ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე კონტროლი;
- სალიცენზიო პირობების დადგენა, ლიცენზიების გაცემა და სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლი;
- რადიოსიხშირული სპექტრის განაწილება;
- სალიცენზიო გადასახდელისა და რეგულირების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის განსაზღვრა;
- მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის მაუწყებლობის კანონის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის", „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის შესახებ" და „რეკლამის შესახებ" კანონებისა და სხვა შესაბამისი მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირებისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის/სანქციების დაკისრება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაუწყებელთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი დავების განხილვა და გადაწყვეტა.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელების მიზნით, კომისია გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, უფლებამოსილია შესაბამის პირებს დააკისროს პასუხისმგებლობა და სანქციები.

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის საფუძვლები

მაუწყებლობის კანონის თანახმად, მაუწყებლები არიან: საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ტელემაუწყებლობის ან/და რადიომაუწყებლობის განმახორციელებელი ლიცენზიის მფლობელი ან/და ავტორიზებული პირები.

მაუწყებლობის კანონი სპეციალურ სამართლებრივ სტატუსს ანიჭებს საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს. ისინი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან და მათი სამართლებრივი სტატუსი, საქმიანობის პრინციპები, ხელმძღვანელობის ორგანოები, სტრუქტურა და მათ მიმართ დადგენილი სპეციალური მოთხოვნები მაუწყებლობის კანონის სპეციალური დებულებებით განისაზღვრება.

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობა ხორციელდება ლიცენზირების ან/და ავტორიზაციის საფუძველზე. არსებობს მაუწყებლობის ორი სახე - ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა. რადიომაუწყებელი ან ტელემაუწყებელი შეიძლება იყოს სათემო ან კერძო. სათემოდ მიიჩნევა მაუწყებლობა, რომელიც მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას და უზრუნველყოფს მაუწყებლობის პროცესში საზოგადოების იმ ნაწილის მონაწილეობას, რომელსაც ის ემსახურება. კერძო მაუწყებლობა, თავის მხრივ, იყოფა საერთო მაუწყებლობად (არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მაუწყებლობა) და სპეციალიზებულ მაუწყებლობად (ძირითადად ერთი თემატიკის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა, პროგრამებით მაუწყებლობა). საეთერო მაუწყებლობა ხორციელდება სიხშირის გამოყენებით.

ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა (გარდა სიხშირული სპექტრის გამოყენებით რადიომაუწყებლობისა) ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე. ლიცენზია გაიცემა მხოლოდ

რადიომაუწყებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი ხორციელდება სამაუწყებლო გადამცემების მეშვეობით, რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით. სხვა ნებისმიერი ტექნოლოგიით მაუწყებლობა ექვემდებარება ავტორიზაციას.

ავტორიზაცია

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ავტორიზაციას კომისია ახორციელებს.

მაუწყებლობის (გარდა სიხშირული სპექტრის გამოყენებით რადიომაუწყებლობისა) განხორციელების მსურველმა პირმა ავტორიზაციის მოპოვების მიზნით უნდა მიმართოს კომისიას, კომისიის მიერ დადგენილი სპეციალური განცხადების ფორმით და დაურთოს მას კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, კომისია ახორციელებს მსურველი პირის რეგისტრაციას ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. პირს უფლება აქვს დაიწყოს მაუწყებლობა ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციის დღიდან.

მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი. კანონით დადგენილია სხვა შეზღუდვებიც მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებასთან დაკავშირებით, მაგალითად, ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, პოლიტიკური პარტია ან პარტიის თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი, ასევე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი, ან იურიდიული პირი, რომლის წილს/აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია ხორციელდება განუსაზღვრელი ვადით. დაუშვებელია ავტორიზაციის გაუქმება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გაუქმებას თავად ავტორიზებული პირი მოითხოვს. კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია განსაზღვრული ვადით, ავტორიზებული პირის განცხადების საფუძველზე ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საკუთარი ინიციატივით (მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირი არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მის მიმართ ამ დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა).

ავტორიზებული პირის მოთხოვნის საფუძველზე ავტორიზაციის მოდიფიცირების საკითხს კომისია იხილავს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ავტორიზაციის მოდიფიცირება შეიძლება კომისიის ინიციატივითაც განხორციელდეს, რისთვისაც კომისია ატარებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას. თუ ავტორიზებული პირი წყვეტს მაუწყებლობას, ან განზრახული აქვს ავტორიზებული საქმიანობის, მათ შორის, მაუწყებლობის სახეობის, მოდიფიცირება, იგი ვალდებულია ეს 7 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს კომისიას, რომელსაც შესაბამისი ინფორმაცია/მონაცემები შეაქვს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.

ავტორიზებული პირი ვალდებულია დაიცვას მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა (მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები), ავტორიზაციის განცხადებაში ასახული ავტორიზაციის ყველა პირობა, წინასწარ აცნობოს მომხმარებელს მომსახურების პირობების შესაძლო ცვლილებების შესახებ და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

ლიცენზირება

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ლიცენზირებას კომისია ახორციელებს.

ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მიმართოს კომისიას განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტები. კომისია ლიცენზიას გასცემს კონკურსის წესით. კონკურსი ცხადდება კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც, კანონით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებთან ერთად, მიეთითება გასაცემი ლიცენზიის მახასიათებლები, მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული არეალი, სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა და ტექნიკური პარამეტრები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარსადგენი პროექტი.

მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი. კანონით დადგენილია სხვა შეზღუდვებიც მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთან დაკავშირებით, მაგალითად, ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, პოლიტიკური პარტია ან პარტიის თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი, ასევე ოფშორულ

ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი, ან იურიდიული პირი, რომლის წილს/აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.

ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით. ლიცენზიის მოქმედება ერთხელ ავტომატურად გრძელდება იგივე ვადით (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა). ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში, ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების მომენტისათვის დადგენილი სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მოქმედება არ ექვემდებარება ავტომატურად გაგრძელებას, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე ლიცენზიის მფლობელმა უნდა მიმართოს კომისიას კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებით. კომისია კონკურსს ატარებს ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

კომისია უფლებამოსილია გააუქმოს მაუწყებლის ლიცენზია ლიცენზიანტის განცხადების საფუძველზე ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საკუთარი ინიციატივით (მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელი შეწყვეტს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობას წელიწადში ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით ან ერთი წლის 120 დღის განმავლობაში).

ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ კომისიის წინასწარი თანხმობით. ლიცენზიის მფლობელ მაუწყებელს უფლება აქვს მიმართოს კომისიას ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ დასაბუთებული მოთხოვნით. გარდა ამისა, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება ასევე გახდეს საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში შეტანილი ცვლილებები/დამატებები. გადაწყვეტილებას ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ იღებს კომისია, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით.

მაუწყებლობის სფეროს რეგულირების სხვა ძირითადი პრინციპები

მაუწყებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მაუწყებელთა საქმიანობის მრავალ მნიშვნელოვან ასპექტს არეგულირებს. მაგალითად, სხვა ვალდებულებებთან ერთად, მაუწყებლობის კანონი და „საარჩევნო კოდექსი" სპეციალურ ვალდებულებებს აკისრებს მაუწყებლებს წინასაარჩევნო პერიოდში. სპეციალური შეზღუდვები და მოთხოვნებია დაწესებული სამაუწყებლო პროგრამის, რეკლამის, ტელეშოპინგის შინაარსთან და მათ განთავსებასთან, მაუწყებლების დაფინანსებასთან და სპონსორობასთან დაკავშირებით.

მაუწყებლები ასევე ვალდებული არიან დაიცვან კომისიის მიერ მიღებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ პროგრამის მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს. ყველა მაუწყებელმა უნდა შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაუწყებელთან შესული საჩივრების განხილვა და მათზე დროული რეაგირება.

გარდა ამისა, კანონი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციასთან მიმართებით. კერძოდ, მაუწყებლობის კანონის თანახმად, ერთ პირს უფლება აქვს, დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად თითო მომსახურების ზონაში ფლობდეს მხოლოდ ერთ საერთო საეთერო სატელევიზიო არხს და ერთ საერთო საეთერო რადიოარხს. ამასთან, მაუწყებლის საკუთრების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მაუწყებლები ვალდებული არიან წარუდგინონ კომისიას და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ კანონით დადგენილი ინფორმაცია და დოკუმენტები, მათ შორის კომისიის მიერ დადგენილი ფორმით შევსებული შესაბამისობის დეკლარაცია, ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული სხვა მედიასაშუალებების ფლობის ან მათში წილის/აქციების ფლობის შესახებ. მაუწყებლებს ასევე ეკისრებათ ვალდებულება მაუწყებლის წილის მფლობელებისა და აქციონერების, ხელმძღვანელი ორგანოების წევრებისა და თანამდებობის პირების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებიდან 10 დღის ვადაში, აღნიშნული ინფორმაცია გამოაქვეყნონ საკუთარ ვებგვერდზე და კომისიას წარუდგინონ განახლებული შესაბამისობის დეკლარაცია. გარდა ამისა, მაუწყებლები ყოველწლიურად წარუდგენენ კომისიას კანონით გათვალისწინებულ ფინანსური ინფორმაციას და ანგარიშებს, მათ შორის ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ.

მაუწყებლობის განმახორციელებელი პირების ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას რეგულირების საფასურის გადახდა წარმოადგენს. მაუწყებლობის კანონის თანახმად, მაუწყებლები ვალდებული არიან კომისიას კანონით დადგენილი წესითა და ფორმით ყოველთვიურად გადაუხადონ რეგულირების საფასური და წარუდგინონ კომისიას კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია რეგულირების საფასურის გაანგარიშების შესახებ. რეგულირების საფასურის ოდენობაა მაუწყებლის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი

ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.5 პროცენტი, რომელიც გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში მაუწყებელის შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან.

სანქციები

მაუწყებლობის სფეროში ულიცენზიოდ/ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა და მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა

მაუწყებლობის სფეროში ულიცენზიოდ ან/და ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა იწვევს დაჯარიმებას 5,000 ლარის ოდენობით. დარღვევის განმეორების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა ორმაგდება, ხოლო დარღვევის ყოველი შემდგომი შემთხვევა იწვევს დაჯარიმებას 50,000 ლარის ოდენობით.

კანონმდებლობის დარღვევა და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობების შეუსრულებლობა

მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევებს იხილავს კომისია. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, კომისია შესაბამის მაუწყებელს აძლევს წერილობით გაფრთხილებას და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის აღმოფხვრისათვის ან პრევენციისათვის ღონისძიებათა განსახორციელებლად. დარღვევის გაგრძელების ან ხელახალი ჩადენის შემთხვევაში, მაუწყებლის დაჯარიმების ან ლიცენზიის/ავტორიზაციის შეჩერების საკითხი რეგულირდება შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელი კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ გამოასწორებს გაფრთხილებაში აღნიშნულ დარღვევას ან არ შეასრულებს კომისიის მიერ მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, აგრეთვე თუ შესაბამისი მაუწყებელი გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალ დარღვევას, კომისია უფლებამოსილია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა არა უმეტეს მისი წლიური შემოსავლის 0.5%-ისა, მაგრამ არანაკლებ 2,500 ლარისა.
- დაჯარიმების შემდეგ შესაბამისი მაუწყებლის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა არა უმეტეს მისი წლიური შემოსავლის 1%-ისა, მაგრამ არანაკლებ 5,000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის/ავტორიზაციის შესაჩერებლად.
- მაუწყებლის მეორედ დაჯარიმების შემდეგ მის მიერ კანონით დადგენილ ვადაში დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და ყოველი ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა არა უმეტეს მისი წლიური შემოსავლის 3%-ისა, მაგრამ არანაკლებ 10,000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის/ავტორიზაციის შესაჩერებლად.

კომისია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაჩეროს მაუწყებლის ავტორიზაცია, თუ ავტორიზებული პირი :

- ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას; არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებას (ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას); და არ იხდის რეგულირების საფასურს; ან/და
- არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც მის მიმართ ამ დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.

ავტორიზაციის შეჩერების შემთხვევაში, პირს ეკრძალება ავტორიზებული საქმიანობის განხორციელება ავტორიზაციის განახლებამდე.

კომისია უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით შეაჩეროს ლიცენზიის მოქმედება საქართველოს კანონმდებლობის ან სალიცენზიო პირობის დარღვევისათვის ლიცენზიის მფლობელის პირველად დაჯარიმების შემდეგ, მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების, ან/და 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი დარღვევის ჩადენის შემთხვევაში.

კომისია ასევე უფლებამოსილია შესაბამის მაუწყებელს საკუთარი ინიციატივით გააუქმოს ლიცენზია ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

- ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტა წელიწადში ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით ან ერთი წლის 120 დღის განმავლობაში;
- ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლა, თუ ლიცენზიის მფლობელი ამ ვადაში არ აღმოფხვრის კომისიის მიერ მითითებულ დარღვევას;
- ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის დაუწყებლობა კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში.

3) <u>მოსალოდნელი ცვლილებები ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროს რეგულირებაში</u>

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბებას. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ჰარმონიზაციის ვალდებულებიდან გამომდინარე, კომისიის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმაში კომისიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ტელეკომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის კონკრეტულ ევრო-დირექტივებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა სახელდება (მათ შორის, ე. წ. „ავტორიზაციის შესახებ დირექტივა", „უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა", „აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების დირექტივა"). შესაბამისად, მოსალოდნელია გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები როგორც ელექტრონული კომუნიკაციების, აგრეთვე მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

კომისიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამომავლო საქმიანობა ორიენტირებულია ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორებში კონკურენციის უზრუნველყოფაზე, ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხელშეწყობასა და მომხმარებლების უფლებების დაცვაზე, მათ შორის, უნივერსალური მომსახურების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ეკვივალენტური წვდომის უზრუნველყოფის, ბავშვებისათვის უსაფრთხო „online" გარემოს შექმნის, პერსონალური მონაცემების დაცვის, ინტერნეტის ღია და ნეიტრალური ხასიათის შენარჩუნების, ქსელების უსაფრთხოებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე. გარდა ამისა, იგეგმება ასევე კონკურენციის წინაწარი რეგულირების კუთხით არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მათი ევროკომისიის დირექტივებთან და რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

ზოგადი მიმოხილვა

სილქნეტის მმართველობის და ხელმძღვანელობის ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- გენერალური დირექტორი.

აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია:

- დაამტკიცოს კომპანიის წესდება, მისი ახალი რედაქცია, შეცვალოს წესდება, კაპიტალი და საფირმო სახელწოდება;
- მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალური დირექტორის წინადადება მოგების გამოყენების შესახებ ან, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;
- დაამტკიცოს გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
- გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- აირჩიოს აუდიტორი;
- მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით.

აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში შემავალი საკითხები წყდება საერთო კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე შესაბამისი აქციების მფლობელთა 50%-ზე მეტი ხმით. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალურ დირექტორს, დებს და წყვეტს მასთან ხელშეკრულებას, კონტროლს უწევს გენერალური დირექტორის საქმიანობას და ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისგან კომპანიის საქმიანობის ანგარიში. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს კომპანიის საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კომპანიის სალარო, ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ინფორმაციას კომპანიის მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას. სამეთვალყურეო საბჭო იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, საჭიროების შემთხვევაში.

კომპანიამ მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- საწარმოთა 50 %-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- შვილობილი საწარმოებისა და ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;
- სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ ძიეკუთვნება ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და გენერალური დირექტორის მიმართ დაუშვებელია;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

- გადაწყვეტილების მიღება კომპანიის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ;
- ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
- კომპანიის ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;
- გადაწყვეტილების მიღება კომპანიის ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულებაც შეადგენს კომპანიის აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას;
- გადაწყვეტილების მიღება კომპანიის რეორგანიზაციის, რესტრუქტურიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- შვილობილი საწარმოების საწესდებო კაპიტალის განსაზღვრა, გაზრდა ან შემცირება;
- გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხებზე, რომელიც კანონით ან წესდებით პირდაპირ არ განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრებისა და გენერალური დირექტორის კომპეტენციას.

სილქნეტის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს 5 წლის ვადით ირჩევს აქციონერთა საერთო კრება დამსწრე კაპიტალის მფლობელთა ხმების უმრავლესობით. საბჭო გადაწყვეტილებანურიანია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება გამოცხადებულ ან წარმოდგენილ წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ამასთან, თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

გენერალური დირექტორი

კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალება კომპანიის გენერალურ დირექტორს, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო ხმათა უმრავლესობით. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის საქმეების მართვაზე. გენერალური დირექტორის უფლებამოსილება განისაზღვრება მასთან დადებული ხელშეკრულებით, წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით. გენერალური დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად.

გენერალური დირექტორი უფლებამოსილია თანამდებობაზე დანიშნოს მიმართულებების დირექტორები, გააფორმოს და შეწყვიტოს მათთან ხელშეკრულება, კონტროლი და ზედამხედველობა გაუწიოს მიმართულების დირექტორების საქმიანობას, უზრუნველყოს მათი კოორდინირებული მუშაობა. მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში კომპანიას წარმოადგენს გენერალური დირექტორი ან მის მიერ განსაზღვრული და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში - მიმართულების დირექტორი.

ორგანიზაციული სტრუქტურა და თანამშრომლები

სილქნეტი ორგანიზებულია მიმართულებებად. წინამდებარე ცხრილი ასახავს თანამშრომლების რაოდენობას და მიმართულებების ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს:

მიმართულება	**რაოდენობა***	**ძირითადი სტრუქტურული ერთეულები**
გენერალური დირექტორის მიმართულება	122	• იურიდიული დეპარტამენტი • ადამიანური რესურსების დეპარტამენტი • მაუწყებლობის დეპარტამენტი • ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახური • სტრატეგიული დაგეგმარების სამსახური • კომპანიის განვათარების პროექტების სამსახური • საკონსულტაციო ჯგუფი • ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური
ტექნიკური მიმართულება	642	• ტექნიკური განვითარებისა და დაგეგმარების დეპარტამენტი • ტექნიკური ექსპლუატაციის დეპარტამენტი
კომერციული მიმართულება	379	• გაყიდვების დეპარტამენტი • მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი • პროდუქტების განვითარების დეპარტამენტი • აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტი

ფინანსური მიმართულება	38	• ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტი • ანგარიშსწორებისა და სააბონენტო შემოსავლების კონტროლის დეპარტამენტი • აღრიცხვის განვითარებისა და მეთოდოლოგიის სამსახური • ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური
საოპერაციო მიმართულება	117	• შესყიდვების და მომარაგების დეპარტამენტი • უძრავი ქონების მართვის სამსახური • ადმინისტრაციული სამსახური • ქონების მართვის და ინვენტარიზაციის სამსახური • ტრანსპორტის სამსახური
ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება	63	• ბილინგის დეპარტამენტი • პროგრამული უზრუნველყოფის სამსახური • ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი • 1C სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ადმინისტრირების სამსახური
შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის მიმართულება	145	• შიდა კონტროლისა და უსაფრთხოების დეპარტამენტი • მონიტორინგის სამსახური • საკონსულტაციო ჯგუფი • კანცელარია • შრომის დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტების მონიტორინგის სამსახური

წყარო: კომპანიის ინფორმაცია

*სრული შტატის ეკვივალენტი

2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით სილქნეტის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 1,506 სრული შტატის ეკვივალენტს. სერვისნეტთან ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ (იხილეთ *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“ - „მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები“*), კომპანია დაახლოებით 1,260-მა თანამშრომელმა დატოვა.

კომპანიასა და თანამშრომლებს შორის შრომითი ურთიერთობა რეგულირდება მათთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებებით და გენერალური დირექტორის მიერ 2014 წელს დამტკიცებული შინაგანაწესით (რომელიც ყველა თანამშრომლის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია). შინაგანაწესი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა შრომის პირობები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესები, თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სხვა.

კომპანიის მენეჯმენტი, გენერალური დირექტორის და სხვა ხელმძღვანელი პირების მოკლე ბიოგრაფიები

დავით მამულაიშვილი, გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი გენერალური დირექტორის თანამდებობაზე 2016 წელს დაინიშნა. 2010 წლიდან ბატონი დავითი სილქნეტის შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის მიმართულებას ხელმძღვანელობდა. სილქნეტში მუშაობის დაწყებამდე ბატონი დავითი სამეწარმეო საქმიანობით იყო დაკავებული და რამდენიმე მსხვილი კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო (მათ შორის, ლომისი, ინტერპლასტი). გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბატონი დავითი მცხეთა-მთიანეთის ვიცე-გუბერნატორის თანამდებობასაც იკავებდა.

ლილი ფშავლიშვილი, ფინანსური დირექტორი

ლილი ფშავლიშვილი ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე 2010 წელს დაინიშნა. სილქნეტში მუშაობის დაწყებამდე ქალბატონი ლილი საქართველოს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დირექტორის პოზიციას იკავებდა. მანამდე ქალბატონი ლილი სილქ როუდ ბანკის კომერციული დირექტორი იყო. კარიერის დასაწყისში ქალბატონი ლილი საქართველოს ეროვნულ ბანკის საბანკო ზედამხედველობის სხვადასხვა მმართველ პოზიციაზე მუშაობდა.

ნუგზარ ჩინჩალაძე, კომერციული დირექტორი

ნუგზარ ჩინჩალაძე კომერციული დირექტორის თანამდებობაზე 2012 წელს დაინიშნა. 2010-2012 წლებში ბატონი ნუგზარი სილქნეტში სხვადასხვა მმართველ თანამდებობაზე მუშაობდა.

გიორგი მიქელაძე, საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი

გიორგი მიქელაძე სილქნეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორის თანამდებობაზე 2016 წელს დაინიშნა. პარალელურად, ბატონი გიორგი შპს ქარვას დირექტორის მოვალეობას ასრულებს. ბატონი გიორგი სხვადასხვა მმართველ თანამდებობაზე მუშაობდა სილქნეტში. მას პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს.

ნათია კავთიაშვილი, საოპერაციო დირექტორი

ნათია კავთიაშვილი საოპერაციო დირექტორის თანამდებობას 2017 წლიდან იკავებს. 2010-2017 წლებში ქალბატონი ნათია სხვადასხვა მმართველ თანამდებობას იკავებდა სილქნეტში.

კომპანიის გენერალური დირექტორი ან ზემოთ მითითებული რომელიმე ხელმძღვანელი პირი მინიმუმ ბოლო 5 (ხუთი) წლის მანძილზე:

- არ ყოფილა წასამართლევი თაღლითობისათვის;
- არ ყოფილა რომელიმე კომპანიის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ამ კომპანიის გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის საქმის წარმოებისას;
- არ ყოფილა სანქცირებული რომელიმე სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ, სასამართლოს ჩათვლით, ამა თუ იმ კომპანიის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის გამო.

შრომის ანაზღაურება და სხვა კომპენსაცია

კომპანიის გარკვეული კატეგორიის თანამშრომლებისათვის, ფიქსირებული ანაზღაურების გარდა, მოქმედებს ასევე რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაფუძნებული ცვლადი ხელფასის (ბონუსის) სისტემა (ცვლადი ხელფასი გაიცემა ყოველთვიურად ან კვარტალურად). გაყიდვების სხვადასხვა არხზე პასუხისმგებელი სამსახურები და ამ სამსახურების ხელმძღვანელები ექვემდებარებიან გაყიდვების რაოდენობაზე დაფუძნებულ საბონუსე სქემებს. აგრეთვე, ბონუსები გაიცემა აბონენტთა მომსახურების და აბონენტთა ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურების თანამშრომლებზე და მათი წამუშევარი ფასდება როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი კრიტერიუმებით. კომპანიაში მოქმედი ცვლადი ხელფასის სქემები რეგულირდება შიდა აქტებით. გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში გაიცემა პრემია.

კომპანიის თანამშრომლები იღებენ ქვემოთ ჩამოთვლილ სამსახურებრივ სარგებელს:

- კომპანია სთავაზობს თანამშრომლებს კორპორატიულ ჯანმრთელობის დაზღვევას, რომელიც შედგება რამდენიმე პაკეტური შეთავაზებისაგან. თანამშრომლების ნაწილს კომპანია სრულად უნაზღაურებს სადაზღვევო პაკეტის ღირებულებას. დანარჩენი თანამშრომლებისათვის მოქმედებს თანაგადახდის პრინციპი;
- სილქნეტის თანაშრომლები სარგებლობენ 50%-იანი ფასდაკლებით სილქნეტის მომსახურებაზე;
- კომპანია ყველა თანამშრომელს უნაზღაურებს 6-თვიან დეკრეტულ შვებულებას. კომპანიაში ასევე მოქმედებს სოციალური დახმარების სისტემა, შვილის შეძენის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში;
- სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, კომპანია სრულად ანაზღაურებს თანამშრომლების სატელეფონო ხარჯებს;
- კომპანია სრულად ფარავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრეინინგების საფასურს;
- სილქნეტის თანამშრომლების პროფესიულ კავშირთან ერთად, კომპანია წელიწადში ორჯერ ნაწილობრივ (დადგენილი ლიმიტის ფარგლებში) უფინანსებს მსურველ თანამშრომლებს დასვენებას კონკრეტულ საკურორტო ბაზებზე.

გარიგებები დაკავშირებული პირების მონაწილეობით

საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში კომპანია წარსულშიც და ამჟამადაც მონაწილეობს ოპერაციებში დაკავშირებულ პირებთან. დაკავშირებული პირები, სხვათა შორის, მოიცავს შემდეგ პირებს: აქციონერებს/პარტნიორებს, მმართველობის ორგანოს წევრს, აფილირებულ კომპანიებსა და ამგვარი აფილირებული კომპანიების ზოგიერთ აქციონერს. პირები ასევე მიიჩნევიან დაკავშირებულ პირებად, თუ ერთ პირს შეუძლია გააკონტროლოს მეორე პირი ან ზემოქმედება მოახდინოს მის გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები საერთო კონტროლს ექვემდებარებიან.

კომპანიის წესდება გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს დაკავშირებულ პირებთან დასადებ გარიგებებთან დაკავშირებით. მაგალითად, 1 (ერთი) მილიონ ლარზე მეტი ღირებულების გარიგების დადება შესაძლებელია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო თუ დაკავშირებულ პირთან დასადები გარიგების ღირებულება 5 (ხუთი) მილიონ ლარს აღემატება - სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია, მოიპოვოს დამოუკიდებელი მესამე პირის დასკვნა იმის დასადასტურებლად, რომ გარიგება კომპანიისათვის ფინანსური თვალსაზრისით საზიანო არ არის.

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ კომპანია გახდება „ანგარიშვალდებული საწარმო" ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისათვის. აღნიშნული კანონი აწესებს სხვადასხვა თანხმობის მოპოვებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ დადებული ისეთი გარიგებებისათვის, რომელთა მიზნებისათვის ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობის ორგანოს წევრი ან ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის (ოცი პროცენტი) ან მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელი აქციონერი მიიჩნევა დაინტერესებულ პირად (ასეთი შემთხვევები ჩამოთვლილია კანონში). ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დაინტერესებული პირის მონაწილეობით დადებული გარიგებები, ასევე გარიგებები, რომელთა ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს (ათი პროცენტი) ან მეტს უნდა დაამტკიცოს ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭომ ან საერთო კრებამ, ხოლო თუ გარიგების ღირებულება აღემატება ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 50%-ს (ორმოცდაათი პროცენტი) - საერთო კრებამ. ასევე საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს დაინტერესებული პირის მონაწილეობით დადებული ისეთი გარიგებები, რომელთა ღირებულება შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს (ათი პროცენტი) ან მეტს, ამასთან, გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი ამოწმებს იდება თუ არა გარიგება არსებითად იგივე პირობებით, რომლებითაც ის დაინტერესების არმქონე პირებს შორის დაიდებოდა. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული ოპერაციების მოცულობები:

ტრანზაქციები დაკავშირებულ პირებთან, ათასი ლარი

ათას ლარებში	2016	2015
გაცემული სესხები		
მშობელი კომპანია	-	7,002
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	-	-
სხვა დაკავშირებული მხარე	534	-
პროფესიული მომსახურება		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	296	543
მოხმარებული საწვავი და საპოხი მასალა		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	297	642

წყარო: აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

ინტერესთა კონფლიქტი

ემიტენტი, განთავსების ერთ-ერთი აგენტი (სს სილქ როუდ ბანკი) და ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი წარმოადგენენ დაკავშირებულ პირებს. ამასთანავე, ზემოაღნიშნული დაკავშირებული პირების მმართველობის ორგანოების (დირექტორატის/სამეთვალყურეო საბჭოს) წევრები შესაძლოა წარმოადგენდნენ მმართველობის ორგანოების წევრებს სხვა პირებში. მიუხედავად იმისა, რომ დაკავშირებულ პირებთან ობლიგაციების ამ ემისიასთან დაკავშირებით გარიგებების დამტკიცებისას/დადებისას, შესაბამისი პირები (და მათი მმართველობის ორგანოების წევრები) ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით და ყველა გარიგება დადებულია მხარეთა დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის პირობებით, აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა წარმოადგენდეს დამატებით რისკ ფაქტორს ინვესტორებისათვის.

ობლიგაციების გამოშვების პირობები

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭომ 2017 წლის 5 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება „კომპანიის“ მიერ ჯამური 34,000,000 (ოცდათოთხმეტი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულებისა და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე ობლიგაციების გამოშვების შესახებ. ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 18 აგვისტო.

ობლიგაციების გამოშვების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: პროსპექტითა (მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებითა“ (შემდგომში „**ობლიგაციების გამოშვების პირობები**“ ან „**პირობები**“) და „*შეთავაზების ძირითადი პირობებით*“) და „ემიტენტსა“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ შორის ობლიგაციების გამოშვების პირობების შესახებ „ხელშეკრულებით“, რომელშიც განსაზღვრულია გარკვეული დამატებითი პირობები. „ხელშეკრულება“ ხელმისაწვდომია ინვესტორთათვის გასაცნობად „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ოფისში: შპს „თიბისი კაპიტალი“, საქართველო, თბილისი 0104, მარჯანიშვილის ქუჩა N7, და „ემიტენტის“ ოფისში: სს „სილქნეტი“, საქართველო, თბილისი 0112, წინამძღვრიშვილის ქუჩა N 95, სამუშაო საათების განმავლობაში.

წინამდებარე პროსპექტის (მათ შორის, „პირობების“) გარდა, „ობლიგაციონერებსა“ და „ნომინალურ მფლობელებს“ უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობათ ასევე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და იგულისხმება, რომ „ობლიგაციონერები“ და „ნომინალური მფლობელები“ ექვემდებარებიან „ხელშეკრულების“ შესაბამის პირობებს და ამგვარი პირობები ვრცელდება და მოქმედებს მათთან მიმართებაში. ობლიგაცი(ებ)ის შეძენით თითოეული „ობლიგაციონერი“ თანხმობას აცხადებს, რომ წინამდებარე „პირობების“ „ემიტენტის“ მიმართ აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მეშვეობით და „პირობებით“ დადგენილი წესით, გარდა „პირობების“ მე-12 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

ობლიგაციები გამოშვებულია არამატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. 1 (ერთი) ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 1,000 (ათასი) ლარი.

საკუთრების უფლება ობლიგაციებზე დასტურება რეგისტრაციით: (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში (შემდგომში „**ფასიანი ქაღალდების რეესტრი**“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს „ემიტენტი“ *„შეთავაზების ძირითად პირობებში“* მითითებული „რეგისტრატორის“ მეშვეობით „ემიტენტსა“ და „რეგისტრატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; ან/და (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომლებსაც აწარმოებს ობლიგაციების ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“ („ფასიანი ქაღალდების რეესტრი“ და ზემო (ii) ქვეპუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „**რეესტრი**“).

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

ობლიგაციების შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებენ „განთავსების აგენტები“ (რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე პროსპექტის *„შეთავაზების ძირითად პირობებში“*). საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, ობლიგაციებით დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტებს“ ან/და მათ უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ, გააგზავნონ დამტკიცებული პროსპექტი პოტენციურ ინვესტორებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ „ემიტენტი“ მოახდენს ობლიგაციების საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „ემიტენტი“ გამოაქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. „ემიტენტი“, „განთავსების აგენტები“ ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს მათი სურვილის შესაბამისად მიაწვდიან პროსპექტის ელექტრონულ ბმულს, მის დასკანერებულ ვარიანტს ან პროსპექტის დაბეჭდილ ასლს. საბოლოო პროსპექტი პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდებათ (მათ შორის, „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის დაწყებამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ, ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტებისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან/და „განთავსების აგენტებისათვის“ მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით. ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად განსაზღვრავს „ემიტენტი“. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დასვენების დღე, ამგვარი დღის წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე („book-building“-ის შედეგად) დადგინდა შეთავაზების საბოლოო მოცულობა (ანუ გამოშვებული ობლიგაციების რაოდენობა და მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება).

თუ ობლიგაციების შეთავაზების პროცესში ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე („book-building“-ის შედეგად) პოტენციური ინვესტორებისგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე გათვალისწინებულია წინამდებარე პროსპექტით, პოტენციური ინვესტორების განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილი არ არის, უარი განაცხადოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობაზე.

პოტენციური ინვესტორებისგან ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიღების („book-building“-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტები“ განაცხადებენ შეთავაზების საბოლოო მოცულობის შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, მიაწვდიან შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ობლიგაციების ის რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორის განაცხადი. შეთავაზების დასრულების შესახებ გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, გახდება შეუქცევადი/გამოუთხოვადი და მათ ექნებათ სავალდებულო ძალა ამგვარი ინვესტორებისათვის.

ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილი არიან, ფლობდნენ ობლიგაციებს სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორთან“ ჩანაწერის სახით.

„ემიტენტი“ არ განახორციელებს წინამდებარე პროსპექტში აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული ობლიგაციების გამოშვებას ან/და გააუქმებს ყველა გამოშვებულ ობლიგაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) „ობლიგაციონერებისათვის“ ობლიგაციების შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ „ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღზე“ (რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე პროსპექტის *„შეთავაზების* ძირითად პირობებში“) არ მოხდება „განთავსების მინიმალური ოდენობის“ ხელმოწერა და განთავსება.

(ბ) **საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა**

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში (საჯარო შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“) „ემიტენტი“ გადაწყვეტს, შეცვალოს ობლიგაციების შესახებ არსებითი ინფორმაცია, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, „განთავსების მინიმალური ოდენობა“, ფასი ან სხვა არსებითი ინფორმაცია, იგი მიმართავს შემდეგ პროცედურას:

(i) წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს პროსპექტში შესწორებას, რომელშიც განიმარტება მასში შეტანილი ყველა ცვლილება;

(ii) აქვეყნებს შეტყობინებას „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საშუალებით, სადაც ასევე მიუთითებს დეტალებს შეცვლილი ინფორმაციის შესახებ; აცხადებს არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმების შესახებ და სთავაზობს ინვესტორებს მითითებულ თარიღამდე ობლიგაციების გაყიდვის ყველა ხელშეკრულების გაუქმებას;

(iii) განუსაზღვრავს ინვესტორებს სულ მცირე 10 (ათი) დღის ვადას არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმებაზე რეაგირებისათვის, რის შემდეგაც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, განახორციელოს საჯარო შეთავაზება ახალი პირობებით.

თუ პროსპექტში შესწორება შედის ამა თუ იმ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, ობლიგაციების შემძენ ინვესტორებს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ შესყიდულ ობლიგაციებზე და „ემიტენტი“ ვალდებულია, უკან დააბრუნოს ობლიგაციების საფასური გამოუქვითავად (ობლიგაციების ძირითადი თანხა და ამ დროისთვის დარიცხული და გადაუხდელი სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) ინვესტორთა მიერ ამგვარი უარის განცხადებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ინვესტორები (ანუ „ობლიგაციონერები“), რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ ობლიგაციებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.

თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში შეიცვალა პროსპექტში მითითებული არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტი“ ვალდებულია, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ ახალი ინფორმაციის (ცვლილების) ამსახველი დოკუმენტი, სანამ მოცემულ ცვლილებას პროსპექტში შეიტანს (ეროვნული ბანკის წესებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად). ამასთანავე, „ემიტენტი“ ვალდებულია, ნებისმიერი არაარსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ ინფორმაციის ცვლილების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ ინვესტორსა და პოტენციურ ინვესტორს, რომლებთანაც მას მოლაპარაკება ჰქონდა ობლიგაციების შეძენაზე.

(გ) **ობლიგაციების გასხვისება**

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ობლიგაციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ობლიგაციებზე საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“. ობლიგაციების განთავსების შემდგომ, მაგრამ არა უგვიანეს 2017 წლის 31 ოქტომბრისა, „ემიტენტი“ გეგმავს, მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების თაობაზე. დაშვების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციებით ვაჭრობა ბირჟის წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სტატუსი

ობლიგაცია წარმოადგენს „ემიტენტის“ არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი (*pari passu*) ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. ობლიგაციებსა და „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით „ემიტენტისადმი“ არსებულ მოთხოვნებს მუდმივად ექნებათ „ემიტენტის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი (*pari passu*) გადახდის უფლებასთან მიმართებაში („პირობების“ 5(ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებით) იმ მოთხოვნების გარდა, რომლებსაც კანონმდებლობის ძალით ენიჭებათ უპირატესობა.

4. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დანიშვნა

(ა) ობლიგაციების შეძენით (პირველადი განთავსებისას ან მეორად ბაზარზე შეძენისას) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ ობლიგაციებთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან და, მათ შორის, იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც რეგულირდება წინამდებარე „პირობების“ მე-5 პუნქტით (*„დათქმები“*), თავის წარმომადგენლად ნიშნავს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, რომელსაც ენიჭება (რაიმე წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, თუ ამგვარი თანხმობის მიღება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული „პირობებით“, „ხელშეკრულებით“ ან/და კანონმდებლობით) თითოეული „ობლიგაციონერის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ სახელით მოქმედების უფლებამოსილება ამგვარი „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მფლობელობაში არსებულ ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართალწარმოებისას.

(ბ) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ მიაწვდის „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილობითი მინდობილობის („ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით) ჩათვლით, რომელიც ამ უკანასკნელს აუცილებლად მიაჩნია „პირობებით“ ან/და „ხელშეკრულებით“ მასზე დაკისრებული უფლებებისა და ვალდებულებების შესასრულებლად და „ობლიგაციონერთა“ ინტერესების დასაცავად პროსპექტისა (მათ შორის, „პირობების“) და „ხელშეკრულების“ შესაბამისად. „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ არ გააჩნია ვალდებულება, წარმოადგინოს „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“, რომელიც არ შეასრულებს წინამდებარე 4(ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

(გ) „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ უფლებამოსილია, წინამდებარე „პირობების“ აღსრულება „ემიტენტის“ მიმართ განახორციელოს მხოლოდ „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მეშვეობით და „პირობებით“ დადგენილი წესით, გარდა „პირობების“ მე-12 პუნქტით განსაზღვრული

შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ უფლებამოსილია, დაიწყოს წარმოება უშუალოდ/პირდაპირ „ემიტენტის“ წინააღმდეგ .

5. **დათქმები**

(ა) **შეზღუდვა აქტივების უფლებრივად დატვირთვასთან დაკავშირებით:** ობლიგაციების განაღდებამდე (დაფარვამდე) ან გამოსყიდვამდე „პირობების“ მე-7 პუნქტის (*„ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) და გამოსყიდვა“*) შესაბამისად, „ემიტენტმა“ არ უნდა მოახდინოს მის რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა, დადება ან არსებობა, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფებისა“, რაიმე „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მესამე პირების სასარგებლოდ, რაც არ ექცევა „კომპანიის“ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც (i) ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ვალდებულებებს აქვთ ამგვარი სხვა „დავალიანების“ თანაბარი და პროპორციული უზრუნველყოფა, ან (ii) სხვაგვარად არიან უზრუნველყოფილნი „ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის“ მისაღები ან „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ დამტკიცებული სხვა უზრუნველყოფის საშუალებებითა და პირობებით ან (iii) „ობლიგაციონერებმა“ გამოხატეს თანხმობა „სპეციალური გადაწყვეტილებით“.

(ბ) **საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:**

(i) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოს თავისი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტით (*„შერწყმა“*) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და ყველა იმ არსებითი ინტელექტუალური საკუთრების, ისევე როგორც - ყველა ნებართვის, თანხმობისა და უფლებამოსილების, მოპოვება, გამოყენება და შენარჩუნება, რომელიც დაკავშირებულია მის შეუფერხებელ საქმიანობასთან.

(ii) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურის განხორციელება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულოა ობლიგაციებითა და „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების კანონიერად შესასრულებლად და საქართველოში ობლიგაციებისა და „ხელშეკრულების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და საქართველოს სასამართლოებში მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) **შერწყმა:** „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „ემიტენტმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის სახით) ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული გარიგებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარად განკარგვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემო (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სუბიექტი ან ქონების მიმღები (შემდგომში „**სამართალმემკვიდრე**“) არის „ემიტენტი“ ან თუ ამგვარი სუბიექტი არ არის „ემიტენტი“, „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად იკისრებს ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ყველა უფლებასა და ვალდებულებას „ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით;

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“) უნდა იწარჩუნებდეს ან იყოს „ემიტენტის“ უფლებამონაცვლე ყველა არსებითი ნებართვის, ლიცენზიის, ავტორიზაციის, თანხმობისა და უფლებამოსილების შესაბამისად არსებულ ყველა უფლებასა და ვალდებულებასთან მიმართებით და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის არსებით მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ახორციელებს საქმიანობას; და

(ii) ზემო (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შედეგად არ დამდგარა და გრძელდება ან არ დადგება რაიმე „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“.

(დ) **განკარგვა:** გარდა წინამდებარე „პირობებით“ ნებადართული შემთხვევებისა (და „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტისა (*„შერწყმა“*) და 5(ე) ქვეპუნქტის (*„აფილირებულ პირთან დადებული გარიგებები“*) დებულებების შეუზღუდავად), ბოლო „საანგარიშო პერიოდისთვის“ „ჯგუფის“ მთლიანი

კონსოლიდირებული აქტივების 10 (ათი) პროცენტზე მეტი ღირებულების მქონე აქტივების ერთი ან მეტი გარიგებით ან გარიგებათა ერთობლიობით, ერთჯერადად ან უწყვეტი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, გაყიდვის, გასხვისების, იჯარით გაცემის ან სხვაგვარად განკარგვის შემთხვევაში, „ემიტენტი" ვალდებულია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს" მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის" წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ გარიგება განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით".

წინამდებარე 5(დ) ქვეპუნქტი არ ვრცელდება: (i) ნებისმიერ გარიგებაზე „ემიტენტსა" და მის ნებისმიერ „შვილობილს" შორის, (ii) ნებისმიერი იმ აქტივის ან ქონების (მათ შორის, ფულისა და ფასიანი ქაღალდების) ნებისმიერ გადაცემაზე, იჯარაზე, გასხვისებაზე ან სხვა ფორმით განკარგვაზე, რომელიც წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას", (iii) „ემიტენტის" ქონების ლიზინგით გაცემაზე, გაყიდვაზე ან სხვაგვარად განკარგვაზე ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ან (iv) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან მის ნებისმიერ ნაწილზე, რომელიც ექვემდებარება სექიურითიზაციას (securitisation) ან მისაღებ ფულად სახსრებს (recievables), აქტივებით გამყარებულ დაფინანსებას (asset-backed financing) ან დაფინანსების მსგავსი ტიპის სტრუქტურას, სადაც გადახდის ყველა ვალდებულება უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან.

(ე) **„აფილირებულ პირთან" დადებული გარიგებები:**

(i) „ემიტენტი" პირდაპირ ან არაპირდაპირ არ აწარმოებს რაიმე საქმიანობას, დადებს რაიმე გარიგებას ან დაუშვებს რაიმე გარიგების არსებობას (მათ შორის, ნებისმიერი ქონების შეძენა, გაყიდვა, გადაცემა, დათმობა, იჯარა ან გაცვლა, ან ნებისმიერი მომსახურების გაწევა) ნებისმიერ „აფილირებულ პირთან" ან მის სასარგებლოდ (შემდგომში **„აფილირებულ პირთან დადებული გარიგებები"**), „ჯგუფის" შიდა სესხების ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „აფილირებულ პირთან დადებული გარიგების" პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის" მდგომარეობის გათვალისწინებით) არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის", ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით" დადებული გარიგებები „პირთან", რომელიც არ არის „ემიტენტთან" „აფილირებული პირი".

(ii) იმ „აფილირებულ პირთან დადებული გარიგების" ან ურთიერთდაკავშირებული „აფილირებულ პირთან დადებული გარიგებების" შემთხვევაში, სადაც გადახდების ან ღირებულების ჯამი ერთჯერადად ან უწყვეტი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში აღემატება უკანასკნელი „საანგარიშო პერიოდისთვის" კონსოლიდირებული ბალანსიდან (რომელიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად) გამომდინარე „ჯგუფის" მთლიანი აქტივების 5 (ხუთი) პროცენტს, „ემიტენტმა" აღნიშნული „აფილირებულ პირთან დადებული გარიგების" დადებამდე „ობლიგაციონერების წარმომადგენელს" უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის" წერილობითი დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირთან დადებული გარიგება" (ან „აფილირებულ პირთან დადებული გარიგებების" ერთობლიობა) განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით" და ფინანსური თვალსაზრისით ხელსაყრელია „ემიტენტისათვის".

(iii) შემდეგი გარიგებები არ მიიჩნევა „აფილირებულ პირთან დადებულ გარიგებად" და ამდენად, არ ექვემდებარება ზემო (i) და (ii) ქვეპუნტებში გაკეთებულ დათქმებს:

(ა) „ჯგუფის" წევრის მიერ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის" ამგვარი წევრის წარსულ პრაქტიკას;

(ბ) „ემიტენტსა" და მის 100 (ასი) პროცენტიან „შვილობილს" შორის გარიგებები;

(გ) გონივრული ოდენობით ანაზღაურების გადახდა მმართველობის ორგანოების წევრი „პირებისათვის", რომლებიც სხვაგვარად არ წარმოადგენენ „ემიტენტთან" „აფილირებულ პირებს";

(დ) „ემიტენტის" ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი აქციონერისგან „ემიტენტისათვის" საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან დაფინანსების სხვა საშუალება, რომელიც მიღებულია საბაზრო პირობებით; და

(ე) ნებისმიერი სადაზღვევო ხელშეკრულება „აფილირებულ პირთან", რომელიც დადებულია „ემიტენტის" საქმიანობის ან აქტივების დასაზღვევად საბაზრო პირობებით.

(ვ) **გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები:** „ემიტენტმა“ დროულად უნდა გადაიხადოს ყველა გადასახადი, რომლითაც იბეგრება იგი ან მისი შემოსავალი, მოგება ან ქონება იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ წინამდებარე პროსპექტის მიზნებისათვის არ მოეთხოვება ნებისმიერი იმ გადასახადის ან მსგავსი გადასახდელის გადახდა, (ა) რომლის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული სათანადო წარმოებით; ან (ბ) რომლის ოდენობა, სხვა გადაუხდელ გადასახადებთან ან მსგავს მოთხოვნებთან ერთად, ჯამურად არ აღემატება 10,000,000 (ათი მილიონი) ლარს.

(ზ) **აკრძალული გადახდა:** „ემიტენტი“ არ დაუშვებს და უზრუნველყოფს, რომ მისმა „შვილობილმა“ არ დაუშვას, შემდეგი: (ა) განაცხადოს დივიდენდის გაცემის თაობაზე ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან განახორციელოს ნებისმიერი სხვა განაწილება (მათ შორის, გამოსყიდვის, შესყიდვის ან სხვა გზით) თავის სააქციო კაპიტალთან დაკავშირებით, გარდა „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილის“ სასარგებლოდ (და თუ „შვილობილი“ არ არის „ემიტენტის“ 100 (ასი) პროცენტიანი „შვილობილი“, მისი სააქციო კაპიტალის სხვა მფლობელების სასარგებლოდ მათი წილის პროპორციულად) დივიდენდის გაცემისა ან განაწილებისა; ან (ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან ანაზღაურების სანაცვლოდ სხვაგვარად გამოისყიდოს „ემიტენტის“ ნებისმიერი აქცია ან სააქციო კაპიტალი ან, გადახდის ან დაბრუნების დადგენილ ვადამდე, სუბორდინირებული სესხი (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის დაბრუნებისა, რომელიც დროდადრო გაცემულია „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილის“ მიერ „ემიტენტის“ „შვილობილის“ სასარგებლოდ), თუ ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამგვარი გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს, „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“.

(თ) **„დავალიანება“:** „ემიტენტი“, „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილების“ გარეშე, არ დაუშვებს, რომ მან („ემიტენტმა“) ან/და „ემიტენტის“ იმ „შვილობილ(ებ)მა“, რომელთა ბალანსი ექვემდებარება კონსოლიდაციას, იკისროს, პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა სახით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის „დავალიანებაზე“, თუ:

(i) ამგვარი „დავალიანება“ გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან

(ii) „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილ(ებ)ის“ „მთლიანი ვალდებულებების“ ოდენობა ახალი „დავალიანების“ აღების მომენტში (და მას შემდეგ, რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ „დავალიანებას“) „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილ(ებ)ის“ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის EBITDA-ს 3.5-ჯერ აღემატება.

წინამდებარე 5(თ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ნებადართულია (i) „ემიტენტსა“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ შორის და (ii) „ემიტენტის“ „შვილობილებს“ შორის „დავალიანება“ და მასზე არ ვრცელდება წინამდებარე 5(თ) ქვეპუნქტში გაკეთებული დათქმა.

(ი) **ფინანსური ინფორმაცია:**

(i) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, ყოველი „საანგარიშო პერიოდის“ დასრულებიდან 150 (ას ორმოცდაათი) დღის განმავლობაში მიაწოდოს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ და გამოაქვეყნოს „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე „ემიტენტის“ აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ასლი (რომელიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად) აუდიტორის დასკვნასთან ერთად.

(ii) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, ყოველი „საანგარიშო პერიოდის“ მეორე კვარტლის დასრულებიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში მიაწოდოს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ და გამოაქვეყნოს „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე „ემიტენტის“ 6 (ექვსი) თვის არააუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ასლი (რომელიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად).

(iii) თუ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ გაუჩნდა გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, იგი უფლებამოსილია, „ემიტენტისგან“ მოითხოვოს და „ემიტენტი“ ვალდებულია, „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია „დეფოლტის შემთხვევასთან“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევასთან“. „დეფოლტის შემთხვევასთან“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევასთან“ დაკავშირებული ამგვარი ინფორმაცია შესაძლოა ასევე

მოითხოვონ „ობლიგაციონერებმა“ „ობლიგაციონერების“ კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია ხმათა უბრალო უმრავლესობით.

(კ) **მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა:** „ემიტენტი“ ვალდებულია, მუდმივად უზრუნველყოს ყველა არსებითი კუთხით შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის - სახელმწიფო ორგანოების მითითებებისა და აქტების, ყველა დებულებასთან.

(ლ) **საქმიანობის ცვლილება:** „ემიტენტი“ ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვალოს „გამოშვებისა და განთავსების თარიღისათვის“ „ემიტენტის“ მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის ზოგადი ბუნება.

6. ობლიგაციების სარგებელი

(ა) **სარგებლის გადახდა:** თუ არ მოხდა „ემიტენტის“ მიერ ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა წინამდებარე „პირობების“ მე-7 პუნქტის (*„ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) და გამოსყიდვა“*) შესაბამისად, თითოეულ ობლიგაციას კვარტალში ერთხელ (კვარტლის ბოლოს) დაერიცხება სარგებელი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით „გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან“ „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“. თუ სარგებლის გამოანგარიშება ხდება „საპროცენტო პერიოდზე“ (როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია „პირობების“ მე-15 პუნქტში) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) სარგებლის დაანგარიშება მოხდება 365-დღიანი წელიწადის საფუძველზე.

„ემიტენტის“ მიერ სარგებლის პირველი გადახდა განხორციელდება 2017 წლის 18 ნოემბერს, ხოლო სარგებლის ყოველი შემდგომი გადახდა „ემიტენტის“ მიერ განხორციელდება შემდეგ თარიღებზე: 2018 წლის 18 თებერვალს, 2018 წლის 18 მაისს, 2018 წლის 18 აგვისტოს, 2018 წლის 18 ნოემბერს, 2019 წლის 18 თებერვალს, 2019 წლის 18 მაისს, 2019 წლის 18 აგვისტოს, 2019 წლის 18 ნოემბერს, 2020 წლის 18 თებერვალს, 2020 წლის 18 მაისს, 2020 წლის 18 აგვისტოს, 2020 წლის 18 ნოემბერს, 2021 წლის 18 თებერვალს, 2021 წლის 18 მაისს, 2021 წლის 18 აგვისტოს, 2021 წლის 18 ნოემბერს, 2022 წლის 18 თებერვალს, 2022 წლის 18 მაისს და 2022 წლის 18 აგვისტოს (შემდგომში „**პროცენტის გადახდის თარიღი**“). ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტმა“ „ობლიგაციონერს“ „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“ ან ამ თარიღზე არ დაუბრუნა ობლიგაციის ძირითადი თანხა, ობლიგაციაზე სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება იმ დრომდე, სანამ „ემიტენტი“ სრულად არ გადაუხდის შესაბამის „ობლიგაციონერს“ ობლიგაციაზე გადასახდელ ყველა თანხას (ძირითადი თანხის ჩათვლით).

(ბ) **სარგებლის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა:** ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთი თითოეული „საპროცენტო პერიოდისათვის“ დადგინდება „საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თარიღზე“ (როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია „პირობების“ მე-15 პუნქტში) შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თარიღზე“ მოქმედ მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი (რომელსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი და აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე - იხ. ბმული: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555); და (ii) 350 (სამასორმოცდაათი) საბაზისო პუნქტი, რომელიც დადგინდა ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე („book-building“-ის შედეგად).

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის ზემოთ მითითებულ ბმულზე ან შესაბამის ვებ-გვერდზე აღარ მოხდება მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ ყველა შემდგომი „საპროცენტო პერიოდისთვის“ სარგებლის საპროცენტო განაკვეთს ერთჯერადად განსაზღვრავს შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან“ მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი; და (ii) 350 (სამასორმოცდაათი) საბაზისო პუნქტი. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის ზემოთ მითითებულ ბმულზე ან შესაბამის ვებ-გვერდზე აღდგება მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი „საპროცენტო პერიოდისათვის“ ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

(გ) **საკრედიტო რეიტინგის შეცვლა:** „გამოშვებისა და განთავსების თარიღისათვის“ „Fitch“-ის მიერ „ემიტენტისათვის“ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგია „B+“. ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთი დაექვემდებარება შესწორებას, თუ „Fitch“ (და „S&P“ ან „Moody's“ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კომპანიები „ემიტენტს“ საკრედიტო რეიტინგს მომავალში მიანიჭებენ) გაზრდის ან შეამცირებს „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგს. „ემიტენტისათვის“ სხვადასხვა სააგენტოს მიერ სხვადასხვა საკრედიტო რეიტინგის მინიჭების შემთხვევაში, ქვემოთ მოცემული ცხრილის მიზნებისათვის გამოიყენება მინიჭებული საკრედიტო რეიტინგებიდან უმაღლესი.

თუ „კომპანიისათვის“ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი შემცირდება ქვემო ცხრილში მითითებულ რომელიმე რეიტინგამდე, სარგებლის საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება „გამოშვებისა და განთავსების თარიღზე“ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთიდან იმ პროცენტით, რომელიც მითითებულია შესაბამისი რეიტინგის გასწვრივ; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიისათვის“ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი გაიზრდება ქვემო ცხრილში მითითებულ რომელიმე რეიტინგამდე, სარგებლის საპროცენტო განაკვეთი შემცირდება „გამოშვებისა და განთავსების თარიღზე“ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთიდან იმ პროცენტით, რომელიც მითითებულია შესაბამისი რეიტინგის გასწვრივ:

საკრედიტო რეიტინგი „Fitch“-ისა და „S&P“-ის შკალაზე	**პროცენტი**	**საკრედიტო რეიტინგი „Moody's“-ს შკალაზე**
„BB“-ის ზემოთ	-1.5% წლიურად	„Ba2“-ის ზემოთ
„BB“	-1.0% წლიურად	„Ba2“
„BB-“	-0.5% წლიურად	„Ba3“
„B+“	0% წლიურად (რჩება უცვლელი)	„B1“
„B“	+0.5% წლიურად	„B2“
„B-“	+1.0% წლიურად	„B3“
„B-“-ის ქვემოთ / რეიტინგის არქონა	+3% წლიურად	„B3“-ის ქვემოთ / რეიტინგის არქონა

7. ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) და გამოსყიდვა

(ა) **განაღდება (დაფარვა):** „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღზე“ „ემიტენტი“ გაანაღდებს (დაფარავს) ობლიგაციებს, ანუ დაფარავს ობლიგაციების ძირითად თანხასა და დარიცხულ და გადაუხდელ სარგებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღია“ 2022 წლის 18 აგვისტო.

დაუშვებელია „ემიტენტის“ მიერ ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“ გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე პროსპექტში (მათ შორის, „პირობების“ წინამდებარე მე-7 პუნქტში).

(ბ) **ვადამდელი განაღდება (დაფარვა) / გამოსყიდვა:** „ემიტენტი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“ განახორციელოს ობლიგაციების საერთო რაოდენობის (როგორც მითითებულია *„შეთავაზების ძირითად პირობებში“*) განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა „ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან“ მე-2, მე-3 და მე-4 წლების ბოლოს, კერძოდ: 2019 წლის 18 აგვისტოს, 2020 წლის 18 აგვისტოს და 2021 წლის 18 აგვისტოს.

წინამდებარე 7(ბ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, „ემიტენტი“ უფლებამოსილია, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა მხოლოდ სრულად (და არა - ნაწილობრივ) და „ობლიგაციონერებისათვის“ ობლიგაციების ძირითადი თანხისა და ამგვარ განაღდებამდე (დაფარვამდე) ან/და გამოსყიდვამდე დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით.

(გ) **განაღდება (დაფარვა) / გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით:** „ემიტენტი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“ ნებისმიერ დროს განახორციელოს ობლიგაციების საერთო რაოდენობის (როგორც მითითებულია *„შეთავაზების ძირითად პირობებში“*) განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა იმ შემთხვევაში, თუ (i) „ემიტენტს“ მოუწია ან მოუწევს გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ან კანონმდებლობის გამოყენების ან ოფიციალური ინტერპრეტაციის, ნებისმიერი იმ ცვლილებით, რომელიც ძალაში შევიდა „გამოშვებისა და განთავსების თარიღზე“ ან მის შემდგომ, და (ii) „ემიტენტი“ თავიდან ვერ აირიდებს ამგვარი ვალდებულებების შესრულებას „ემიტენტისათვის“ ხელმისაწვდომი ნებისმიერი გონივრული ზომის მიღების მიუხედავად.

წინამდებარე 7(გ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, „ემიტენტი“ უფლებამოსილია, განახორციელოს ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით მხოლოდ სრულად (და არა - ნაწილობრივ) და „ობლიგაციონერებისათვის“ ობლიგაციების ძირითადი თანხისა და ამგვარ განაღდებამდე (დაფარვამდე) ან/და გამოსყიდვამდე დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით.

(დ) **განაღდება (დაფარვა) / გამოსყიდვა მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტის მიზეზით:** „ემიტენტი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“ განახორციელოს ობლიგაციების საერთო რაოდენობის (როგორც მითითებულია *„შეთავაზების ძირითად პირობებში“*) განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შეწყვეტს ზემო მე-6(ბ) პუნქტში მითითებულ ბმულზე ან შესაბამის ვებ-გვერდზე მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნებას სარგებლის საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების მიზნებისათვის.

წინამდებარე 7(დ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, „ემიტენტი“ უფლებამოსილია, განახორციელოს ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტის მიზეზით მხოლოდ სრულად (და არა - ნაწილობრივ) და „ობლიგაციონერებისათვის“ ობლიგაციების ძირითადი თანხისა და ამგვარ განაღდებამდე (დაფარვამდე) ან/და გამოსყიდვამდე დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით.

(ე) **განაღდება (დაფარვა) / გამოსყიდვა საკრედიტო რეიტინგის არქონის მიზეზით:** „ემიტენტი“ უფლებამოსილია, ხოლო „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილების“ არსებობის შემთხვევაში - ვალდებულია, „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“ განახორციელოს ობლიგაციების საერთო რაოდენობის (როგორც მითითებულია *„შეთავაზების ძირითად პირობებში“*) განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა („ემიტენტის“ შეხედულებისამებრ) იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტს“ აღარ აქვს საკრედიტო რეიტინგი „პირობების“ 6(გ) ქვეპუნქტში მოცემული ცხრილის შესაბამისად და იგი არ აღდგა 6 (ექვსი) თვის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეწყდება საკრედიტო რეიტინგის მინიჭება საქართველოს კომპანიებისათვის).

წინამდებარე 7(ე) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, „ემიტენტი“ უფლებამოსილია, განახორციელოს ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა საკრედიტო რეიტინგის არქონის მიზეზით მხოლოდ სრულად (და არა - ნაწილობრივ) და „ობლიგაციონერებისათვის“ ობლიგაციების ძირითადი თანხისა და ამგვარ განაღდებამდე (დაფარვამდე) ან/და გამოსყიდვამდე დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით.

(ვ) **განაღდება (დაფარვა) / გამოსყიდვა „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილების“ მიუღებლობის მიზეზით:** „ემიტენტი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“ ნებისმიერ დროს განახორციელოს ობლიგაციების საერთო რაოდენობის (როგორც მითითებულია *„შეთავაზების ძირითად პირობებში“*) განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა „სპეციალური გადაწყვეტილების“ მიუღებლობის/უარყოფითი გადაწყვეტილების თარიღიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში, თუ „ემიტენტმა“ მოითხოვა და ვერ მიიღო „ობლიგაციონერების“ თანხმობა ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე შემთხვევაში: (i) „პირობების“ 5(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტივების უფლებრივად დატვირთვასთან დაკავშირებით; ან (ii) „პირობების“ 5(თ)(ii) ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილ(ებ)ის“ „მთლიანი ვალდებულებების“ ოდენობის გადაჭარბებასთან დაკავშირებით, თუ აქტივების უფლებრივი დატვირთვა ან/და „მთლიანი ვალდებულებების“ დადგენილი ოდენობის გადაჭარბება გამოწვეულია რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ოპერაციით: სატელეკომუნიკაციო საქმიანობისათვის აქტივების შეძენა, სატელეკომუნიკაციო სექტორში მოქმედი კომპანიის შეძენა ან რომელიმე ზემოაღნიშნული ოპერაციის ეკვივალენტი ბიზნეს კომბინაცია.

(ზ) **შეძენა:** „ემიტენტი“ ან/და მისი ნებისმიერი „შვილობილი“ უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ფასად შეიძინოს ობლიგაციები საფონდო ბაზარზე ან სხვაგვარად.

„ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“ ობლიგაციების განაღდებისას (დაფარვისას) ან/და გამოსყიდვისას წინამდებარე 7(ბ)-7(ვ) ქვეპუნქტების შესაბამისად, „ემიტენტი“ ვალდებულია, ამგვარი განაღდების (დაფარვის) ან/და გამოსყიდვის შესახებ წერილობითი და შეუქცევადი შეტყობინება მიაწოდოს „რეესტრში“ შეტყობინების გაგზავნის თარიღზე რეგისტრირებულ „ობლიგაციონერებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ ამგვარ განაღდებამდე (დაფარვამდე) ან/და გამოსყიდვამდე სულ მცირე 20 (ოცი) „სამუშაო დღით“ ადრე წინამდებარე „პირობების“ მე-14 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. გადახდები

(ა) **გადახდის მეთოდი:**

(i) ობლიგაციების ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდა განხორციელდება იმ „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ სასარგებლოდ, რომლებიც შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე „სამუშაო დღის“ ბოლოს (18.00 სთ-ის მდგომარეობით) რეგისტრირებულები არიან „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ (შემდგომში „**სააღრიცხვო თარიღი**“). გადახდა განხორციელდება საბანკო გადარიცხვის გზით ლარში „სააღრიცხვო თარიღისათვის“ „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ საბანკო ანგარიშებზე. „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ ან/და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ „რეგისტრატორისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომლებზეც მოხდება ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. „ემიტენტი“, „რეგისტრატორი“ და „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“ (რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე პროსპექტის *„შეთავაზების ძირითად პირობებში“*) არ არიან პასუხისმგებელნი ნებისმიერი გადასახდელი თანხის გადაუხდელობაზე, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „რეგისტრატორს“ დროულად არ მიაწვდის თავისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას ან თუ „ემიტენტის“ ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, ისინი „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ ზემო 8(ა)(i) ქვეპუნქტში მითითებული საბანკო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშსწორებისა და ძირითად გადამხდელ აგენტთან“, განხორციელებული გადახდიდან (გადარიცხვიდან) შესაძლოა დაიქვითოს საბანკო მომსახურების საკომისიო. თუ „ობლიგაციონერის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ საბანკო ანგარიში არ არის ლარში, „ობლიგაციონერისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელისათვის“ გადახდა განხორციელდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის საკომისიოს გამოკლებით.

(iii) ძირითადი თანხისა და დარიცხული სარგებლის სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერების“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს „ობლიგაციონერებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ ამგვარ თარიღზე გადასახდელად ხელმისაწვდომი თანხების შესაბამისი პროპორციული წილის გადახდას.

(iv) „ემიტენტის“ ან/და „რეგისტრატორის“ მოთხოვნით, „სააღრიცხვო თარიღიდან“ შესაბამისი გადახდის თარიღამდე ობლიგაციებით მეორადი ვაჭრობა შესაძლოა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

(ბ) **აგენტების დანიშვნა**: „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „რეგისტრატორი“, და მათი შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია, მითითებულია *„შეთავაზების ძირითად პირობებში“* და პროსპექტის ბოლოს. „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „რეგისტრატორი“ მოქმედებენ მხოლოდ როგორც „ემიტენტის“ აგენტები და წინამდებარე პროსპექტისა და შეთავაზების მიზნებისათვის არ კისრულობენ რაიმე (მათ შორის, წარმომადგენლობით) ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ წინაშე. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ თანხმობით შეცვალოს ან შეწყვიტოს „ანგარიშსწორებისა და ძირითად გადამხდელ აგენტთან“, „განთავსების აგენტებთან“ ან/და „რეგისტრატორთან“ ხელშეკრულება და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტები“ ან „რეგისტრატორი“ იმ

პირობით, რომ „ემიტენტს“ მუდმივად უნდა ჰყავდეს (i) „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“ და (ii) „რეგისტრატორი“.

აგენტების ან მათი საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით.

(გ) **გაანგარიშება და გადახდა**: ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე პროსპექტის პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის“ მიერ. ამასთან, „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის“ მიერ დაანგარიშებული გადასახდელი თანხა/თანხები, აშკარა შეცდომის გარდა, სავალდებულოა „ემიტენტისათვის“. „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე და აღნიშნული ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია, შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „ანგარიშსწორებისა და ძირითად გადამხდელ აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ლარში და მისცეს დავალება „ანგარიშსწორებისა და ძირითად გადამხდელ აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვასთან დაკავშირებით. „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა - ვალდებული, „ემიტენტის“ ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ობლიგაციებთან დაკავშირებული ვადამოსული გადახდების განხორციელება, ხოლო ანგარიშზე საკმარისი თანხების არარსებობის შემთხვევაში - აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტსა“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“.

(დ) **გადახდის დაგვიანება:** იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტი“ დააგვიანებს ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადახდის განხორციელებას, ამგვარ გადასახდელ თანხას დაერიცხება პროცენტი გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.

(ე) **კანონმდებლობა**: ნებისმიერი გადახდა უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(ვ) **არასამუშაო დღეები:** თუ ნებისმიერი გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“, ვადამოსული გადახდა განხორციელდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

9. დაბეგვრა

„ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით ობლიგაციების ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ (თუ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია „ემიტენტის“ მიერ გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულება). თუ „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი სარგებლის გადახდაზე ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი, იგი არ მოახდენს შესაბამისი გადასახადის დაკავებას და „ობლიგაციონერები“, რომლებიც სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული ამგვარი შეღავათით, მიიღებენ გადასახდელ თანხებს სრულად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების გარეშე.

10. „დეფოლტის შემთხვევები“

თუ დადგა და გრძელდება ნებისმიერი შემდეგი შემთხვევა (შემდგომში **„დეფოლტის შემთხვევები“**), „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ საკუთარი შეხედულებისამებრ უფლებამოსილია, ხოლო „სპეციალური გადაწყვეტილების“ არსებობის შემთხვევაში (და იმ პირობით, რომ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით მიეცა ანაზღაურების გარანტია და გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან) - ვალდებულია, მიაწოდოს „ემიტენტს“ წერილობითი შეტყობინება, რომ ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნები ვადამოსულია და მოთხოვოს „ემიტენტს“ ობლიგაციების (ძირითადი თანხის 100 (ასი) პროცენტისა და ამ დროისთვის დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა („ემიტენტი“ ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას განახორციელოს ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) თუ გამოსყიდვა):

(ა) **გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:** „ემიტენტმა“ არ განახორციელა ნებისმიერი ობლიგაციის ძირითადი თანხის, დარიცხული სარგებლის ან ობლიგაციებიდან ან „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ნებისმიერი სხვა თანხის გადახდა და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდა შესაბამისი გადახდის თარიღიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში; ან

(ბ) **სხვა ვალდებულებების დარღვევა:** „ემიტენტმა“ არ განახორციელა პროსპექტით ან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ნებისმიერი ერთი ან რამდენიმე ვალდებულება (გარდა „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებისა) და ამგვარი დარღვევა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ გონივრული და დასაბუთებული მოსაზრებით (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და არის არსებითი (მატერიალური) ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ არ გამოსწორდა ამგვარი დარღვევის შესახებ „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ „ემიტენტისათვის“ მიწოდებული წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 60 (სამოცი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში; ან

(გ) **გადახდისუუნარობა და ლიკვიდაცია:**

(i) დადგა რომელიმე შემდეგი მოვლენა: (i) „ემიტენტმა“ დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; ან (ii) ნებისმიერმა „პირმა“ „ემიტენტის“ წინააღმდეგ წარადგინა მოთხოვნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ და ამგვარ მოთხოვნაზე ამ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 100 (ასი) დღის განმავლობაში; ან (iii) „ემიტენტსა“ და მის კრედიტორებს შორის დაიწყო მოლაპარაკებები „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან (iv) „ემიტენტის“ მიმართ დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე; ან

(ii) „ემიტენტის“ აქციონერებმა დაამტკიცეს „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან რეგისტრაციის გაუქმების რაიმე გეგმა; ან

(დ) **შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:** თანხის დაკისრებასთან ან გადახდევინებასთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ „ემიტენტის“ წინააღმდეგ გამოტანილი და 60 (სამოცი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში შეუსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილებების, განჩინებების ან ბრძანებების ჯამური ღირებულება აღემატება 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარს, ან ნებისმიერი ამგვარი საბოლოო გადაწყვეტილება, განჩინება ან ბრძანება გამოიწვევს (ა) „ემიტენტის“ ხელმძღვანელობის სრულ გადაყენებას, ან „ემიტენტის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ შეზღუდვას; ან (ბ) „ემიტენტის“ სააქციო კაპიტალის (სრულად ან მისი უმეტესობის) ან მისი შემოსავლების ან აქტივების (სრულად ან ნებისმიერი ნაწილის, რომლის საბალანსო ღირებულება წარმოადგენს „ემიტენტის“ მთლიანი საბალანსო ღირებულების 30 (ოცდაათი) პროცენტს ან მეტს) დაყადაღებას, ექსპროპრიაციას, ჩამორთმევას (კონფისკაციას) ან იძულებით გასხვისებას; ან

(ე) **აღსრულება:** „ემიტენტის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების მიმართ, რომელთა ღირებულება აღემატება „ემიტენტის“ მთლიანი საბალანსო ღირებულების 30 (ოცდაათი) პროცენტს, დაიწყო ნებისმიერი სააღსრულებო წარმოება, ან გადავიდა უზრუნველყოფილი პირის საკუთრებაში, ან გასხვისდა მის მიერ; ან

(ვ) **უფლებამოსილება და თანხმობები:** „ემიტენტმა“ არ განხორციელა, არ შეასრულა ან არ მიიღო ნებისმიერი ქმედება, პირობა ან გარემოება (მათ შორის, ნებისმიერი აუცილებელი თანხმობა, განკარგულება, დამტკიცება, ავტორიზაცია (უფლებამოსილება), გამონაკლისი (შეღავათი), წარდგენა, ბრძანება, ჩანაწერი, რეგისტრაცია ან სხვა უფლებამოსილება), რომლის განხორციელება, შესრულება ან მიღება ნებისმიერ დროს აუცილებელი იყო, რათა (i) „ემიტენტმა“ კანონიერად შეძლოს თავისი არსებითი (მატერიალური) უფლებების განხორციელება და ობლიგაციებისა და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე გადახდის ვალდებულებების შესრულება, წინამდებარე „პირობების“ მე-5 პუნქტიდან (*„დათქმები“*) გამომდინარე თავისი ვალდებულებებისა და ობლიგაციებისა და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი (მატერიალური) ვალდებულებების შესრულება, (ii) უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა (სავალდებულო ძალა) და აღსრულებადობა, და (iii) ობლიგაციები, პროსპექტი და „ხელშეკრულება“ დასაშვები იყოს საქართველოს სასამართლოებში მტკიცებულების სახით; ან

(ზ) **ნამდვილობა და უკანონობა:** „ემიტენტი“ სადავოს ხდის ობლიგაციების, პროსპექტის ან „ხელშეკრულების“ ნამდვილობას, ან უარყოფს ობლიგაციებიდან, პროსპექტიდან ან „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე თავის რომელიმე არსებით ვალდებულებას, ან „ემიტენტის“ მიერ ობლიგაციების, პროსპექტის ან „ხელშეკრულების“ შესაბამისად ნებისმიერი ერთი ან მეტი არსებითი ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ამგვარი ვალდებულება გახდა აღუსრულებადი ან აღარ ითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

„ემიტენტმა“ „ხელშეკრულებით“ იკისრა ვალდებულება, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება აღნიშნული, აცნობოს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების დადგომის შესახებ, რომელიც შეტყობინების მიწოდებით ან/და დროის გასვლით გახდება „დეფოლტის შემთხვევა“ (შემდგომში „**პოტენციური დეფოლტის შემთხვევა**“).

11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა

(ა) **„ობლიგაციონერების“ კრებები:** „ხელშეკრულება“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევასთან დაკავშირებით იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც გავლენას ახდენენ „ობლიგაციონერების“ ინტერესებზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს წინამდებარე პროსპექტისა და „ხელშეკრულების“ შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ და გამართულ კრებაზე დამსწრეთა ხმების სულ მცირე 75 (სამოცდათხუთმეტი) პროცენტის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების (შემდგომში „**სპეციალური გადაწყვეტილება**“) საფუძველზე დამტკიცებულ ცვლილებას წინამდებარე „პირობებში“ ან „ხელშეკრულების“ ნებისმიერ დებულებაში.

„ობლიგაციონერების“ კრების მოწვევა შესაძლებელია „ემიტენტის“ ან „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ინიციატივით, ასევე იმ „ობლიგაციონერების“ ან/და მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელების“ მიერ, რომლებიც კრების მოწვევის მომენტში ფლობენ გაუნაღდებელი (დაუფარავი) ობლიგაციების ჯამური ძირითადი თანხის სულ მცირე 25 (ოცდახუთი) პროცენტს.

„სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეულ ნებისმიერ კრებაზე კვორუმი შედგება, თუ „ობლიგაციონერების“ კრებას ესწრება პირ(ებ)ი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს მოცემული დროისთვის გაუნაღდებელი (დაუფარავი) ობლიგაციების ჯამური ძირითადი თანხის ნახევარზე მეტს; ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - თუ მას ესწრება პირ(ებ)ი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს მოცემული დროისთვის გაუნაღდებელი (დაუფარავი) ობლიგაციების ჯამური ძირითადი თანხის 25 (ოცდახუთი) პროცენტზე მეტს; ან ნებისმიერი მომდევნო „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - თუ მას ესწრება პირ(ებ)ი, რომელიც მოცემული დროისთვის არის „ობლიგაციონერი“ ან წარმოადგენს მას, მიუხედავად მის მფლობელობაში არსებული ან მის მიერ წარმოდგენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა.

ზემო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც „ობლიგაციონერების“ კრების მიერ განსახილველი საკითხები, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შემდეგს: (i) ობლიგაციების ძირითადი თანხის გადახდის თარიღის ან ნებისმიერი „პროცენტის გადახდის თარიღის“ ცვლილება; (ii) ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადახდის ოდენობის დაანგარიშების მეთოდის ცვლილება; (iii) ობლიგაციების ძირითადი თანხის ან სარგებლის ოდენობის ცვლილება; (iv) თანხმობის გამოცხადება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი სხვა სუბიექტის აქციებში, ობლიგაციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში ობლიგაციების გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტირებაზე; (v) ობლიგაციებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების ვალუტის ცვლილება (გარდა იმ ცვლილებისა, რომელიც აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად); (vi) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო კვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება; (vii) „ხელშეკრულების“ მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილება; ან (viii) ქვემო 11(ბ) ქვეპუნქტის (*„ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა“*) შესაბამისად მინიჭებული უფლების შეუზღუდავად, წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილება. ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში, კვორუმის არსებობისათვის აუცილებელია კრებას ესწრებოდეს პირ(ებ)ი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს მოცემული დროისთვის გაუნაღდებელი (დაუფარავი) ობლიგაციების ჯამური ძირითადი თანხის სულ მცირე ორ მესამედს; ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - მოცემული დროისთვის გაუნაღდებელი (დაუფარავი) ობლიგაციების ჯამური ძირითადი თანხის სულ მცირე ერთ მესამედს. „ობლიგაციონერების“ კრებაზე სათანადო წესით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად „ობლიგაციონერებისათვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი „ობლიგაციონერების“ იმ კრებას, რომელზეც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული).

„ემიტენტი“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ არ იღებენ პასუხისმგებლობას „ობლიგაციონერების“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ნამდვილობაზე და უფლებამოსილნი არიან დაეყრდნონ ასეთ გადაწყვეტილებას.

წინამდებარე 11(ა) ქვეპუნქტის (მათ შორის, „ობლიგაციონერების“ კრებაზე კვორუმის გამოთვლის) მიზნებისათვის, „პირობების“ 7(ბ)-7(ვ) ქვეპუნქტების შესაბამისად „ემიტენტის“ მიერ გამოსყიდული, ან „პირობების“ 7(ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად „ემიტენტის“ ან/და მისი ნებისმიერი „შვილობილის“ მიერ

შემენილი, ობლიგაციები (სანამ ამგვარად გამოსყიდული ან შემენილი ობლიგაციები საკუთრებაში აქვთ „ემიტენტს“ ან/და მის ნებისმიერ „შვილობილს“) არ ითვლება გაუნაღდებელ (დაუფარავ) ობლიგაციებად და არ ანიჭებს მათ მფლობელ(ებ)ს ხმის უფლებას „ობლიგაციონერების“ ნებისმიერ კრებაზე.

(ბ) **ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა:** „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციონერების“ თანხმობის გარეშე შეუთანხმდეს „ემიტენტს“: (i) წინამდებარე „პირობებში“ ან „ხელშეკრულების“ ნებისმიერ დებულებაში ნებისმიერი ფორმალური, უმნიშვნელო ან ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანაზე ან გამოვლენილი აშკარა შეცდომის შესწორებაზე; და (ii) წინამდებარე „პირობებში“ ან „ხელშეკრულების“ ნებისმიერ დებულებაში ნებისმიერ სხვა ცვლილებაზე (გარდა პროსპექტსა და „ხელშეკრულებაში“ მითითებული შემთხვევებისა ან იმ ცვლილებებისა, რომელთა შეტანა დაუშვებელია მოქმედი კანონმდელობით), და ნებისმიერ „პირობაზე“ ან „ხელშეკრულების“ ნებისმიერ დებულებაზე უარის თქმასა და მათი ნებისმიერი დარღვევის დაშვებაზე ან დარღვევის წინასწარ ნებართვაზე, რომელიც „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ შეხედულებით არსებით ზიანს არ აყენებს „ობლიგაციონერების“ ინტერესებს. ნებისმიერი ამგვარი ცვლილება, ნებართვა ან უფლებაზე უარის თქმა სავალდებულოა „ობლიგაციონერებისათვის“ და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი ცვლილების შესახებ შეტყობინება მიეწოდებათ „ობლიგაციონერებს“ შემლებისდაგვარად მალე „პირობების“ მე-14 პუნქტის შესაბამისად.

(გ) **„ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ უფლებამოსილება:** საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უნდა ითვალისწინებდეს „ობლიგაციონერების“ - როგორც კლასის - ინტერესებს და არა იმ შედეგებს, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს მის მიერ მოვალეობების შესრულებას ცალკეული „ობლიგაციონერისათვის“. „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ და არც ერთი „ობლიგაციონერი“ ან „ნომინალური მფლობელი“ არ არის უფლებამოსილი, მოთხოვოს „ემიტენტს“ ანაზღაურების გარანტია და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ან რაიმე გადახდა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ თავისი მოვალეობების შესრულების შედეგად ცალკეული „ობლიგაციონერისათვის“ დამდგარი ნებისმიერი საგადასახადო შედეგისათვის.

12. აღსრულება

(ა) იმ შემთხვევაში, თუ (i) დადგა წინამდებარე „პირობების" 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევა“ (*„გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა“*) და (ii) „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თარიღიდან გასულია 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღე“, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, „ემიტენტისათვის“ შეტყობინების მიწოდების შემდეგ დაიწყოს ნებისმიერი წარმოება „ემიტენტის“ წინააღმდეგ, რომელსაც იგი მიიჩნევს მიზანშეწონილად ობლიგაციებისა და „ხელშეკრულების“ პირობების აღსასრულებლად. ამასთან, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ვალდებულია, დაიწყოს წარმოება ზემოთ მითითებულ შემთხვევაში, თუ მან მიიღო: (i) აღნიშნულ საკითხზე მითითება „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე; და (ii) მისთვის დამაკმაყოფილებელი ანაზღაურების გარანტია და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ან/და შესაძლო ხარჯების წინასწარი ანაზღაურება ან/და უზრუნველყოფა.

(ბ) არც ერთი „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ (დამოუკიდებლად ან სხვა „ობლიგაციონერებთან“ ან/და „ნომინალურ მფლობელებთან“ ერთად) არ არის უფლებამოსილი, განახორციელოს რაიმე სახის ქმედება ან დაიწყოს რაიმე სახის წარმოება უშუალოდ/პირდაპირ „ემიტენტის“ წინააღმდეგ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: (i) „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ არ დაუწყია წარმოება „ემიტენტის“ წინააღმდეგ 12(ა) ქვეპუნქტის შესაბამისად; და (ii) „ემიტენტს“ სრულად არ აქვს გადახდილი წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად გადასახდელი თანხა; და (iii) წინამდებარე „პირობების" 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევის“ (*„გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა“*) დადგომის თარიღიდან გასულია 60 (სამოცი) „სამუშაო დღე“.

13. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ანაზღაურების გარანტია და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

„ხელშეკრულება“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ანაზღაურების გარანტიასა და მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე.

„ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ წინაშე რაიმე პასუხისმგებლობის გარეშე, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, დაეყრდნოს ნებისმიერი ბუღალტრის, ფინანსური მრჩევლის, ფინანსური დაწესებულებისა და ნებისმიერი სხვა ექსპერტის მიერ მომზადებულ ანგარიშს, დადასტურებას, ცნობას (მოწმობას) ან რჩევას მიუხედავად იმისა, მომზადებულია თუ არა ის კონკრეტულად მის მიერ გამოსაყენებლად ან შეზღუდულია თუ არა მისი პასუხისმგებლობის ფარგლები

აღნიშნულთან დაკავშირებით (შესაბამისი დოკუმენტის პირობებით, ან „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ აღნიშნულთან დაკავშირებით დადებული მომსახურების ნებისმიერი ხელშეკრულებით, ან სხვაგვარად) ფულადი ზღვარის დაწესებით, გამოყენებული მეთოდოლოგიისა თუ სხვა დათქმის მითითებით.

14. შეტყობინებები

„ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ „ობლიგაციონერებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ შეტყობინებას მიაწვდის საქართველოში ფართო ტირაჟის მქონე გაზეთში გამოქვეყნების გზით (ამგვარი გაზეთი შეირჩევა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით) და ამგვარი შეტყობინება ასევე გაეგზავნებათ „ემიტენტსა“ და „რეგისტრატორს“.

„ემიტენტი“ „ობლიგაციონერებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ შეტყობინებას მიაწვდის „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით და ამგვარი შეტყობინება ასევე გაეგზავნებათ „ობლიგაციონერების წარმომადგენელსა“ და „რეგისტრატორს“.

შეტყობინების გამოქვეყნების შემთხვევაში (მათ შორის შეზღუდვის გარეშე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე), ამგვარი შეტყობინება მიწოდებულად ითვლება მისი გამოქვეყნების დღეს, ხოლო თუ შეტყობინება რამდენჯერმე გამოქვეყნდა - მისი პირველად გამოქვეყნების დღეს.

„ემიტენტი“ ან/და „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ასევე უფლებამოსილი არიან, თუ ერთპიროვნულად მიიჩნევენ მიზანშეწონილად, ყველა „ობლიგაციონერს“ ან/და „ნომინალურ მფლობელს“ გაუგზავნონ შეტყობინება ფოსტით „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ მითითებულ შესაბამის მისამართებზე. ამავე დროს, შეტყობინება „ობლიგაციონერების“ ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ მოწვევის შესახებ ყველა „ობლიგაციონერს“ ან/და „ნომინალურ მფლობელს“ უნდა გაეგზავნოს ფოსტით „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ მითითებულ შესაბამის მისამართებზე.

15. განსაზღვრებები

თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

„აფილირებული პირი“ ნებისმიერ კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს (ა) ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამგვარ კონკრეტულ „პირს“, ან კონტროლდება მის მიერ, ან მასთან ერთად იმყოფება საერთო პირდაპირი ან ირიბი კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელიც არის ამგვარი კონკრეტული „პირის“ ან ამგვარი კონკრეტული „პირის“ ნებისმიერი „შვილობილის“ ან ზემო (ა) პუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორი ან მმართველობის ორგანოს წევრი;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან მსგავსი ტიპის სხვა გადასახადს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში;

„განმეორებითი კრება“ ნიშნავს „ობლიგაციონერების“ კრებას, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმი;

„დავალიანება“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ დაკავშირებით, განსაზღვრის ნებისმიერ თარიღზე (დუბლირების გარეშე):

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ ფულის სესხების შედეგად წარმოქმნილ ყველა დავალიანებას;

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ფინანსურ ვალდებულებას, რაც დასტურდება ობლიგაციებით, სადებეტო ოპერაციებით, თამასუქებით ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებით;

(გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან, გარანტიებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან (რაც მოიცავს მათთან დაკავშირებულ ანაზღაურების ვალდებულებებს), ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში გაცემული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გარდა;

(დ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდასთან დაკავშირებით;

(ე) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც უზრუნველყოფილია ამგვარი „პირის“ მიერ თავის ნებისმიერ აქტივზე (რომლის ღირებულება მოცემული მიზნებისათვის განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ღირებულებით „უზრუნველყოფის საშუალების“ მიმცემი „პირის“ ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგების (რომლებიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად) მიხედვით) მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალებით“ მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ამგვარი „პირი“ ამგვარ დავალიანებას;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არა უმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით;

(ზ) იმ ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდულ ნებისმიერ თანხას, რომლებიც ექვემდებარება გამოსყიდვას;

(თ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებისმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან; და

(ი) ნებისმიერი იმ სხვა ოპერაციის (მათ შორის შეზღუდვის გარეშე - ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდულ თანხას, რომელიც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია,

და ნებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა ნებისმიერ თარიღზე იქნება ამგვარ თარიღზე ზემოაღწერილი ყველა უპირობო ვალდებულებისა და, ზემოაღწერილი პირობადადებული ვალდებულების შემთხვევაში, იმ მაქსიმალური ვალდებულების გადასახდელი ოდენობა, რომელიც წარმოიშობა, თუ დადგება ვალდებულების წარმომშობი პირობა;

„**დამოუკიდებელი შემფასებელი**“ ნიშნავს აუდიტორულ ფირმას ან მესამე პირ ექსპერტს, რომელსაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ირჩევს „ემიტენტი“ და ამტკიცებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ იმ პირობით, რომ ამგვარი ფირმა ან მესამე პირი შემფასებელი არ უნდა იყოს „ემიტენტთან“ „აფილირებული პირი“;

„**ემიტენტი**“ ან „**კომპანია**“ ნიშნავს სს „სილქნეტს“ (ს/ნ: 204566978), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა 2009 წლის 2 აპრილს;

„**კონტროლი**“, როგორც ეს ტერმინი გამოყენებულია წინამდებარე „პირობებში“, ნიშნავს „პირის“ ხელმძღვანელობისა და პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას სააქციო კაპიტალის ფლობით, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ან სხვაგვარად;

„**მთლიანი ვალდებულებები**“ ნიშნავს „პირის“ კრედიტების, სასესხო ფასიანი ქაღალდების და ფინანსური ლიზინგის შესაბამისად წარმოშობილი ვალდებულებების ჯამს. „მთლიან ვალდებულებებში“ ასევე გაითვალისწინება „პირისათვის“ დამტკიცებული და აუთვისებელი კრედიტი, რომლის ათვისება-გამოყენებაც საკრედიტო დაწესებულების მხრიდან დამატებით განხილვასა და დამტკიცებას აღარ მოითხოვს. „მთლიან ვალდებულებებში“ არ გაითვალისწინება „პირის“ მიერ აქციონერისაგან ან სხვა „აფილირებული პირისაგან“ მიღებული სუბორდინირებული სესხები;

„**ნებადართული უზრუნველყოფა**“ არის:

(ა) „გამოშვებისა და განთავსების თარიღზე“ არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“;

(ბ) ნებისმიერი „შვილობილის“ მიერ „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ იმ „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელშიც „ემიტენტი“ ფლობს აქციების/წილის 75 (სამოცდათხუთმეტი) პროცენტს ან მეტს;

(გ) „პირის“ „დავალიანების“ „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არსებობდა იმ დროს, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა ან კონსოლიდაცია „ემიტენტთან“ ან „ემიტენტის“ „შვილობილთან“, ან როდესაც ამგვარი „პირი“ გახდა „ემიტენტის“ „შვილობილი“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის ან კონსოლიდაციის მიზნებისათვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ ნებისმიერი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა შეძენილი „პირისა“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივების ან ქონებისა);

(დ) „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ „შვილობილის“ მიერ შეძენილ ან შესაძენ აქტივებზე ან ქონებაზე უკვე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“ იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ არ წარმოქმნილა ამგვარი შეძენის მიზნებისათვის და იგი არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შეძენილი აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებული შემოსავლისა);

(ე) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც გაიცა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ რაიმე ქონების შეძენისას ან შეძენასთან დაკავშირებით ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის ან იმ „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად, რომელიც აღებულია მხოლოდ ამ ქონების შეძენისა და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების ნასყიდობის ფასს, შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „დავალიანების“ ოდენობას;

(ვ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კრედიტისა და დებეტის ბალანსის ურთიერთგაქვითვის მიზნით;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“ ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე ან მათ ნაწილზე, რომელიც წარმოიქმნა მისაღები ფულადი სახსრების (recievables) სექიურითიზაციასთან (securitisation) ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან (asset-backed financing) ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან;

(თ) „უზრუნველყოფის საშუალება“ არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე ან მათ ნაწილზე, რაც შექმნილია რეპო ოპერაციის შესაბამისად;

(ი) ნებისმიერი იმ შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან) წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის ჰეჯირების ოპერაციებს;

(კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის - საგადასახადო და სხვა არანებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალება“; და

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სხვაგვარად არ არის ნებადართული ზემო ქვეპუნქტებში (ა)-დან (კ)-ს ჩათვლით იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ ჯამური ძირითადი თანხა ნებისმიერი დროს არ აღემატება შემდეგი ორიდან ერთ-ერთს, რომელიც უფრო მეტია: 50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარს, ან ბოლო „საანგარიშო პერიოდის“ კონსოლიდირებული ბალანსის (რომელიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად) მიხედვით დაანგარიშებული „ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 50 (ორმოცდაათი) პროცენტს;

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს „ფასიანი ქაღალდების კანონით“ განსაზღვრული მნიშვნელობით;

„ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღი“ ნიშნავს 2022 წლის 18 აგვისტოს, როდესაც მოხდება „ემიტენტის“ მიერ ობლიგაციების განაღდება (დაფარვა), ანუ ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფარვა;

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს ობლიგაციის რეგისტრირებულ მესაკუთრეს (როგორც აღნიშნული ტერმინი განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების კანონში“);

„ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ნიშნავს შპს „თიბისი კაპიტალს“;

„პირი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საქმიანობის საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია, სახელმწიფო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი;

„საანგარიშო პერიოდი“ ნიშნავს ნებისმიერ საანგარიშო პერიოდს, რომლისთვისაც „ემიტენტს“ მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად, რომელიც აუდიტორის მიერ არის აუდიტირებული ან შემოწმებული;

„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ გარიგებასთან მიმართებით ნიშნავს ღირებულებას, რომელიც მიღებული იქნებოდა არადაკავშირებულ პირებს შორის განხორციელებული კომერციული გარიგებისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არ ხორციელდება რაიმე არასათანადო იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე) და ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არ ხორციელდება რაიმე არასათანადო იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე) შორის. „ობლიგაციონერების

წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, დაეყრდნოს გარიგების „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ შესახებ „დამოუკიდებელი შემფასებლის“ ანგარიშს დამატებითი მოკვლევის ან მტკიცებულებების გარეშე;

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის, კვირის და უქმე დღეების გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში;

„საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თარიღი“ თითოეული „საპროცენტო პერიოდისათვის“ ნიშნავს დღეს ერთი კალენდარული დღით ადრე „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღემდე;

„საპროცენტო პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს ობლიგაციების „გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან“ (და ამ თარიღის ჩათვლით) პირველ „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად) და ყოველ მომდევნო პერიოდს წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (და ამ თარიღის ჩათვლით) შემდეგი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად);

„უზრუნველყოფის საშუალება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, უფლებრივად დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფის საშუალებას (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად ნებისმიერი ზემოაღნიშნულის ანალოგიურ უზრუნველყოფის საშუალებას);

„ფასიანი ქაღალდების კანონი“ ნიშნავს საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1998 წლის 24 დეკემბერს, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (IFRS) ნიშნავს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს“, რომლებიც დამტკიცებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) (შემდგომში **„საბჭო“**) მიერ და მოიცავს „საბჭოს“, ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოსა (IFRIC) და ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ გამოშვებულ ყველა იმ საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტსა და ინტერპრეტაციას, რომელიც მნიშვნელოვანია „კომპანიის“ საქმიანობისათვის;

„შვილობილი“ ნებისმიერ „პირთან“ (შემდგომში **„პირველი პირი“**) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ სხვა „პირს“ (შემდგომში **„მეორე პირი“**), რომელშიც „პირველი პირი“ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების/წილის 50 (ორმოცდაათი) პროცენტზე მეტს;

„ხელშეკრულება“ ნიშნავს „ემიტენტსა“ და შპს „თიბისი კაპიტალს“, როგორც „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, შორის ობლიგაციების გამოშვების პირობების შესახებ ხელშეკრულებას;

„ჯგუფი“ ნიშნავს „ემიტენტსა“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ ერთობლიობაში.

16. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

(ა) **მარეგულირებელი კანონმდებლობა**: პროსპექტი და ობლიგაციები და მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) **იურისდიქცია**: საქართველოს სასამართლოებს აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია ნებისმიერ დავაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას პროსპექტიდან ან ობლიგაციებიდან ან მათთან დაკავშირებით (რაც მოიცავს ნებისმიერ სარჩელს, დავას ან უთანხმოებას პროსპექტის ან ობლიგაციების გამოშვებასთან, არსებობასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან, ან პროსპექტიდან ან ობლიგაციებიდან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებით).

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას და არ ისახავს მიზნად ამ საკითხების ამომწურავ ანალიზს. ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა კონსულტაცია უნდა მიიღონ საკუთარი საგადასახადო მრჩევლებისაგან ობლიგაციების შეძენასთან, ფლობასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან საპროცენტო სარგებლის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების მიღების და შესაბამისი საგადასახადო შედეგების თაობაზე. წინამდებარე მიმოხილვა ეფუძნება ემისიის პროსპექტის მომზადების თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია რომელიმე სხვა საკითხის ანალიზისათვის, მათ შორის ობლიგაციებთან დაკავშირებული გარიგებების კანონიერების შესაფასებლად.

საპროცენტო სარგებლის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ობლიგაციონერებისათვის (მიუხედავად იმისა, ისინი არიან ფიზიკური თუ იურიდიული, რეზიდენტი თუ არარეზიდენტი პირები) გადახდილი პროცენტი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით დაბეგვრას. ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტი არ ჩაითვლება მიმღები რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება. რაც შეეხება საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირებს და არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივ დაწესებულებებს, მათ უფლება აქვთ ჩაითვალონ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხა.

საქართველოს მთავრობის მიერ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებად აღიარებულ ქვეყნებში რეგისტრირებული ობლიგაციონერებისათვის გადახდილი პროცენტი დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

არარეზიდენტი ობლიგაციონერისათვის გადახდილი პროცენტის გადახდის წყაროსთან დასაკავებელ გადასახადზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს საქართველოსა და არარეზიდენტი ობლიგაციონერის რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებულმა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ.

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან გადასახადის დაკავებისგან და არ ჩაითვლება ობლიგაციონერების (მიუხედავად იმისა ისინი არიან ფიზიკური თუ იურიდიული, რეზიდენტი თუ არარეზიდენტი პირები) ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებია და მათი თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება 25%–ს (შემდგომში „**თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი**“). თუმცა, „თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისის“ პრაქტიკული ხელმისაწვდომობა არ არის შემოწმებული და შესაბამისად არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამ გამონაკლისის გამოყენება შესაძლებელი იქნება. გარდა ამისა, „თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისის“ გამოყენება შესაძლოა ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული საგადასახადო ორგანოს მიერ ან შემდგომში იქნეს გაუქმებული, თუ ვერ დაკმაყოფილდება 25%-იანი თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის მოთხოვნა.

ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

ობლიგაციის რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი (ანუ ობლიგაციის შეძენისა და სარეალიზაციო ფასებს შორის დადებითი სხვაობა, შემდგომში „**ნამეტი შემოსავალი**“) ან/და მოგება/მოგების განაწილება გათავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადებისაგან, თუ ობლიგაციას ეხება „თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი“. თუმცა, ამ გამონაკლისის პრაქტიკული ხელმისაწვდომობა არ არის შემოწმებული და შესაბამისად არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამ გამონაკლისის გამოყენება შესაძლებელი იქნება. გარდა ამისა, „თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისის“ გამოყენება შესაძლოა ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული საგადასახადო ორგანოს მიერ ან შემდგომში იქნეს გაუქმებული, თუ ვერ დაკმაყოფილდება 25%-იანი თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის მოთხოვნა.

<u>თუ „თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი“ არ გავრცელდება, შეიძლება წარმოიშვას ქვემოთ ჩამოთვლილი საგადასახადო ვალდებულებები</u>:

1) **არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაცია**

ობლიგაციის რეალიზაციიდან არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ მიღებული „ნამეტი შემოსავალი" დაიბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადით. არარეზიდენტი ობლიგაციონერი იურიდიული პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა (მათ შორის ობლიგაციის რეალიზაციიდან მიღებული „ნამეტი შემოსავალი") და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის. თუ ობლიგაციების რეალიზაცია წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, ობლიგაციის გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება გადაიხადოს გადასახადი, ხოლო თუ ობლიგაციის რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ობლიგაციის რეალიზაციით მიღებული „ნამეტ შემოსავალზე" გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებაზე 10%-იანი განაკვეთით (თუ ობლიგაციის გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი რეგისტრირებულია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში - 15%-იანი განაკვეთით). ამასთან, საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ობლიგაციის გამყიდველი იურიდიული პირის რეზიდენტობის ქვეყანასთან.

2) **არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაცია**

ობლიგაციის რეალიზაციიდან არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ მიღებული „ნამეტი შემოსავალი" დაიბეგრება 20%-იანი საშემოსავლო გადასახადით. არარეზიდენტი ობლიგაციონერი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა (მათ შორის ობლიგაციის რეალიზაციიდან მიღებული „ნამეტი შემოსავალი") და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის. თუ ობლიგაციების რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება გადაიხადოს გადასახადი, ხოლო თუ ობლიგაციის რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ობლიგაციის რეალიზაციით მიღებულ „ნამეტ შემოსავალზე" გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებაზე 10%-იანი განაკვეთით. ამასთან, საქართველოში საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული გამყიდველი ფიზიკური პირის რეზიდენტობის ქვეყანასთან.

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან შესაძლოა გათავისუფლდეს ცალკეული ობლიგაციონერი ფიზიკური პირების მიერ მიღებული „ნამეტი შემოსავალი", თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

3) **რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაცია**

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა, სადაზღვევო ორგანიზაციისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდისა 2019 წლის 1 იანვრამდე) ვალდებულია ობლიგაციების რელიზაციით მიღებულ „ნამეტ შემოსავალზე" გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ რაც გაანაწილებს მოგებას.

2019 წლის 1 იანვრამდე, კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული „ნამეტი შემოსავალი" შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

4) **რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაცია**

საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებულია ობლიგაციების რელიზაციით მიღებული „ნამეტი შემოსავალი" ჩართოს კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში. ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია 20%. თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის საშუალებით და თუ ობლიგაციის გამყიდველი ფიზიკური პირი არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად, მაშინ საბროკერო კომპანია იქნება პასუხისმგებელი ობლიგაციის რეალიზაციით მიღებულ „ნამეტ შემოსავალზე" გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებაზე.

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან შესაძლოა გათავისუფლდეს ცალკეული ობლიგაციონერი ფიზიკური პირების მიერ მიღებული „ნამეტი შემოსავალი", თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ობლიგაციის ძირითადი თანხის განაღდების (დაფარვის) დაბეგვრა

ემიტენტის მიერ ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) ან/და გამოსყიდვისას ობლიგაციონერის მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას თუ განაღდების (დაფარვის)/გამოსყიდვისას ობლიგაციონერისათვის გადახდილი ძირითადი თანხა არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ობლიგაციების რეალიზაცია (მიწოდება) გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

დამატებითი ინფორმაცია

1. ობლიგაციების საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვება იგეგმება 2017 წლის 31 ოქტომბრამდე.
2. კომპანიას მოპოვებული აქვს საქართველოში ობლიგაციების გამოშვებისათვის საჭირო ყველა თანხმობა. ობლიგაციების გამოშვება ნებადართულია ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით.
3. 2016 წლის 31 დეკემბრის შემდეგ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და სამომავლო გეგმები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.
4. გასული 12 თვის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია (და კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით არ არის მოსალოდნელი) კომპანიის წინააღმდეგ რაიმე ისეთ ადმინისტრაციულ, სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმის წარმოებას, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის მომგებიანობაზე.
5. კომპანიის „აუდიტორმა" თანხმობა განაცხადა მისი დასკვნის წინამდებარე პროსპექტისათვის დართვაზე.
6. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ასლები გასაცნობად ხელმისაწვდომი იქნება სამუშაო საათებში (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) წინამდებარე პროსპექტის გამოქვეყნების დღიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში კომპანიის მისამართზე:
   (ა) წინადებარე პროსპექტის ასლი (მასში შეტანილი შესწორებების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   (ბ) კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და „აუდიტორის" დასკვნა, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე პროსპექტის დანართში;
   (გ) კომპანიასა და ობლიგაციონერების წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულება ობლიგაციების გამოშვების პირობების შესახებ.

ინფორმაცია ემიტენტის, განთავსების აგენტების, ობლიგაციონერების წარმომადგენლის, რეგისტრატორის, ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის და ემიტენტის აუდიტორისა და იურიდიული მრჩევლის შესახებ

ემიტენტი

სს „სილქნეტი"
საქართველო, თბილისი 0112,
წინამძღვრიშვილის ქ. N95

განთავსების აგენტები

სს „სილქ როუდ ბანკი"
საქართველო, თბილისი 0102,
ზაარბრუკენის მოედანი N95

შპს „თიბისი კაპიტალი"
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N11;
საქართველო, თბილისი 0104, მარჯანიშვილის ქუჩა N7

S. Pierce Advisors Limited
Craigmuir Chambers PO Box 71 Road Town, Tortola, BVI;
უკრაინა, კიევი, Pankivska Street N8

ობლიგაციონერების წარმომადგენელი

შპს „თიბისი კაპიტალი"
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N11;
საქართველო, თბილისი 0104, მარჯანიშვილის ქუჩა N7

ანგარიშსწორების და ძირითადი გადამხდელი აგენტი

სს „სილქ როუდ ბანკი"
საქართველო, თბილისი 0102,
ზაარბრუკენის მოედანი N95

რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი"
საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, მე-10 ბლოკი,
მე-7 სართული

აუდიტორი

შპს „KPMG Georgia"
საქართველო, თბილისი 0108,
ბესიკის ქუჩა N4

ემიტენტის იურიდიული მრჩეველი

შპს „დენტონს საქართველო" (Dentons Georgia)
საქართველო, თბილისი 0179,
მელიქიშვილის გამზირი N10

ხელმოწერილია სს „სილქნეტის“ სახელით:

სახელი, გვარი: გიორგი რამიშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი:

1 აგვისტო 2017

სახელი, გვარი: დავით მამულაიშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი:

1/8/2017